პარლამენტი კვლავ ცესკო-ს წინააღმდეგ A3

TV პროგრამა B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 22 ნოემბერი, 2002 წელი. №173

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### გიორგი ბარამიძე: "დღეს საქართველოს უსაფრთხოების დაცვა საგარეო ფრონტზე ხდება..."

მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტარები ერთმანეთს ასახიჩრებდნენ და სამი "დემოკრატი" დეპუტატის პარლამენტში ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა, სადეპუტატო რიგებიდან გაძევების ერთ-ერთი კანდიდატი გიორგი ბარამიძე სტამბოლში იმყოფებოდა და რუსეთის დელეგაციას "ერთი - თვრამეტზე" ებრძოდა.

A3

## ეკონომიკა

### „ეი-ი-ეს თელასმა„ და მთავრობამ ერთმანეთს გაუგეს

“ხელისუფლება ყველაფერს იღონებს ზამთრის სეზონში “ეი-ი-ეს თელასის” დასახმარებლად”, - ეს განცხადება სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ ამერიკული კომპანიის გენერალურ მენეჯერთან, იგნასიო ირიბარენთან, გამართულ შეხვედრაზე გააკეთა, რითაც ეს უკანასკნელი აშკარად კმაყოფილი დარჩა.

A4

## უცხოეთი

### ბუში პუტინთან პირისპირ შესახვედრად ემზადება

ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას აუცილებელია სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა. მან ამგვარი თანამშრომლობის მაგალითად სწორედ საქართველო დაასახელა. “მე მოხარული ვარ, რომ ვლადიმირ პუტინმა პრეზიდენტ შევარდნაძესთან დიალოგი დაიწყო.

A5

## საზოგადოება

### „თეთრი მანდილი„ ითხოვს, დაუჩოქონ

ძლივს შემდგარი საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ იოსებ შატბერაშვილის დანიშვნას უინციდენტოდ არ ჩაუვლია. გუშინ “თეთრი მანდილის” მანდილოსნებმა საკრებულოს თავმჯდომარეს კატეგორიულად მოსთხოვეს მისი თანამდებობიდან გადაყენება.

A6

## სამართალი

### შეკვეთილი მკვლელობა, რომელსაც გახსნის პერსპექტივა არ აქვს

საქართველოში შეკვეთილი მკვლელობები არ იხსნება. ბოლო ათწლეულის კრიმინალურ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ მომხდარ შეკვეთილ მკვლელობათა ძალიან დიდი უმეტესობა კვლავ ბურუსითაა მოცული .

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 18 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 24 |
| სოხუმი | 21 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 16 |
| ზუგდიდი | 24 |
| გორი | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1850 |
| ევრო | 2.1902 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4370 |
| რუბლი | 0.0687 |

# თარგამაძისეული სისტემა ნარჩემაშვილის ეპოქაში



ბესო გულაშვილის ფოტო

კობა ნარჩემაშვილი პარლამენტის სამთავრობო ლოჟაში დეპუტატებისთვის პასუხის გასაცემად ემზადება.

*შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი კახა თარგამაძის ჩანაცვლებისთანავე შეეცადა ერთგვარი რეფორმატორული იმიჯის შექმნას და წინამორბედისთვის საფრთხობელად ქცეული რეფორმის გატარებაზე ის იმთავითვე ალაპარაკდა. ჯდებოდა თუ არა ნარჩემაშვილისეული დასაწყისი “ახალი ცოცხის” ტრადიციაში, დღეს ამაზე ლაპარაკი, ალბათ, უკვე შეიძლება, მით უმეტეს, რომ მოვლენების განვითარება შს მინისტრისთვის სასურველ რეფორმატორის იმიჯს ნამდვილად ვნებს.*

სოფიკო ჩხაიძე

საქართველოში კრიმინოგენული ვითარების გაუარესებისა და არაერთი გახმაურებული დანაშაულის მოხდენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზად პოლიციის უუნარობა სახელდება. ამის თაობაზე საუბრის გააქტიურების მიზეზად კახი ასათიანის მკვლელობა იქცა. სამართალდამცველთა მიმართ პრეტენზიებს კი კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა ჯერაც ვერგანხორციელებული რეფორმის თემა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## "მეხუთე ხელისუფლება" დიდების ზენიტშია

*ბოლო პერიოდში სულ უფრო თვალშისაცემი გახდა "მეხუთე ხელისუფლების" - კრიმინალური სამყაროს - გააქტიურება. ნათლად გამოიკვეთა მისი მცდელობა, თავისი კვალი დაამჩნიოს და მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართოს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. პოლიტიკის და ბიზნესის კრიმინალიზაციაზე, როგორც სამწუხარო რეალობაზე, სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურებში, მათ შორის, პარლამენტში, დღეს უკვე ღიად და ხმამაღლა საუბრობენ. "ურთიერთობების ავტომატებით გარკვევა მალე, ალბათ, ყოველდღიური ცხოვრების წესი გახდება", -შეშფოთებულია ზურაბ ჟვანია.*

გიორგი ასანიშვილი

ზუსტად ერთი წლის წინათ, საქართველოს პარლამენტმა კობა ნარჩემაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრად დაამტკიცა. თუმცა, საკანონმდებლო ორგანოში მისი გუშინდელი სტუმრობა არც ამ თარიღის აღნიშვნასთან იყო დაკავშირებული და არც რაიმე გეგმიური ანგარიშის მოსმენასთან. რუსთაველის რვა ნომერში ნარჩემაშვილს იმიტომ უხმეს, რომ პარლამენტარებისთვის აეხსნა, უკანასკნელ ხანს რატომ გააქტიურდა "მეხუთე ხელისუფლება".

ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესებას შს მინისტრი რამდენიმე მიზეზით ხსნის. ნარჩემაშვილის განმარტებით, ადრე დანაშაულის აღრიცხვა არ ხდებოდა,

გაგრძელება A3 გვერდზე

# ნატო-ში საქართველოს საგანგებო პარტნიორობას სთავაზობენ

შოთა უტიაშვილი

გუშინ ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღმოსავლეთ ევროპის შვიდი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შექმნის შემდეგ ეს მისი ყველაზე დიდი გაფართოებაა. ამასთან ერთად, ნატო-ს ხელმძღვანელობა ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ მისი კარი ღიაა ევროპის ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელიც მის მიზნებს იზიარებს და მის სტანდარტებს შეესაბამება.

დღეს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტზე საქართველოს პრეზიდენტი ოფიციალურად განაცხადებს საქართველოს სურვილს, გახდეს ნატო-ს წევრი. თუმცა ეს, ბუნებრივია, ნატო-ში სწრაფ გაწევრიანებას სულაც არ ნიშნავს. გუშინდელ გამოსვლებში პრეზიდენტი მუდმივად ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ჩრდილო- ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრირების პროცესი ხანგრძლივი და შრომატევადი იქნება.

გაგრძელება A2 გვერდზე




REUTERS

## მეწარმეები ძალოვან სტრუქტურებს უნდობლობას უცხადებენ

*ავიაკომპანია “აირზენას” ვიცე-პრეზიდენტის კახი ასათიანის მკვლელობას ბიზნესმენებიც გამოეხმაურნენ. გუშინ გადამხდელთა კავშირის ოფისში მეწარმეობისათვის ხელშემშლელი პირობებისა და ბარიერების განსახილველად შეკრებილმა ბიზნესმენებმა ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებაში შინაგან საქმეთა მინისტრი დაადანაშაულეს და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებაც მოითხოვეს. საგანგებო დეკლარაცია, რომელშიც საქართველოს გადამხდელთა კავშირის საბჭომ სამართალდამცავი ორგანოების მიმართ თავისი უნდობლობა დააფიქსირა, შეხვედრის ორგანიზატორებმა გუშინვე გაუგზავნეს პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობის შესაბამის უწყებებს.*

სოფიკო ოხანაშვილი

წინასწარი შეთანხმებით, გადამხდელთა კავშირისა და არასამთავრობო ორგანიზაციის “ახალგაზრდა ფინანსისტებისა და ბიზნესმენების ასოციაციის” ერთობლივი შეხვედრის მთავარი თემა სახელმწიფო რეკეტის, მეწარმეების საქმიანობაში შავი სამყაროს ჩარევის და აქედან გამომდინარე შექმნილი ბარიერების განხილვა უნდა ყოფილიყო, მაგრამ კახი ასათიანის მკვლელობამ დღის წესრიგი ნაწილობრივ შეცვალა და შეხვედრაზე მისულმა ბიზნესმენებმა ქვეყანაში არსებული დანაშაულებრივი გარემოს მიზეზებზე და შექმნილ მდგომარეობაში დამნაშავეების გამოვლენაზეც ისაუბრეს. მეწარმეებმა მძიმე კრიმინოგენული ვითარების მთავარ მიზეზად კორუმპირებული სამართალდამცავი სისტემა დაასახელეს. პრეზიდენტისათვის გაგზავნილ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში “ტოტალური ხასიათი

გაგრძელება A4 გვერდზე

# ნატო ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე და მათი თავისუფლებისთვის ფართოვდება

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება", პრაღა სპეციალურად „24 საათისათვის„*

*პრაღის კონგრესების სასახლე, სადაც თავის დროზე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გრანდიოზული თავყრილობები იმართებოდა, მეორე დღეა, 21-ე საუკუნის უდიდეს ისტორიულ ღონისძიებას მასპინძლობს. კომუნისტური სისტემის ნგრევის შემდეგ ზედიზედ მეორედ ალიანსის გაფართოება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე მოხდა. 21 ნოემბერს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა ოფიციალურად განაცხადა ალიანსის რიგებში ახალი 7 ქვეყნის მიწვევის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ნატო-ს გაფართოების ყველაზე დიდი ტალღა დაუკავშირდა სწორედ იმ ქალაქის სახელს, საიდანაც ვარშავის პაქტის რღვევას დაედო სათავე.*

### ისტორიული სამიტის ხმაურიანი პროლოგი

როგორც მოსალოდნელი იყო, ნატო-ს სამიტზე პრაღაში ყველაზე პირველად აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ჩავიდა, რომელიც 20 ნოემბერს ჩეხეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს შეხვდა და ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ "ამერიკა მხარს უჭერს ნატო-ს გაფართოებას ახლაც და მომავალში," ხოლო მთავარ საფრთხედ, რომელსაც ალიანსის ქვეყნები გაერთიანებული ძალით უნდა შეებრძოლონ, ბუშის აზრით, გლობალური ტერორიზმი და ტერორისტული რეჟიმების ხელთ არსებული ბირთვული და რადიოაქტიური საშუალებები რჩება. ამიტომ, ამერიკის ლიდერმა ღიად მოუწოდა ალიანსს, გამოიყენოს ძალა იმ შემთხვევაში, თუ ერაყის ლიდერი სადამ ჰუსეინი უარს განაცხადებს განიარაღებაზე.

ასეთი მოწოდებების ფონზე დაიწყო მუშაობა ოცდამეერთე საუკუნის ნატო-ს პირველმა სამიტმა პრაღაში, სადაც თავი მოიყარა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და პარტნიორი

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ტერორი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 TV პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# დღეს პარლამენტში იმუნიტეტის შეზღუდვაზე იმსჯელებენ...

თამარ ხორბალაძე

*დღეს საქართველოს პარლამენტში "სოციალისტთა" ფრაქციის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი წარმოადგენს ინიციატივას პარლამენტართა იმუნიტეტის შეზღუდვის შესახებ. დეპუტატი აცხადებს, რომ იგი დღეს დაადგენს, რამდენად გულახდილნი არიან ქართველი პარლამენტარები მაშინ, როცა ხმამაღალ გამოსვლებში საკუთარი იმუნიტეტის შეზღუდვაზე თანხმობას აცხადებენ. ამ საკითხის ინიცირებას (და არა დამტკიცებას) 79 პარლამენტარის დასტური სჭირდება. დღეს ზაქარია ქუცნაშვილი ამ მხარდაჭერის მიღებას შეეცდება. საქართველოს პარლამენტართა იმუნიტეტის შეზღუდვის თემა პოპულარული ჯერ კიდევ მაშინ გახდა, როცა სხვადასხვა დანაშაულებებში "შემჩნეულმა" პირებმა პარლამენტართა მანდატებზე ნადირობა ციხიდან თავის დასაღწევად გამოაცხადეს. მას შემდეგ ეს საკითხი პოლიტიკური დაპირისპირების გამწვავების, ან პარლამენტართა კრიმინალური გამოხდომების პირობებში, დროდადრო ხდებოდა ხოლმე აქტუალური.*

"24 საათი" უკვე გამცნობდათ, რომ საქართველოს მთავრობამ, კონკრეტულად კი იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი, რომელიც საქართველოში მოქმედი იმუნიტეტების სისტემის შეზღუდვას ითვალისწინებს. კანონპროექტი უშუალოდ ეხება პარლამენტარებსაც, რომელთაც იმუნიტეტი არ გაუუქმდებათ, მაგრამ გარკვეული შეზღუდვა აქაც არის დაგეგმილი. გაცილებით უფრო სერიოზული ცვლილებებია დაგეგმილი თავად მთავრობის წევრებთან მიმართებაში.

ეს პროექტი მომზადებულია ჯერ კიდევ აპრილში პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული ანტიკორუფციული პროგრამის შესაბამისად. კანონპროექტის ავტორთა აზრით **"იმუნიტეტის გავრცელება მიზანშეწონილია მხოლოდ დაკავებასთან დაკავშირებით, ხოლო ჩხრეკა და პასუხისგებაში მიცემა დასაშვები უნდა იყოს, თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით..."**

თუმცა, მისი შემოტანა მთავრობამ პარლამენტში ვერ გაბედა თუ არ ჩათვალა საჭიროდ. ამის მიზეზი, შესაძლოა, ისიც იყოს, რომ იმუნიტეტიანთა (შესაბამისად - იმუნიტეტშესაზღუდთა) ნუსხა, ამ კანონპროექტის მიხედვით, პარლამენტარებს სცილდება და სხვა სახელისუფლებო შტოებსაც მოიცავს (შეგახსენებთ, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოში იმუნიტეტით სარგებლობენ პარლამენტის წევრები, მთავრობის წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და პრეზიდიუმის წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, მოსამართლეები, პროკურორები, წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატები, ომბუდსმენი. დიპლომატიური კორპუსის იმუნიტეტი კი გათვალისწინებულია ვენის კონვენციით).

დღეს არსებული ინფორმაციით, კანონპროექტში, რომლის შეთავაზებასაც პარლამენტისთვის "სოციალისტი" პარლამენტარი აპირებს, უშუალოდ დეპუტატების იმუნიტეტზეა საუბარი და იგი ზემოთ მოხსენიებულ ვარიანტზე მეტად იზღუდება. თუმცა, მეორეს მხრივ, იმუნიტეტი შენარჩუნდება პოლიტიკური ხასიათის განცხადებებთან მიმართებაში. ამ კანონპროექტის დეტალები დღეს გახდება ცნობილი.

ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, რომ მან არ ჩათვალა საჭიროდ, დალოდებოდა კანცელარიის ინიციატივას, რადგან დღეს შექმნილ სიტუაციაში იმუნიტეტის შეზღუდვა გადაუდებელ და აუცილებელ მოვლენად მიაჩნია. მეტიც - იგი დღეს აპირებს, პარლამენტარებს იმუნიტეტის სრულად მოხსნაც შესთავაზოს, თუ ისინი ამაზე წავლენ.

რადგან საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და გარკვეულ პოლიტიკურ საფრთხეებსაც გულისხმობს (რის გამოც თავად ინიციატორიც იმუნიტეტის მთლიანად გაუქმებისკენ არ იხრება), ეს თემა, სავარაუდოდ, სერიოზული დებატების საგნად იქცევა.

მით უმეტეს მაშინ, როცა ერთ წელიწადში არჩევნები უნდა ჩატარდეს და დღეს, პოლიტ-კრიმინალური სიტუაციის დაძაბვის კვალდაკვალ, გაზრდილია შანსი იმისა, რომ იმუნიტეტის არქონის შემთხვევაში, ხელისუფლებას პოლიტიკურ ლიდერებზე უკანონო ზეწოლის დამატებითი ბერკეტი მიეცეს.

## მოკლედ

**თბილისი.** აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ჰამლეტ ჭიპაშვილს მიაჩნია, რომ რუსეთის წინადადება გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენელთა დასწრების აუცილებლობის შესახებ, აუცილებელი პირობაა მხარეთა თანხმობისთვის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში. ამასთან დაკავშირებით, თბილისში გამოთქმული კრიტიკა იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას კონფლიქტის მოსაგვარებლად მშვიდობიანი გზების ძიება არ სურს. მისი თქმით, იმაში, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ბოდენის დოკუმენტის განხილვას დაესწრება აფხაზური მხარე, "საშინელი არაფერია, ეს პრობლემა ხომ მასაც ეხება". სოხუმის სრული იგნორირება პრობლემას არ გადაწყვეტს, დასძინა მან. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის პრეს-მდივანმა კახა იმნაძემ განაცხადა, რომ რუსმა სამხედროებმა ქვეყნის ტერიტორია უნდა დატოვონ. "რუსეთის სამხედრო ბაზები გაყვანილი უნდა იქნენ საქართველოდან 1999 წლის ეუთოს სტამბულის სამიტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, და ისინი აუცილებლად გავლენ", - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**გალი.** გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელობა აპროტესტებს ქართულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას გალის რაიონში პანკისის ხეობის მსგავსად ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების შესახებ და მას პროვოკაციულს უწოდებს. ამის შესახებ ჭუბურხინჯში გამართულ შეხვედრაზე გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა. ქიშმარია ამგვარ განცხადებებს პროვოკაციულს უწოდებს და ქართულ მხარეს მოუწოდებს არ გაიმეოროს 1998 წლის გალის მოვლენების მსგავსი შეცდომები, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობის მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა. როგორც ტრადიციულ შეხვედრაზე აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში განლაგებული გაეროს სამხედრო მისიის ხელმძღვანელმა გენერალმა კაზი აშფაკმა განაცხადა, მისიის ხელმძღვანელობა კოდორის ხეობაში არსებული ვითარებით კმაყოფილია. რის დასტურადაც მან ხეობაში 19 ნოემბერს დაწყებული და დღეს დასრულებული გაერო-სა და სამშვიდობო ძალების წარმომადგენელთა ერთობლივი პატრულის შედეგები დაასახელა. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს ქართული მხარის განზრახვასთან დაკავშირებით მომავალ წელს კოდორის ხეობაში მესაზღვრეებისათვის ასაფრენი და დასაჯდომი ზოლის მოწყობის შესახებ. აფხაზეთის არაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ საპასუხოდ აფხაზური მხარე კოდორის ხეობაზე პოლიტიკურ და სამხედრო კონტროლს დაამყარებს. "აფხაზეთი კოდორის ხეობის სრულ დემილიტარიზაციას ითხოვს, თბილისი კი თავისი მოქმედებით შეიარაღებული შეტაკების პროვოცირებას ახდენს", განაცხადა სერგეი შამბამ. "ქართული მხარის მსგავსი ქმედებები აფხაზებში აძლიერებს კოდორის ძალით გაკონტროლების განწყობას, ამიტომ აფხაზური მხარე ადექვატური მოქმედების უფლებას იტოვებს", განაცხადა სერგეი შამბამ. აფხაზეთი კოდორში დასაჯდომ-ასაფრენი ზოლის მოწყობას არ დაუშვებს. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**ჭუბურხინჯი.** ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე სამართლებრივად უნდა შეეფასებინათ რამდენიმე კვირის წინათ 23 გალელი ქართველის მძევლად აყვანის ფაქტი. როგორც ცნობილია, მათი გათავისუფლება მხოლოდ მას მერე მოხერხდა, რაც ზუგდიდში საგანგებოდ გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე ჩასულმა კოფი ანანის მოადგილემ სამშვიდობო ოპერაციების საკითხებში ჟან-მარი გენომ სეპარატისტებს მძევალთა უპირობოდ გათავისუფლება სთხოვა. გაეროს მისიამ აღნიშნულ ფაქტს აღმაშფოთებელი უწოდა და გამოძიების დასრულებისთანავე დამნაშავეთა დასჯა მოითხოვა. აფხაზურმა მხარემ კატეგორიული უარი განაცხადა ფაქტის გამოძიებაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდლის კლიმენტი თევზაძის მონაწილეობაზე. ამის მიზეზად სეპარატისტებმა ის მოტივი დაასახელეს, რომ საქმის გამოძიებაში არ უნდა მონაწილეობდეს სამხედრო პირი. სეპარატისტთა მხრიდან გამოძიებაში რამდენიმე სამოქალაქო პირია ჩართული, გაეროს მხრიდან - ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის წარმომადგენლები. რაც შეეხება რუსეთს, დღევანდელ შეხვედრაზე გაირკვა, რომ მას საქმის გამოძიებაში თავისი წარმომადგენლები არც კი დაუნიშნავს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ბადრი ბიწაძე სამეგრელოს რეგიონში ფართომასშტაბიანი პოლიციური ოპერაციის ჩატარების წინააღმდეგია. ამის შესახებ მან ზუგდიდში გენერალური პროკურატურის კოლეგიის გასვლით სხდომაზე განაცხადა, რომელიც მიეძღვნა სამეგრელოს რეგიონში კრიმინოგენული ვითარების გაუარესებას. ბიწაძემ მოითხოვა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურორის ბორის კვარაცხელიას თანამდებობიდან გადაყენება, მაგრამ კოლეგიის წევრების თხოვნის შემდეგ კვარაცხელიას კიდევ რამდენიმე თვე მიეცა. გარდა ამისა, გენერალური პროკურორის მოადგილემ კატეგორიულად მოითხოვა ფოთის და ზუგდიდის პროკურორების გათავისუფლება. კოლეგიის სხდომაზე რეგიონში არსებულ კონტრაბანდის ფაქტებზეც ისაუბრეს, რაზეც გუბერნატორმა ბონდო ჯიქიამ განაცხადა, რომ კონტრაბანდაში პროკურატურის თანამშრომლებიც არიან ჩართული. ჯიქიას ამ განცხადებას პროკურორთა აღშფოთება მოჰყვა და გუბერნატორისგან კონკრეტული დამამტკიცებელი ფაქტები მოითხოვეს. გარდა ამისა, ბონდო ჯიქიამ ბიწაძისგან მოითხოვა სამეგრელოს ყველა რაიონში საკადრო ცვლილებების განხორციელება და ყველა რაიონის პროკურორის შეცვლა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მოსკოვში ვოიაჟის დროს ირკვევა, რომ მთავრობას თბილისში ელექტროენერგიის მომატებული ტარიფის კომპენსაციის თანხა "ეი-ი-ეს თელასისთვის" არ გადაურიცხავს, ამიტომ ამერიკული კომპანია მოსახლეობისგან ელექტროენერგიის გაზრდილ საფასურს ითხოვს. როგორც "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბანერმა სახელმწიფო მინისტრთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ამერიკულ კომპანიას საკომპენსაციო თანხა ანგარიშზე ჯერაც არ მიუღია, ამიტომ "ეი-ი-ეს თელასი" მომხმარებელს შეღავათს მაშინ დაუწესებს, როცა მთავრობისგან თანხას რეალურად მიიღებს. აღმასრულებელი ხელისუფლება დაჟინებით ამტკიცებს, რომ "ეი-ი-ეს თელასს" თანხა გადაერიცხა. ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა განცხადება ჯერ კიდევ გუშინ გააკეთა. **ინტერ-პრესი.**

# ნატო-ში საქართველოს საგანგებო პარტნიორობას სთავაზობენ

### თუ საქართველო წაყენებულ პირობებს ვერ შეასრულებს, გაცილებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე დღეს არის

პირველი გვერდიდან

ექსპერტების აზრით, საქართველოს ალიანსში გაწევრიანების სურვილს ნატო ისე უპასუხებს, როგორც სხვა კანდიდატებს. ის მისთვის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოთხოვს.

ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა ხუთ ძირითად ასპექტს მოიცავს. ეს ასპექტებია - პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო-თავდაცვითი, სარესურსო უზრუნველყოფის, ინფორმაციის უსაფრთხოებისა და სამართლებრივი ჰარმონიზაციის. ქართველი დიპლომატების აზრით, ამ სამოქმედო გეგმის დაწყება, რომელსაც სამი-ოთხი წლის შემდეგ ალიანსის წევრობა მოსდევს, ჩვენთვის ჯერ ნაადრევია, რადგან საქართველო ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს. არადა, ამის გარეშე ნატო-ში გაწევრიანება შეუძლებელია.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭო ე.წ. კონსოლიდირებულ მოხსენებას მიიღებს, რომელიც სათავეს დაუდებს არაწევრი ქვეყნების ნატო-სთან ურთიერთობის ახალ მოდელს. ე.წ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას. ამ მოდელის თანახმად, წევრობის მსურველი სახელმწიფო მხოლოდ იმ ვალდებულებებს იღებს, რომლის შესრულებაც მას შეუძლია. ეს კი ნატო-ს სტანდარტებთან ნაბიჯ-ნაბიჯ მიახლოებას ნიშნავს. ეს პროცესი, ბუნებრივია, უფრო მეტხანს გაგრძელდება, ვიდრე გაერთიანების სამოქმედო გეგმა მოითხოვს, მაგრამ ის შეზღუდული შესაძლებლობების ქვეყნებს საშუალებას აძლევს, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ ნატო-სთან და გაწევრიანების პროცესი, მართალია, დროში გაწელონ, მაგრამ უფრო ხელმისაწვდომი გახადონ.

"24 საათის" წყაროს ცნობით, დიდმა ბრიტანეთმა საქართველოს შესთავაზა, ინდივიდუალური გეგმის საცდელ ნიმუშად იქცეს, ანუ ჯერ შეხედავენ, როგორ განხორციელდება ეს გეგმა საქართველოს მაგალითზე და შემდეგ სხვა ქვეყნებზე ამ მოდელს გადაიღებენ, ან არ გადაიღებენ. ეს კი ნიშნავს, რომ ნატო საქართველოს საგანგებო პარტნიორობას სთავაზობს, რომლის მსგავსი მას სხვა ქვეყნებთან არ აქვს.



ნატოს სამიტზე.

REUTERS

ქართველი დიპლომატები, რომელთაც "24 საათი" ესაუბრა, კმაყოფილებას გამოხატავენ ამ გეგმასთან დაკავშირებით. მაგრამ, ერთხმად აღნიშნავენ, რომ საქართველომ დათქმულ ვადებში უნდა შეასრულოს ყველა აღებული ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას გაუფუჭდება ურთიერთობა ნატო-სთან და მისი გაწევრიანების პერსპექტივაც უფრო ბუნდოვანი გახდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პირობების შესრულების პერსპექტივას ისინი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებენ, ძირითადად, ჩვენი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

ნატო-სთან დაახლოების მიზნით, განვლილ წლებში საქართველომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის სასაზღვრო ჯარების გაყვანა, რუსული ბაზების გასვლასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების დაწყება, რასაც ერთი ბაზის გაყვანა და მეორე ბაზის თითქმის დახურვა მოჰყვა. გარდა ამისა, რუსეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ მზად არის დანარჩენი ბაზების გასაყვანადაც.

კითხვაზე - რა შეიძლება იყო ნატო-ში გაწევრიანები გზაზე მთავარი დაბრკოლება, "რადიო თავისუფლება-ში" გამოსვლის დროს პრეზიდენტმა ორი მთავარი მიზეზი დაასახელა. ეს არის ეკონომიკური პრობლემები და გადაუწყვეტელი კონფლიქტები. თუმცა, ქართველი დიპლომატები აცხადებენ, რომ ნატო-ში გაწევრიანების გზაზე კონფლიქტები გადაუჭრელ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს. რადგან, როგორც ცნობილია, ნატო ქვეყნის საშინაო კონფლიქტებში არა ერევა.

ქართველი დიპლომატები ამბობენ, რომ საქართველო ბალტიის რესპუბლიკების მაგალითს მიბაძავს და არ დაელოდება, როგორი იქნება რუსეთის რეაქცია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭოს მდივნის, თედო ჯაფარიძის, განცხადებით, მოსკოვში მის რუს კოლეგა რუშაილოსთან შეხვედრის დროს, მას ეს საკითხი საერთოდ არ განუხილავს.

თავად ნატო-ელი დიპლომატების ნაწილი რამდენადმე ნაადრევად მიიჩნევს შევარდნაძის განაცხადს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების შესახებ და ფიქრობს, რომ ის არარეალისტურია. თუმცა, მეორეს მხრივ, გეოგრაფიულმა ფაქტორმა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე, შესაძლოა, დადებითად იმოქმედოს.

კითხვას, რამდენ ხანში შეიძლება გახდეს საქართველო ნატო-ს წევრი, ყველა თავს არიდებს. ბევრი ფიქრობს, რომ საუკეთესო შემთხვევაში, ანუ თუ საქართველო ყველა პირობას შეასრულებს, მას მინიმუმ 6 წელი დასჭირდება. თუმცა, შევარდნაძემ გუშინ განაცხადა, რომ, მართალია, გაწევრიანება დროში გაწელილი იქნება, მაგრამ გაცილებით ადრე მოხდება, ვიდრე ეს ბევრს ჰგონია. ერთი სიტყვით, ნატო-ს კარი ღიაა. აშკარაა, რომ ყველაფერი საქართველოზეა დამოკიდებული. ამას მოწმობს რობერტსონის განცხადება, როცა ის მიესალმა საქართველოს მისწრაფებას, თავისი უსაფრთხოება ჩრდილო-ატლანტიკურ შემადგენლობაში უზრუნველყოს.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. საქართველო ნატო-ში გაწევრიანებას მაშინ მოახერხებს, თუ ის ყველა მოთხოვნის შესრულებას შეძლებს, ხოლო თუ საქართველომ ეს პირობები ვერ შეასრულა და გაწევრიანების შანსი ხელიდან გაუშვა, ის გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე დღეს არის.

# ნატო ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე და მათი თავისუფლებისთვის ფართოვდება

პირველი გვერდიდან

ქვეყნების 46 ლიდერმა. ამ მოვლენის შესახებ ინფორმაციებს კონგრესის სასახლეში გახსნილი პრესცენტრიდან მსოფლიოს ყველა ქვეყნის 3000-ზე მეტი ჟურნალისტი გადასცემდა. ბუნებრივია, საპატიო სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩეხეთის ხელისუფლებამ დაცვის უპრეცედენტო ზომებს მიმართა. სამიტის დღეებში მობილიზებულ იქნა პოლიციისა და სპეცდანიშნულების ათასობით ჯარისკაცი, რომლებმაც გადაკეტეს მისასვლელი გზები და შეზღუდეს მოძრაობა კონგრესების სასახლესთან და ქალაქის ცენტრში. გარდა ამისა, ერთ კვირაზე მეტია, საბრძოლო მორიგეობის რეჟიმში მუშაობს ამერიკის სამხედრო ავიაციის კუთვნილი თექვსმეტი ერთეული f-16, რომელიც, ერთი მხრივ, საპატიო სტუმრების თვითმფრინავების ესკორტირებას და, მეორე მხრივ, კი საჰერო სივრცის დაცვას უზრუნველყოფს.

ცხადია, უსაფრთხოების დამატებითმა ზომებმა გარკვეული დისკომფორტი შეუქმნა ქალაქის მოსახლეობას, რომელიც აგვისტოს წყალდიდობის შემდეგ ჯერაც არ გამოსულა შოკიდან. ამას დაემატა ანარქისტებისა და კომუნისტების საპროტესტო გამოსვლები, რის გამოც ტურისტების მექად ცნობილი პრაღა მართლაც ციხე-სიმაგრეს დაემსგავსა. ამიტომაც ბევრი ოპონენტი ღიად უპირისპირდებოდა კიდეც სამიტის გამართვის იდეას პრაღაში. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი იძულებული გახდა, რამდენჯერმე გამოსულიყო პრესით და განემარტა ოპონენტებისთვის, თუ რატომ ტარდება სამიტი დედაქალაქში და არა სადმე სხვაგან.

თუმცა, სამიტის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა მაინც არა უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებსა და ნიღბიან ანარქისტთა სამშვიდობო მსვლელობებს, არამედ პრაღაში რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის ჩამოუსვლელობას უკავშირდება.

## რუსეთი ნაძალადევად თანხმდება ალიანსის გაფართოებას

"უკმაყოფილება, მაგრამ დათმობა," - ასე აფასებენ ექსპერტები მოსკოვის ამაჟამინდელ პოზიციას ნატო-ს გაფართოების პროცესთან დაკავშირებით. რუსეთი, რომელიც ახლო წარსულში ნატო-ს გაფართოების პროცესის აშკარა ოპონენტი იყო, ახლა ამბობს, რომ შვიდი შედარებით სუსტი ქვეყნის შემატება ტვირთად დააწვება



ნატო-ს წევრი ქვეყნების პრეზიდენტები პრაღაში.

REUTERS

ცივი ომის დროინდელ ძველმოდურ ალიანსს და მას უფრო და უფრო ნაკლებად რელევანტურს გახდის.

ყოველთვის, როცა ნატო-ს საზღვრების გაფართოების საკითხი დგებოდა, მოსკოვი უკმაყოფილო ბუზღუნს იწყებდა. ასეა ამჯერადაც - პრაღის სამიტის შემდეგ ნატო-ს საზღვრები ხომ მთლად რუსეთის ზღურბლთან გადაიწევს. თუმცა, რუსეთი უკვე წინანდელივით ხმამაღლა აღარ გამოხატავს უკმაყოფილებას. ნატო-ს ექსპანსიისადმი დიპლომატიური თითის დაქნევა იმ ნაცნობ რიტორიკაზე შორს არ მიდის, რომელსაც კრემლის პოზიციის ჩამოსაყალიბებლად რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, სერგეი იასტრჟემბსკიმ სამიტის დღეებში კიდევ ერთხელ მიმართა.

სერგეი იასტრჟემბსკი: **"ჩვენ მიგვაჩნია, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით გაფართოების ეს მოდელი პირწმინდად ინოვაციული მიდგომის შედეგია. ვინაიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ნატო-ს პირველი გაფართოების შემდეგ, არც ჩეხეთს, არც უნგრეთს და არც პოლონეთს, მათდამი ჩვენი პატივისცემის მიუხედავად, ხელი არ შეუწყვია იმისთვის, რომ ნატო-ს უფრო ოპერატიულად და ეფექტიანად ემოქმედა ტერორიზმის წინააღმდეგ. ამ სამი ქვეყნის მექანიკური გაწევრიანებით ნატო-ს ანტიტერორისტული ბრძოლისუნარიანობა არ გაზრდილა."**

ბუნებრივია, კრემლის სპოუკსმენის ამ თავდაჭერილი კომენტარის მიღმა მაინც აშკარად ჩანს, რომ ჩრდილო-ატლანტური ალიანსის გაფართოების ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულია რუსეთისთვის. პრაღის სამიტზე ოფიციალური მიწვევა ხომ ყველა იმ ქვეყანამ მიიღო, რომლებიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ კრემლის გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი, როგორც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები, ხოლო სლოვენია, სლოვაკია, ბულგარეთი და რუმინეთი - როგორც "ვარშავის ბლოკის" წარმომადგენლები.

მაგრამ ყველას ესმის, რომ ეს მხოლოდ პროტესტის რბილი ფორმაა და ამ ნაძალადევ თანხმობას აქვს თავისი მიზეზები. მოსკოვის კარნეგის ცენტრის წარმომადგენლის რობერტ ნურიკის თქმით, რუსეთი შეურიგდა იმ ფაქტს, რომ წინ ვერ აღუდგება ნატო-ს გაფართოების პროცესს. გარდა ამისა, ნათელია პუტინის გარემოცვის მოტივაცია - მათ არ სურთ, შეაფერხონ რუსეთ-ნატოსა და რუსეთ-ამერიკის ფართო თანამშრომლობა უსაფრთხოების საკითხებში, 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ რომ დაიწყო და ამა წლის მაისში რუსეთ-ნატოს საბჭოს შექმნით გაგრძელდა.

ამიტომ, პროფესიით დიპლომატი იასტრჟემბსკის განცხადება ნატო-ს გაფართოების "ინოვაციული მოდელის წარუმატებლობის" შესახებ, ისეთივე ყაიდისაა, როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის არადიპლომატიური მეტაფორა, როდესაც საქართველოს მისამართით განაცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს შევიდეს, სადაც უნდა, მათ შორის, "სექსუალურ უმცირესობათა ლიგაშიო." თუმცა, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მოინელებს რუსეთი იმ ფაქტს, რომ მის საზღვარს ერთ მშვენიერ დღეს სამხრეთიდანაც მოადგეს ნატო-ს ბლოკი საქართველოს ან აზერბაიჯანის სახით. სხვათა შორის, აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიის პირველი ქვეყანაა, რომელიც ავღანეთში თავის სამშვიდობო ასეულს გააგზავნის, რაც იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ საქართველო ემზადება 21 ნოემბერს ნატო-ს კარზე დასაკაკუნებლად.

## ვისაც გვჭერა, გაგვატარეთ

მაშ, ასე, პრაღის სამიტზე ალიანსის საზღვრები კიდევ ერთხელ გაფართოვდა და მის საზღვრებში ამჯერად მთელი ე.წ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები აღმოჩნდნენ მოქცეული. ოფიციალური მოწვევიდან ნატო-ს სრულუფლებიან წევრობამდე რამდენიმე აუცილებელი პოროცედურა, მათ შორის პარლამენტების რატიფიკაცია და, ბოლოს, ნატო-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის თანხმობაცაა საჭირო, მაგრამ რობერტსონის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ, ბალტიისპირელი ჟურნალისტები, რომლებიც პრეს-ცენტრში ჩვენს გვერდით იმყოფებოდნენ, უკვე შამპანურით აღნიშნავდნენ მათი ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებას.

სხვათა შორის, ის რომ, ნატო-ს შვიდი ახალი წევრი შეემატებოდა, ჯერ კიდევ 20 ნოემბერს, გენერალური მდივნის სტუდენტებთან შეხვედრაზე გახდა ცნობილი. იმავე დღეს რობერტსონმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ნატო-ს კარები კვლავ რჩება ღია, პარტნიორი ქვეყნებისთვის, ირლანდიიდან უზბეკეთის ჩათვლით. **"ალიანსმა დაამტკიცა, რომ თუკი ქვეყნები მისცემენ საშულებას, მას შეუძლია მიზნის მიღწევა. ხოლო სკეპტიკოსებმა უნდა ჩაიბეჭდონ გონებაში ერთი რამ: "ვინც ამბობს, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, არ უნდა შეუშალოს ხელი მათ, ვინც უკვე საქმეზეა მიმდგარი."**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პარლამენტი კვლავ ცესკო-ს წინააღმდეგ

თამარ ასათიანი

დავიწყოთ იმით, რომ საარჩევნო ადმინისტრაციებს, საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების ორგანიზების უფლება აღარა აქვთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ატესტაცია გავლილი არ აქვთ. შეგახსენებთ, რომ ეს ამკრძალავი ნორმა ამოქმედდა 2002 წლის 31 აგვისტოდან.

შესაბამისად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო ე.წ კომპრომისული გადაწყვეტილება და შექმნა სპეცჯგუფები, რომელთა უფლებამოსილება განისაზღვრება საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის გათვალისწინებული უფლებების ფარგლებში. სპეცჯგუფებში წევრების დანიშვნის პრეროგატივა არჩევნებში მონაწილე კანდიდატებს აქვთ.

ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ უბნებზე დაძაბულობის ხარისხი საკმაოდ მაღალი იქნება. თანაც, თუ გავითვალისწინებთ იმ მოსალოდნელ ბატალიებს, რომელიც თუნდაც ზვიად ძიძიგურსა თუ გივი თარგამაძეს დაუკავშირდება, ადვილი წარმოსადგენია, არჩევნების დღეს რა მძიმე ორთაბრძოლები ექნებათ გადასატანი ცალკე კომისიებსა და ცალკე კანდიდატებს (საკუთარი მხარადმჭერებითურთ).

ამ ფონის გათვალისწინებით, შესაძლებელია, გამართლებულიც კი ყოფილიყო ორი დღის წინ პარლამენტში გაჟღერებული მოთხოვნა ჯუმბერ ლომინაძის მისვლის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის ვიტალი ხაზარაძის დაჟინებული თხოვნით, პარლამენტმა ჯუმბერ ლომინაძე თავისთან იხმო, მოისმინა ინფორმაცია არჩევნებისთვის მზადებასთან დაკავშირებით და... კვლავ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ შემადგენლობით სასწრაფოდ დასაშლელია.

პარლამენტში დაბარებულმა ცესკოს თავმჯდომარემ საკმაოდ დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა დეპუტატებს, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ თითქმის ცარიელ დარბაზში მსხდომ პარლამენტარებს, რომლებიც, ძირითადად, სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები იყვნენ, ჯუმბერ ლომინაძის პარლამენტში მისვლა უფრო პოლიტიკური განცხადებებისათვის დასჭირდათ, ვიდრე საქმის რეალურად გასაცნობად.

შესაბამისად, რუსთავში, აბაშაში, სამტრედიასა და თბილისის საბურთალოს რაიონში დაგეგმილი მაჟორიტარული არჩევნებისთვის მზადების ისტორიას მხოლოდ ოციოდე დეპუტატი უსმენდა. თუმცა, როგორც ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" ლიდერმა ვიტალი ხაზარაძემ ბრძანა, **"ეს მთელი საქართველოს საქმეა, რადგან არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისთვის ზრუნვა ქვეყნისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს."**

ჯუმბერ ლომინაძემ პარლამენტს აღუთქვა, რომ 30 ნოემბერს ოთხ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნების ჩასატარებლად ყველაფერი მზადაა.

ამავე დროს, ლომინაძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ პრობლემად რჩება ამომრჩეველთა სიების დაზუსტება, რისი მოგვარებაც ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება. სიებს წარმოადგენს საქართველოს შს სამინისტრო, რომელიც მოქალაქეებისთვის გაცემულ პირადობის მოწმობებს ეფუძნება. სიების არასრულყოფილების მიზეზი კი ისაა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის პასპორტებით სარგებლობს.

მიუხედავად ოპტიმისტური გამოსვლისა, ლომინაძეს მაინც მოუწია დეპუტატებისგან პრეტენზიების და შენიშვნების მოსმენა.

ვიტალი ხაზარაძის თქმით, "მოქალაქეთა კავშირის" ოფისში ჩატარდა საბურთალოს რაიონის საარჩევნო შტაბის სხდომა, სადაც შემაშფოთებელი ინფორმაცია მოისმინეს ამომრჩეველთა სიებთან და საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობის არჩევასთან დაკავშირებით.

**"ცესკო ვერ ახერხებს არჩევნების ადმინისტრაციულ უზრუნველყოფას,"** - აცხადებს ხაზარაძე. მისი თქმით, 30 ნოემბერს საბურთალოს რაიონში არჩევნებისთვის შესაფერისი პირობების უზრუნველყოფა ცესკომ იკისრა, რასაც თავს ვერართმევს. **"პარლამენტი მზად არის, თბილისის ერთ უბანში მაინც შეიქმნას პრეცედენტი იმისა, რომ ქვეყანაში მომავალი არჩევნების ნორმალურად ჩატარების პერსპექტივა არსებობს,"** - განაცხადა ხაზარაძემ.

ხაზარაძეს არც ფრაქცია "ალიანსის" ლიდერი ირაკლი გოგავა ჩამორჩა და განაცხადა, ცესკოს დაშლა 30 ნოემბრის არჩევნების შემდეგ უნდა მოხდეს, რადგან იგი საზოგადოებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

მისი თქმით, **"ცესკო არჩევნების გაყალბების ცენტრია".**

როგორც სხდომაზე საარჩევნო დარღვევების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, ფრაქცია "სოციალისტის" წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, **"პარლამენტი, სავარაუდოდ, ერთსულოვანი იქნება იმაში, რომ ცესკო მთლიანად დაითხოვონ."**

სხვათა შორის, ამავე სხდომაზე ერთი საკმაოდ საგულისხმო ტენდენციაც გამოიკვეთა. იმავე ვიტალი ხაზარაძემ ცალსახად მოითხოვა არჩევნებისთვის მზადების პროცესში დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრთა ჩართვა, რადგან როგორც ხაზარაძემ განაცხადა, **უკვე სახეზეა საკმაოდ სერიოზული დარღვევები**. თუმცა, ჯერჯერობით, ამ ინიციატივას გამოხმაურება არ მოჰყოლია. შესაბამისად, 30 ნოემბრის არჩევნები კვლავ საარჩევნო ადმინისტრაციების თავსატეხი იქნება.

# რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ვიცე-სპიკერის ცხოვრებიდან

გიორგი ასანიშვილი

*...პარლამენტის პლენარულ სხდომას სპიკერის სავარძელში მოკალათებული ვახტანგ რჩეულიშვილი უძღვება. ვიცე-სპიკერი უარმიო გენერალს ჰგავს - დარბაზში სულ 9 დეპუტატი ზის. სამი მათგანი ტკბილად თვლემს, ორი რაღაცაზე ედავება ერთმანეთს, ერთი მიკროფონთან დგას, ერთი კი კროსვორდს შესჭიდებია. ტრიბუნასთან მყოფი გენერალური პროკურორის მოადგილე ვენედი ბენიძე პარლამენტარებს აცნობს ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც პროკურატურის საქმიანობის რეფორმირებას ისახავს მიზნად - პროკურორებისთვის სავალდებულო უნდა იყოს სპეციალური ფორმის ტარება, რომლის ნიმუშსაც დაამტკიცებს ... საქართველოს პრეზიდენტი. მოწყენილობა აპოგეას აღწევს. მელანქოლია მოეძალა ვახტანგ რჩეულიშვილსაც. უცებ, მას სპიკერის ჩაქუჩი მოხვდა თვალში (არაპირდაპირი გაგებით) და ხალისი დაუბრუნდა: "რა კარგია ეს ჩაქუჩი, ამის დედა ვატირე, ცოტა მძიმე რომ არ იყოს", - საამური ფიქრები მიკროფონში გაახმოვანა ქართველი სოციალისტების თავკაცმა.*


ვახტანგ რჩეულიშვილი

ეტყობა, რჩეულიშვილს გუშინ ძალიან სურდა სპიკერის "ჯადოსნური კვერთხის" ძალაში დარწმუნება. მან დიდხანს არჩია მსხვერპლი (თუმცა, როგორც მოგახსენეთ, არც ისე ფართო არჩევანი ჰქონდა) და თვალი როზა ლორთქიფანიძეს დაადგა, რომელიც სხდომათა დარბაზს ტოვებდა.

**"ქალბატონო როზა, სად მიბრძანდებით, მოგწონთ ახლა თქვენი საქციელი?"**

წყალტუბოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ადგილზე გაშეშდა, შემდეგ მიკროფონთან მივიდა და ენა დაება: **"ალო, ალო, ისა... ისა...".**

**"ალო, რა მოსკოვი-თბილისის ხაზია?** - ლაღობდა რჩეულიშვილი, **- ასეთი საქციელისთვის პარლამენტს შეუძლია, საყვედური გამოგიცხადოთ."**

როდესაც "ალიანსელთან" ლაზღანდარობას მორჩა, ვიცე-სპიკერს "ნაციონალებისგან" განცდილი არაერთი წყენაც გაახსენდა და ისეთი ძალით დააბრახუნა ჩაქუჩი, მის ხმას საკრებულოში ნამდვილად გაიგონებდა მიხეილ სააკაშვილი.

**"თავის დროზე, იუსტიციის სამინისტროში მომზადდა კანონპროექტი სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ, მაგრამ ის ჯერ პარლამენტში არ შემოსულა. ალბათ, იქ იქნება მისი განხილვა,"** - მართალია, არ დაუკონკრეტებია, მაგრამ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელ სახელისუფლებო ორგანოს გულისხმობდა რჩეულიშვილი.

ისე ნუ გაიგებთ, თითქოს სპიკერის ჩაქუჩმა ვიცე-სპიკერი მთლიანად გაათავხედა და აგრესიული გახადა - სოციალისტების ლიდერი ცალკეულ მომენტებში ერთობ თავმდაბალი და ზრდილობიანობის განსახიერება იყო. მან, მაგალითად, დიდხანს უხადა ბოდიშები სხდომათა დარბაზში გამოჩენილ ნოდარ გრიგალაშვილს - ორიოდე კვირის წინათ მიყენებული შეურაცხყოფისთვის.

რჩეულიშვილის გუშინდელ ქმედებებს სხდომათა დარბაზიდან ყურადღებით აკვირდებოდა მეორე ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, ოღონდ - არა როგორც პოლიტიკური ოპონენტი.

**"მე ექიმი ვარ და კოლეგის ქმედებებს წმინდა პროფესიული კუთხით ვადევნებდი თვალს"**, - აცხადებს რჩეულიშვილის მიერ პარლამენტის პრეზიდიუმიდან "განდევნილი" გიგი წერეთელი.

როგორც ირკვევა, თავისი დაკვირვებების შედეგად ექიმ-პოლიტიკოსი რაიმე გადაწყვეტილებამდე ჯერ არ მისულა: **"დაკვირვების ობიექტი ჯერ ექსპერტებთან მყავს გაგზავნილი და შევხედავ, იქიდან რა სამედიცინო დასკვნას მოიტანს"**, - მოთმინებით არის აღჭურვილი გიგი წერეთელი.

# გიორგი ბარამიძე: "დღეს საქართველოს უსაფრთხოების დაცვა საგარეო ფრონტზე ხდება..."

თამარ ხორბალაძე

*მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტარები ერთმანეთს ასახიჩრებდნენ და სამი "დემოკრატი" დეპუტატის პარლამენტში ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა, სადეპუტატო რიგებიდან გაძევების ერთ-ერთი კანდიდატი გიორგი ბარამიძე სტამბოლში იმყოფებოდა და რუსეთის დელეგაციას "ერთი - თვრამეტზე" ებრძოდა.*

სტამბოლში გამართულ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტი, ფინანსური პრობლემების გამო, მხოლოდ დელეგაციის ხელმძღვანელით იყო წარმოდგენილი. დისკუსიაზე, ქართული მხარის აქტიურობის შედეგად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების თემა წამოიჭრა და გიორგი ბარამიძესაც ოთხჯერ მოუხდა გამოსვლა.

**"მე ვისაუბრე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის დაბომბვის ფაქტებზე, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა და რაზეც საერთაშორისო საზოგადოებრიობას შესაბამისი რეაგირება, ჩვენის აზრით, არ მოუხდენია. მეორე საკითხი გახლდათ სეპარატიზმის ღია მხარდაჭერა რუსეთის მხრიდან. კერძოდ, მისი აქტიურობა აფხაზეთის ფრონტზე და აფხაზეთში მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რითაც რუსეთი საფუძველს იმზადებს ამ ტერიტორიაზე საკუთარი პრეტენზიების გამოსაცხადებლად..."** - ამ საკითხებზე გაიმართა დისკუსია ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე, რომლის მთავარი თემა სულ სხვა, კერძოდ – ნატო-ს გაფართოების პერსპექტივა გახლდათ.

ქართველი დელეგატის მთავარი მოწინააღმდეგე გახლდათ ვლადიმირ ჟირინოვსკი, რომელსაც გიორგი ბარამიძე "ღვაწლს" არ უკარგავს - **"მისმა გამოსვლებმა ყველას კარგად დაანახა რუსეთის რეალური სახე და ამან ჩვენ გაგვიადვილა ჩვენი პოზიციის დასაბუთება,"** - აცხადებდა იგი გუშინ, ვიზიტის შედეგების შეჯამებისას და საგანგებოდ უსვამდა ხაზს, რომ **"ჟირინოვსკი კარგი საცემი კი იყო, მაგრამ..."** მაგრამ პოლიტიკური გარჩევების ახალქართული მეთოდების გამოყენება "მარტოსულმა" გიორგი ბარამიძემ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე საჭიროდ აღარ ჩათვალა.

სტამბოლში გიორგი ბარამიძე საქართველოსა და მისი ხელისუფლების ინტერესებს აქტიურად იცავდა. მან გუშინ განაცხადა კიდეც, რომ ნატოსთან ინტეგრაციისა და მსგავსი სტრატეგიული ხასიათის საკითხების განხილვა შორს უნდა იყოს შიდაპოლიტიკური ბატალიებისა და დაპირისპირებისგან.

თუმცა, საქართველოში ჩამობრუნებულმა საგანგებოდ აღნიშნა საქართველოს ხელისუფლების არასწორი მიდგომა დიპლომატიური კორპუსის ფორმირების საკითხისადმი:

**"ზოგს საელჩოები პენსიონერების ნავსაყუდელი ჰგონია. არადა, დღეს სწორედ საგარეო ფრონტზე ხდება საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რადგან, სამწუხაროდ, მხოლოდ ჯარით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და უსაფრთხოებას კიდევ კარგა ხანს ვერ დავიცავთ..."** - აღნიშნა მან.

და ბოლოს - საპარლამენტო ასამბლეაზე წარმოდგენილ დელეგაციებს (აზერბაიჯანის, უკრაინის და ბალკანეთის ქვეყნების ნაწილთან) შორის დაიწყო კონსულტაციები ნატო-ს გაფართოების მესამე ტალღის დაჯგუფების შექმნის თაობაზე, რათა ამ დაჯგუფებამ, თავის დროზე ვილნიუსში შექმნილი ათეულის მსგავსად, ერთიანი პოლიტიკა აწარმოოს ნატო-ში გაწევრიანებისთვის.

# "მეხუთე ხელისუფლება" დიდების ზენიტშია

## პირველი და მეორე კი, ამ დროს, ერთმანეთთან ურთიერთობებს არკვევენ

პირველი გვერდიდან

კანონდარღვევის ფაქტები იჩქმალებოდა და ახლა, როდესაც დანაშაულის სტატისტიკა მოწესრიგდა, თვალშისაცემი გახდა კრიმინალური სამყაროს "საგმირო საქმეები" და სწორედ ეს ქმნის მეტად შემაშფოთებელ სურათს. ამასთან, ნარჩემაშვილის თქმით, მდგომარეობა თბილისში იმიტომაც გამწვავდა, რომ პანკისის ხეობაში დედაქალაქიდან სამართალდამცავების დიდი არმია გადაისროლეს და, ამდენად, ქვეყნის სხვა რეგიონებში, მათ შორის - თბილისსა და შიდა ქართლში სიტუაციის დაძაბვა, გარკვეულწილად, მოსალოდნელიც კი იყო.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც მინისტრი კრიმინალთა აღზევების მიზეზად ასახელებს, საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზებია.

**"რთული კრიმინოგენული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია რიგი საკანონმდებლო აქტების მიღება და პოლიციისთვის ჩამორთმეული ზოგიერთი უფლების დაბრუნება,"** - აცხადებს ნარჩემაშვილი, რომელიც 1998 წელს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს "უვარგისს" უწოდებს და თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ იმ გარემოებას ასახელებს, რომ მისი მიღებიდან განვლილ ოთხ წელიწადში კოდექსში უკვე 1200-მდე შესწორება შევიდა.

**"შეზღუდული საპროცესო ვადები და მწირი მატერიალურ-ფინანსური რესურსები საქმეს ართულებს. კანონმდებლობის და რამდენიმე პრინციპული დებულების გადახედვა აუცილებელია. ექვმიტანილად ცნობის 12-საათიანი ვადა გათვლილია იმ ქვეყნებზე, რომლებსაც კარგი კომპიუტერული ბაზა აქვთ და სადაც მანქანაში ბენზინის ჩასხმა პრობლემას არ წარმოადგენს,"** - დამნაშავეთა სამყაროს მომძლავრების მიზეზების ჩამოთვლას განაგრძობს ნარჩემაშვილი, რომელიც იქვე იმასაც დასძენს, რომ მის უწყებას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში უკვე წარდგენილი აქვს კანონმდებლობაში შესატანი სასურველი ცვლილებების პროექტი.

პარლამენტართა დიდ ნაწილს საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე მინისტრის მიერ გამოთქმული პრეტენზია საფუძვლიანად მიაჩნია და გამოთქვამს მზადყოფნას, მისი აღმოფხვრის გზით, ხელი შეუწყოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, ოღონდ, იმ პირობით, რომ ამ ცვლილებებმა ადამიანის უფლებები არ უნდა შელახოს.

მიუხედავად ამისა, დეპუტატებს მაინც ეჭვი ეპარებათ, რომ კრიმინოგენული მდგომარეობის გაუარესების ერთადერთი მიზეზი საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზებია. ისინი სხვა მიზეზებსაც ასახელებენ. მაგალითად, "ახალი მემარჯვენეების" წევრის ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრი "ძალიან გაერთო პოლიტიკური თამაშებითა და ცალკეულ ოპოზიციურ ძალებთან დაპირისპირებით," ხოლო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარის გიორგი ბარამიძის თქმით, "კანონები სხვა სიბრტყეში არსებობს, ხელისუფლება კი სხვა მიმართულებით მიერეკება ქარავანს."

**"პრობლემის არსი მდგომარეობს არა კანონმდებლობაში, არამედ ცალკეული ჩინოვნიკების დაქვემდებარებაში მყოფი დანაშაულში ეჭვმიტანილი იმ კრიმინალების თავხედობაში, რომლებსაც სახელმწიფო მინისტრი და პრეზიდენტიც კი ხვდებიან,"** - აღნიშნავს ბარამიძე.

ამასთან, შინაგან საქმეთა მინისტრს დეპუტატებმა მრავალი პრეტენზია სწორედ იმ საკითხშიც წაუყენეს, რომელსაც ნარჩემაშვილი თავის აქტივად მიიჩნევდა. ეს არის პანკისში განხორციელებული ანტიკრიმინალური ოპერაცია.

**"პანკისის ხეობაში ოპერაცია, ძირითადად, დასრულებულია. შესაპყრობი დაგვრჩა რამდენიმე ძებნილი, რომლებიც ისევ ხეობაში იმალებიან. შინაგანი ჯარი პანკისში მანამდე დარჩება, ვიდრე ჩეჩნეთში სიტუაცია არ დარეგულირდება,"** - ხეობაში ასეთი დამაიმედებელი ვითარების დახატვის ფონზე, ნარჩემაშვილი იმასაც იხსენებს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, პანკისის შესასვლელში იყო წარწერები - СТОЙ! РЕСПУБЛИКА ИЧКЕРИЯ!, ხოლო თელავისა და ახმეტის რესტორნებში ჩეჩენი ბოევიკები ქეიფობდნენ.

ამგვარი კონტრასტისა და, მითუმეტეს, წარმატებული სპეცოპერაციისა არ სჯერა ფიქრია ჩიხრაძეს, რომელიც დარწმუნებულია, რომ მთავარი კრიმინალური დაჯგუფებები (მაგალითად, ახმედოვების) პანკისში ხელუხლებლები დარჩნენ და მხოლოდ წვრილფეხობაა დაკავებული. პანკისის ეპოპეას ეჭვის თვალით უყურებენ ბათუმური ალიანსის წევრებიც. მაგალითად, გიორგი თარგამაძე გაოცებულია იმით, რომ აქამდე ხელისუფლება ამტკიცებდა, თითქოს, პანკისის ხეობაში ბოევიკების არანაირი ბაზები არ არსებობდა, დღეს კი თავს იწონებს, რომ დიდი რაოდენობის საბრძოლო მასალისა და იარაღის ამოღება შეძლო.

პარლამენტში ნარჩემაშვილის გუშინდელი გამოსვლისას აგრეთვე თვალშისაცემი იყო, რომ მინისტრი გულმოდგინედ ცდილობდა, თავისი მოღვაწეობა მკვეთრად გაემიჯნა წინამორბედების საქმიანობისგან.

**"სხვათაშორის, იარაღის ყიდვა-გაყიდვით ბევრი ირჩენდა თავს. ასეთი რამ მე არ გამიკეთებია. თუკი ვინმეს არა აქვს კრიმინალებთან კავშირი, ეს მე ვარ,"** - აცხადებს ნარჩემაშვილი, თუმცა, იმ მოტივით, რომ მხოლოდ ვარაუდის დონეზე იცის, კონკრეტული დამნაშავე ჩინოვნიკების გვარების დასახელებაზე უარს ამბობს.

ამავე დროს, მიუხედავად დაჟინებული მტკიცებისა, რომ პოლიტიკისგან შორს დგას, მინისტრმა ვერ გაუძლო ცდუნებას და რამდენიმე "საინტერესო" განცხადება მაინც გააკეთა.

**"არჩევნების დროს იარაღიანი ხალხის სირბილზე უფრო საშიში საარჩევნო ტექნოლოგიებით მანიპულირებაა,"** - ნარჩემაშვილის ამ თვალსაზრისს ზურაბ ჟვანიას მხრიდან პროტესტი და მინისტრთან ხანგრძლივი პოლემიკა მოჰყვა, ხოლო იმის აღიარებამ, რომ **"რანაირი წყენაც არ უნდა მივიღო, პრეზიდენტს მაინც არ ჩავუდგები ოპოზიციაში,"** - ოპოზიციის გარკვეული ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

შს მინისტრისა და პარლამენტის გუშინდელი პაექრობა, გარკვეული სიმწვავის მიუხედავად, "ზღვარს" არ გასცდენია. მართალია, რამდენიმე გამოსვლაში გაიჟღერა პასუხისმგებლობის საკითხმა, მაგრამ მას დაჟინებული ხასიათი არ ჰქონია და მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნაში არ გადაზრდილა - საკანონმდებლო ორგანოში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის "განაჩენის გამოტანას და მის სისრულეში მოყვანას", უკვე დიდი ხანია, გადაეჩვივნენ.




## ბიზნესის ამბები

### ევროპა: ინვესტიციები აღმოსავლეთისაკენ მიედინება

კეთილდღეობის სწრაფი ზრდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინვესტიციების მოცულობაზეც აისახება. ბულგარეთი, რუსეთი და რუმინეთი ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ უცხოურ კაპიტალდაბანდებებს იზიდავენ. საკონსულტაციო კომპანია "Ernst&Young"-ის ექსპერტთა დასკვნით, 2002 წელს ამ ქვეყნებში ინვესტიციების ოდენობამ წინა წელთან შედარებით 54 პროცენტით იმატა. ამავე დროს, ევროპის ქვეყნებში კაპიტალდაბანდებათა ოდენობამ 15 პროცენტით იკლო.

ყველაზე მეტად ის ქვეყნები დაზარალდნენ, რომლებიც განსაკუთრებით არიან დამოკიდებულნი აშშ-ს ეკონომიკურ ვითარებაზე. ამდენად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დიდმა ბრიტანეთმა, ირლანდიამ და ჰოლანდიამ წელს ინვესტიციების მეოთხედი დაკარგეს.

### ფრანგულ წყალმომარაგების სისტემას მყიდველი გამოუჩნდა

როგორც ჩანს, საფრანგეთის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემა ფრანგების ხელში დარჩება. საფრანგეთის ელექტრომონოპოლისტი "ი-დი-ეფი" აპირებს გაყიდოს "ვივენდი ენვაირონმენტის" აქციათა ნაწილი, რომელიც 360 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

"ვივენდის" აქციათა 49,8 პროცენტი წვრილი აქციონერების ხელთაა, 9,4 პროცენტი - ფრანგი ინვესტორების, 80,8 პროცენტი კი "ვივენდი უნივერსალს" ეკუთვნის. "ი-დი-ეფი" სწორედ ამ პაკეტიდან აპირებს აქციათა 4-5 პროცენტის ყიდვას.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის გაზმომარაგება გუშინ დილიდან განახლდა და იგი 4-5 დღეში დასრულდება. როგორც „მედია-ნიუსს" „თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ განუცხადა, თბილისი იტვირთება, მტკვრის მარცხენა სანაპიროს დილიდან გაზის მიწოდება აღუდგება. კერძოდ - ისან-სამგორის რაიონს, შემდეგ გლდანს და ა.შ. „საქგაზის" ინფორმაციით, თბილისი გუშინ დილის 11 საათიდან 750 ათას კუბ. მ. აირს ღებულობს. ოქტომბერში მოხმარებული აირის საფასური „თბილგაზმა" მთლიანად დაფარა. რაც შეეხება ნოემბერს, როგორც „საქგაზში" აცხადებენ, ამაზე ჯერ შეთანხმება არ არსებობს. „თბილგაზის" გენერალური დირექტორის თქმით, მოსკოვში მყოფმა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ ამ თემასთან დაკავშირებით მიაღწია შეთანხმებებს, რომელიც დღეს საღამოს, მინისტრის დაბრუნებისთანავე გახდება ცნობილი. რაც შეეხება "იტერასგან" „თბილგაზისთვის" გაზის პირდაპირ მოწოდებას, ამ საკითხზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ და "თბილგაზი" აირს „საქგაზისგან" მიიღებს. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.21.11.02.** ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტის გადასინჯვის საკითხს „ბი-პი" არ განიხილავს. როგორც „მედია-ნიუსს" ამ პროექტის ძირითადი ინვესტორი კომპანიის საქართველოს წარმომადგენლობაში აცნობეს, ბორჯომის ხეობის გავლით მარშრუტი შეფასებული და არჩეული იყო საქართველოს მხარესთან შეთანხმებით, ხოლო ალტერნატიული - ახალქალაქის და ყარაყაის მარშრუტების უარყოფითი მხარეები პროექტირების ადრეულ სტადიაში გამოვლინდა, რის გამოც ამ მარშრუტებზე უარი ითქვა. „ბი-პი"-ს ინფორმაციით, ნავთობსადენის მარშრუტის შეცვლა იმიტომაცაა მიუღებელი, რომ ეს პროექტის დაწყების კიდევ 15 თვით გადავადებას გამოიწვევს. ალტერნატიული გზების მოძიებით და შესწავლით პროექტის ღირებულებაც გაიზრდება „ბი-პი"-ში აცხადებენ, რომ ეს გაზსადენის პროექტის განხორციელებაზეც უარყოფითად იმოქმედებს. ინვესტორ კომპანიაში ბორჯომის რაიონში დამატებითი, განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარებას გეგმავენ. ამ ღონისძიებებზე მომავალ კვირას იმსჯელებენ საქართველოს მხარესთან ერთად. **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**ბაქო.** "აზერბაიჯანი შეშფოთებულია იმით, რომ საქართველო აჭიანურებს დოკუმენტების მიღებას გარემოს დაცვის შესახებ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენის მშენებლობის პროექტის ფარგლებში," - განუცხადა ჟურნალისტებს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა პრაღაში ნატო-ს სამიტზე გამგზავრების წინ. "პრაღაში ამ საკითხს შევარდნაძესთან განვიხილავ, ვინაიდან საქართველო უკიდურესად გაუგებარ მოქმედებებს ახორციელებს, ჩვენ კი ბაქო-ჯეიჰანთან დაკავშირებით ყველა საკითხი ნოემბრის ბოლომდე უნდა გადავჭრათ", - განაცხადა ალიევმა. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**სოხუმი.** ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის რეაბილიტაციის საკითხები განიხილეს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობის ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკის მინისტრმა ბესლან კუბრავამ, სახელმწიფო კომპანია "ჩერნომორენერგოს" გენერალურმა მდივანმა სერგეი ბაგაფშმა, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ, გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა რუსლან ქიშმარიამ. ეს შეხვედრა გალის რაიონის სოფელ საბერიოში შედგა. აღინიშნა, რომ მხარეები დაინტერესებულნი არიან ენგურჰესის ჰიდროელექტროსადგურების რეკონტრუქციის პროექტის რაელიზაციით მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯზე. როგორც ბესლან კუბრავამ ჟურნალისტებს განუცხადა, დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ენგურჰესის ყველა სადგური, შეხვდნენ მომსახურე პერსონალს. "ჩვენ ვაპირებთ ეფექტურ თანამშრომლობას ამ პროექტის მიხედვით, ვიანაიდან აფხაზეთი, ისევე როგორც საქართველო, ელექტროენერგიას ენგურჰესიდან იღებს, ჩვენ მისი შეუფერხებელი მუშაობით დაინტერესებულები ვართ", - განაცხადა ბესლან კუბრავამ. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** 26 ნოემბერს "თბილწყალკანალის" ტენდერში მონაწილე კომპანიები საბოლოო სატენდერო წინადადებებს წარმოადგენენ. როგორც კავკას-პრესს "თბილწყალკანალის" პრესცენტრში აცნობეს, ტენდერში მონაწილე კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტაცია, რომელშიც აღნიშნული იქნება, თუ რა სახის ტარიფის დადგენას აპირებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. აღსანიშნავია, რომ ტენდერში გაიმარჯვებს ის კომპანია, რომელიც ყველაზე დაბალ ტარიფს წარმოადგენს. შეგახსენებთ, რომ ტენდერი 2003 წლის 25 იანვრისთვის არის დაგეგმილი, რომელშიც მონაწილეობის სურვილი ხუთმა კომპანიამ გამოთქვა, აქედან ორი ფრანგული კომპანიაა, თითო-თითო კი - გერმანული, ესპანური და ბრიტანული. მათი წარმომადგენლები უკვე გაეცნენ "თბილწყალკანალის" ტექნიკურ მდგომარეობას. ცნობისთვის - ტენდერის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში წყლის ტარიფმა არ უნდა მოიმატოს. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი 30 მილიონი იუანის ათვისებასთან დაკავშირებით. როგორც კავკას-პრესს სახელმწიფო კანცელარიიდან აცნობეს, ეს თანხა მოხმარდება საქართველოს ეკონომიკის განვითარებას და ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. აღნიშნულ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2001 წლის 13 აპრილს. პრეზიდენტმა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს დაავალა პროექტების შემუშავება და ამ პროექტების განსახორციელებლად ჩინეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვა. ჩინეთის ხელისუფლებასთან კონსულტაციების დასრულების შემდეგ ამ უწყებებმა დადგენილების პროექტი პარლამენტს უნდა წარუდგინონ სარატიფიკაციოდ. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**ერევანი.** 22 ნოემბერს ჟენევაში შედგება დასკვნითი სხდომა, რომელიც ეძღვნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სომხეთის მიღების საკითხს. სხდომაში მონაწილეობის მისაღებად 19 ნოემბერს შვეიცარიაში გაემგზავრა სომხეთის დელეგაცია, რესპუბლიკის ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის კარენ ჩშმარიტიანის ხელმძღვანელობით. **"კავკას-პრესი".**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 16 – 22 ნოემბრის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UKJ | US$ | €uro | Ґen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6348 | 0.6369 | 0.0052 |
| US$ | 1.5754 | | 1.0036 | 0.0082 |
| €uro | 1.5699 | 0.9964 | | 0.0081 |
| Ґen | 192.99 | 122.55 | 122.97 | |

### 2002 წლის 22 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1902 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4370 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4916 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1850 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3882 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1790 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0687 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4466 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3739 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0018 | ლარი |

# მეწარმეები ძალოვან სტრუქტურებს უნდობლობას უცხადებენ

პირველი გვერდიდან

მიიღო მაკონტროლებელი ორგანოებისა და ძალოვანი უწყებებისაგან გამოძალვამ და რეკეტმა. თითქმის ყოველდღე საზოგადოებისათვის თვალნათელი ხდება ხელისუფლებისა და ცალკეული პოლიტიკური ჯგუფებისაგან კონკურენტებთან ანგარიშსწორების მიზნით ცალკეულ კომპანიებზე, ბიზნეს-სტრუქტურებზე და მეწარმეებზე თავდასხმებისა და ორგანიზებული კამპანიების ფაქტები", - ვკითხულობთ დეკლარაციაში.

შეხვედრაზე შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რამდენიმე ვერსია გამოიკვეთა. "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ ასეთი სახის შეხვედრები და საუბრები არაფრის მომტანად მიიჩნია და შეკრებილ მეწარმეებს ორი არჩევანი შესთავაზა: **"სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, ან უნდობლობა უნდა გამოვუცხადოთ ძალოვან სტრუქტურებს ან კაპიტულაცია. მსგავსმა შეხვედრებმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა. შედეგად კი ვერაფერი მივიღეთ, რადგან სახელმწიფოს არ აინტერესებს ჩვენი პრობლემები",** - განაცხადა ხაზარაძემ. მდგომარეობიდან თავდასაღწევად და მთავრობის ყურადღების მისაქცევად კოლეგებს რადიკალური გზა შესთავაზა კომპანია "კოკა-კოლას" პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ. **"თუ ჩვენი პროტესტი გაფიცვით არ გამოვხატეთ, არაფერი არ გამოვა, ათი წელია ამ პრობლემებზე ვიკრიბებით და ვსაუბრობთ, აზრი არა აქვს ასეთ შეხვედრებს. ხელისუფლებას ყველა ჩვენს კითხვაზე პასუხი უნდა მოვთხოვოთ",** - აღშფოთება ვერ დამალა ჭყონიამ, რომელმაც იქვე დასძინა, რომ კაპიტულაციის გამოცხადება - ეს ალტერნატივა არ არის, იმიტომ რომ, უკვე დიდი ხანია, რაც ქართველმა მეწარმეებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს და შეურიგდნენ შექმნილ მდგომარეობას.

შეხვედრაზე შედარებით ოპტიმისტურად განწყობილი მეწარმეებიც იყვნენ. მათი აზრით, არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად სულაც არ არის საჭირო მთლიანად სისტემის შეცვლა და ძირეული რეფორმების გატარება. ამისთვის საკმარისია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და მეწარმეებისათვის ხელშემშლელი მუხლების შეცვლა. **"მანქანა როცა ფუჭდება, მთლიანად კი არ ვაგდებთ, არამედ გაფუჭებული ნაწილის შეკეთებაზე ვფიქრობთ. ასევე უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაშიც",** - განაცხადა შპს "კავკასტრანს ექსპედიტორის" ხელმძღვანელმა გიორგი ცომაიამ. მთავრობასთან მოლაპარაკების იმედი აქვს "ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" პრეზიდენტს ტარიელ გიორგაძესაც. მას სჯერა, რომ ხელისუფლებასთან გამართული მოლაპარაკებები ბიზნესისთვის სასარგებლო შედეგებს გამოიღებს. თუმცა, ის არც იმას უარყოფს, რომ, შესაძლოა, რადიკალური ზომებიც გახდეს საჭირო, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ნათელი გახდება, რომ მთავრობასთან დიალოგის მეშვეობით არაფერი გამოვა. **"ჯერ კიდევ არის დარჩენილი ის რეზერვები, რომლითაც ჩვენ ხელისუფლებასთან აქტიურ დიალოგზე შეგვიძლია წავიდეთ. მაგრამ თუ ყველა მეთოდებსა და გზას ამოვწურავთ ამ პრობლემის გადასაჭრელად, მაშინ ჩვენ ყველა შემთხვევაში მივმართავთ გაფიცვის ფორმას",** - აღნიშნა "ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" პრეზიდენტმა.

მეწარმეობისათვის არასასურველი მდგომარეობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად ტარიელ გიორგაძემ "მეწარმეების საქმიანობაში სახელმწიფო ჩინოვნიკების, ძალოვანი სტრუქტურების, საბაჟო-საგადასახადო დეპარტამენტების წარმომადგენლების არაოფიციალურ წილში ჩაჯდომა" დაასახელა. მეწარმეების მძიმე მდგომარეობა ვანო ჩხარტიშვილმა იმით ახსნა, რომ სახელმწიფო რეკეტის გარდა, მეწარმეზე ზეწოლას შავი სამყაროს წარმომადგენლებიც ახორციელებენ, რაც ძალიან საშიშ ტენდენციად მიიჩნია. **"ტენდენცია ისეთია, რომ ან უნდა მოგკლან, ან უნდა გაურიგდე და უთავმოყვარეოდ უნდა იცხოვრო. თუ ასეთი გამრიგებლური ურთიერთობები გაგრძელდა, ამის შედეგად შემცირდება ჩვენი ბიზნესი და მოგება",** - განაცხადა ჩხარტიშვილმა. მან იქვე იმედი გამოთქვა, სჯერა, რომ ერთობლივი ძალებით არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს მოძებნიან.

შეხვედრის ბოლოს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე დღეში საქართველოს გადამხდელთა კავშირის საბჭო პრეზიდენტს გაუგზავნის "ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის" მიერ მომზადებულ მოხსენებას - "ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარებისთვის ხელშემშლელი ფაქტორები", რომელშიც საუბარი იქნება ბიზნეს-სფეროში არსებულ ძირითად ბარიერებზე, რომელსაც ქართველი მეწარმეები ყოველ ნაბიჯზე აწყდებიან. საბჭო კატეგორიულად მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ ეს საკითხი მთავრობის უახლოეს სხდომაზე განიხილოს.

მეწარმეებს მხარდაჭერა აღუთქვა შეხვედრაზე მისულმა პარლამენტარმა დავით სალარიძემ და "მემარჯვენეების" ერთ-ერთმა ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

# „ეი-ი-ეს თელასმა" და მთავრობამ ერთმანეთს გაუგეს

**გაუგებარია, რა გზით დაფარავს მთავრობა დენის ტარიფის დანამატს**



იგნასიო ირიბარენი



ავთანდილ ჯორბენაძე

*"ხელისუფლება ყველაფერს იღონებს ზამთრის სეზონში "ეი-ი-ეს თელასის" დასახმარებლად", - ეს განცხადება სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ ამერიკული კომპანიის გენერალურ მენეჯერთან, იგნასიო ირიბარენთან, გამართულ შეხვედრაზე გააკეთა, რითაც ეს უკანასკნელი აშკარად კმაყოფილი დარჩა. ირიბარენი იმითაც კმაყოფილია, თუ როგორი ყურადღებით ეკიდება მთავრობა "ეი-ი-ეს თელასის" მოთხოვნებს და ახლა იმ თანხების მიღებას ელის, რომელიც საჭიროა "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკის ასამუშავებლად და მის მიერ რუსეთისთვის საქართველოს ნაცვლად გადახდილი ელექტროენერგიის დავალიანების თანხის ასანაზღაურებლად.*

გვანცა კვინიკაძე

მთავრობა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას მოსკოვში ვიზიტს წარმატებულს უწოდებს. ხელისუფალთა განცხადებით, ამის საფუძველს რუსულ კომპანიებთან, "იტერასა" და "რაო ეესთან", ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მოწოდებაზე მიღწეული შეთანხმებები იძლევა. ამჟამად ქართული ენერგოსისტემის უმთავრესი საზრუნავი მეცხრე ენერგობლოკია. "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერის იგნასიო ირიბარენის განცხადებით, მეცხრე ბლოკი ტექნიკურად გაშვებისთვის მზად არის და მთავარ პრობლემას მისი ამოქმედებისთვის აუცილებელი თანხების მოზიდვა წარმოადგენს. ეს თანხა კი საკმაოდ სოლიდურია. იმისთვის, რომ მეცხრე ენერგობლოკმა გამართულად იმუშაოს, ყოველთვიურად, დაახლოებით, 3.7 მილიონი დოლარია საჭირო. ამ თანხის მესამედი "ეი-ი-ეს თელასის", ხოლო დანარჩენი – საბითუმო ბაზრის მიერ უნდა დაიფაროს. ირიბარენის თქმით, "ეი-ი-ეს თელასი" თავის წილს აუცილებლად გადაიხდის, მაგრამ საჭიროა საბითუმო ბაზრის მხრიდანაც გადახდის უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობა ირწმუნება, რომ საბითუმო ბაზარი პრობლემებს არ შექმნის და საჭირო თანხებს დროულად გადაიხდის.

მეცხრე ბლოკის ამუშავებისთვის საჭირო თანხების გარდა, ამერიკული კომპანია ხელისუფლებისგან იმ 1.3 მილიონ დოლარსაც ითხოვს, რომლითაც მან, ქართული მხარის ნაცვლად, რუსეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის შარშანდელი დავალიანება გაუსტუმრა შუამავალ კომპანია "ვინგფილდს". გუშინდელ შეხვედრაზე "ეი-ი-ეს თელასი" და მთავრობა შეთანხმდნენ, რომ ფინანსთა სამინისტრო აღნიშნულ თანხას 2003 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებს და კომპანია მას იანვარშივე მიიღებს. მნიშვნელოვანია, რომ "რაო ეესთან" მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსული კომპანია ელექტროენერგიას (დაახლოებით, 100 მეგავატი) "ეი-ი-ეს თელასს" მიაწვდის. ამჟამინდელი შეთანხმებით, ირიბარენის გასახარად, გამორიცხული იქნება ადრინდელი შემთხვევების გამეორება - როცა "ეი-ი-ეს თელასის" მიერ შეძენილ ელექტროენერგიას მის უკითხავად აწვდიდნენ საქართველოს სხვა რეგიონებს.

ჯერჯერობით, ისევ არ დადგენილა მექანიზმები, რომლითაც ხელისუფლებამ ელექტროენერგიის ტარიფის დანამატი მოსახლეობის ნაცვლად უნდა დაფაროს. ირიბარენი იმედოვნებს, რომ გარკვეული გზა პრობლემის მოსაგვარებლად მოინახება, მაგრამ მანამდე იგი გაზრდილ ტარიფზე გადაანგარიშებულ ქვითრებს უგზავნის თბილისელებს. ამ მექანიზმის გარკვეულ ჩანასახზე უკვე საუბრობს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მერაბ კვეკვესქირი. მისი ინფორმაციით, გაისად, ტარიფის დანამატის კომპენსაციის სახით, "ეი-ი-ეს თელასი" ჯერ 3.3 მილიონ ლარს მიიღებს სახელმწიფოსგან, ხოლო შემდეგ, უკვე აშშ-ს სამთავრობო დახმარების ფარგლებში – 5.5 მილიონ ლარს. საერთოდ, კომპენსაციის მთლიანი თანხა, რაც 15-18 მილიონ ლარს შეადგენს, ამერიკულ კომპანიას ეტაპობრივად გადაერიცხება.

# შალვა ნათელაშვილი მთავრობას „ნიურნბერგის" პროცესით ემუქრება

სოფო კვინტრაძე

*საკონსტიტუციო სასამართლოში დიდი ხმაურით დაიწყო ლეიბორისტული პარტიის ლიდერის, შალვა ნათელაშვილის, სარჩელის განხილვა. ნათელაშვილი კომპანია "ეი-ი-ესსა" და ქონების მართვის სამინისტროს შორის დადებულ ჩარჩო ხელშეკრულებას ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევს და მის გაუქმებას მოითხოვს. აღნიშნული სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში რამდენიმე წლის წინ შეიტანეს. მისი არსებითი განხილვა კი სასამართლო კოლეგიამ, მოსამართლე ბესარიონ ზოიძის თავმჯდომარეობით, გუშინ დაიწყო.*

თავის გამოსვლაში ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ ხმამაღალი განცხადებები გააკეთა. ნათელაშვილმა ამერიკული კომპანია "ეი-ი-ეს თელასი" მაფიოზურ საქმიანობაში დაადანაშულა და მისი საქართველოდან გაძევება მოითხოვა. მან "ეი-ი-ეს თელასის" გენერალურ დირექტორს, იგნასიო ირიბარენს, სამშობლოში (ვენესუელაში) დაბრუნება ურჩია. ნათელაშვილი საქართველოს მთავრობას ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტების მიღებისათვის სასამართლოში "ნიურნბერგის" პროცესის გამართვით დაემუქრა. ლეიბორისტული პარტიის ლიდერის სარჩელში რამდენიმე ნორმატიული აქტის ანტიკონსტიტუციურობაზეა საუბარი. მათ შორის, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეც, რომლებიც ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზებას ითვალისწინებს. ნათელაშვილი აცხადებს, რომ პრეზიდენტის აღნიშნული გადაწყვეტილებები არღვევს კონსტიტუციას, სადაც მითითებულია, რომ ენერგეტიკის ობიექტების გასხვისება კანონით იკრძალება. გარდა ამისა, სარჩელში საუბარია მომხმარებელთა უფლებების დარღვევაზეც. მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ "ეი-ი-ეს თელასი" ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ქსელის მონოპოლისტური კომპანიაა და იგი თავისი სურვილით, პერმანენტულად ზრდის ელექტროენერგიის ტარიფს, რაც არღვევს თბილისელი მომხმარებლის უფლებებს, რადგან ეს უკანასკნელი გადახდისუუნაროა.

სასამართლო პროცესზე მოპასუხე მხარეებად წარმოდგენილნი იყვნენ საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის და ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარეები. ცხადია, არც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და არც პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პროცესზე არ გამოცხადებულან, რაც ლეიბორისტული პარტიის ლიდერს არც გაკვირვებია. ნათელაშვილის აღშფოთება სემეკის თავმჯდომარის, ელიზბარ ერისთავის, მოუსვლელობამ გამოიწვია.

**"ერისთავსაც ხომ არ დაუნგრევია ბერლინის კედელი, არც რეიგანისთვის ჩამოურთმევია ხელი და ნენსისთანაც არ უცეკვია ტანგო? ამიტომ აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ არ იკადრა სემეკის თავმჯდომარემ სასამართლოზე გამოცხადება?"** – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა. თუმცა, ზემოთ დასახელებულმა ყველა უწყებამ პროცესზე საკუთარი წარმომადენლები გამოგზავნა.

გუშინდელი სასამართლო სხდომა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნების ზოგადი განხილვითა და მხარეთა მიერ შუამდგომლობების დაყენებით შემოიფარგლა. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა ლეიბორისტთა ყველა შუამდგომლობა, მათ შორის, ნათელაშვილის შუამდგომლობა სასამართლო პროცესზე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მოწვევის თაობაზე. გამოცხადდება თუ არა პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოში, უცნობია. მანამდე კი ლეიბორისტები მომავალი გამარჯვების მოლოდინში არიან და სასამართლოს გადაწყვეტილების ობიექტურობაში, ჯერჯერობით, ეჭვი არ ეპარებათ.

# ნატო აღმოსავლეთით გაფართოვდა

რევაზ ბახტაძე

21 ნოემბერს ნატო-ს სამიტზე პრაღაში ალიანსის ლიდერებმა ოფიციალურად მიიწვიეს ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრი 7 ქვეყანა. გაფართოების გარდა, გადაწყდა ალიანსის ტრანსფორმირება 21-ე საუკუნეში ახალ საფრთხეებთან გასამკლავებლად.

"ჩვენ - ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების მეთაურები შევიკრიბეთ, რომ გავაფართოვოთ ალიანსი და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ნატო, რათა წინ აღვუდგეთ ახალ საფრთხეებს 21-ე საუკუნეში", - ნათქვამია პრაღის სამიტის ისტორიულ დეკლარაციაში. ხუთშაბათს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ლორდმა რობერტსონმა სამიტზე განაცხადა, რომ ალიანსი კარს უღებს - ბულგარეთს, ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას და ნატო-ს უსაფრთხოების გარანტიებს ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ავრცელებს.

"ნატო-სთვის, იმ შვიდი ქვეყნისათვის, რომლებიც ჩვენ ახლახან მოვიწვიეთ ეს უზარმაზარი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებაა", - აღნიშნა ლორდმა რობერტსონმა ნატო-ს ისტორიული გადაწყვეტილების გამოცხადებისას.

"ნებისმიერი, ვინც თქვენთან მტრობას დააპირებს, ჩვენთან მტრობასაც ირჩევს, - მიმართა ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სამიტის დაწყებამდე წევრობის კანდიდატ შვიდ სახელმწიფოს,- თქვენ არასოდეს იქნებით მარტონი აგრესიის წინაშე",- დასძინა მან.

ახლად მიწვეული ქვეყნები სრულუფლებიანი წევრები 2004 წელს გახდებიან, როდესაც წევრობისათვის აუცილებელ ყველა პროცედურას საბოლოოდ შეასრულებენ.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ალიანსის უკანასკნელი გაფართოება არ არის. "ჩვენ დაგეხმარებით რეფორმების პროცესის გატარებისას..., რათა სახელმწიფოთა ევრო-ატლანტიკურ ოჯახში თქვენი სრული ინტეგრაცია მოხდეს", -მიმართა ლორდმა რობერტსონმა ალიანსში გაწევრიანების მსურველ სხვა სახელმწიფოებს, მათ შორის - საქართველოს. პრეზიდენტი შევარდნაძე სწორედ პრაღის სამიტზე განაცხადებს ოფიციალურად საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ.








*ნატო-ს სამიტზე.*

## სწრაფი რეაგირების ძალები და ნატო-ს ტრანსფორმაცია

ახალი წევრების მიღების გარდა, პრაღის სამიტის პირველსავე დღეს ლიდერები ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნაზე შეთანხმდნენ, რათა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წარმოქმნილ კრიზისებს მყისიერად სათანადოდ უპასუხონ.

ნატო-ს უნდა შეეძლოს, "საკუთარი შეიარაღებული ძალები იქ გადაისროლოს, სადაც საჭირო იქნება...ჩაატაროს ოპერაციები ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მათ შორის, ისეთ გარემოში, სადაც შეიძლება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენების საფრთხე გაჩნდეს", - ნათქვამია სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში.

ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადებით, - "ტრანსფორმირებული ნატო ყველა მეგობრისათვის ძლიერი და უფრო ეფექტური პარტნიორი იქნება".

"ეფექტური კოლექტიური თავდაცვა არასოდეს ყოფილა ასე საჭირო", - აღნიშნა ჯორჯ ბუშმა სწრაფი რეაგირების ძალებზე საუბრისას.

სამიტზე გადაწყდა, რომ შეიქმნება 20 000-კაციანი შეიარაღებული დანაყოფი, რომელსაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, საჭიროებისამებრ, გააგზავნიან. ამერიკელთა აზრით, ახალი სწრაფი რეაგირების ძალები ტერორიზმის წინააღმდეგ ომში საკვანძო როლს შეასრულებს. დეკლარაციის თანახმად, აღნიშნული სამხედრო დანაყოფი 2004 წლისათვის ჩამოყალიბდება. ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია დანაყოფის ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის საფრთხეების გასანეიტრალებლად გაწვრთნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ალიანსის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების წინაშე მდგარ უმთავრეს საფრთხედ ტერორიზმი გამოცხადდა. "ტერორიზმი წევრი სახელმწიფოების მოსახლეობისათვის მზარდ საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, ამ უბედურებას იმდენ ხანს ვებრძოლოთ, რამდენიც საჭირო იქნება", - ნათქვამია დეკლარაციაში.

ცვლილებები მოხდა ნატო-ს სტრუქტურაშიც. ამიერიდან მას ორი სტრატეგიული სარდლობა ეყოლება: ერთი ოპერაციული და მეორე ფუნქციური. მსოფლიოს მასშტაბით ალიანსის სტრატეგიული სარდალი ამერიკელი გენერალი იქნება. ამასთანავე, ალიანსის ლიდერებმა აიღეს ვალდებულება, რომ თავიანთი (1) სამხედრო სტრუქტურების მოდერნიზაცია მოახდინონ; (2) განაახლონ სამხედრო ტექნიკა და აღმოფხვრან აშშ-ს და ევროპის შეიარაღებულ ძალებს შორის არსებული უფსკრული, განსაკუთრებით - ჰაერში საწვავით გასამართი სისტემების, ზუსტი დამიზნების რაკეტებისა და მტრის საჰაერო თავდაცვის განადგურების თვალსაზრისით; (3) დაიწყონ ნატო-ს ბირთვული თავდაცვის შესაძლებლობების შესწავლა, რათა ევროპელმა მოკავშირეებმა ამერიკის ბირთვული ფარის გამოყენება შეძლონ.

## პრობლემები და პერსპექტივები

მართალია, ნატო-ს გაფართოება ევროპაში უსაფრთხოების განმტკიცების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად და დემოკრატიის გამარჯვებად იქნა მონათლული, მაგრამ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 26-წევრიანი გაერთიანება უფრო პოლიტიკურ კლუბს დაემსგავსება. მათი თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ნათლად იქნეს განსაზღვრული ნატო-ს ახალი როლი და მიზნები 21-ე საუკუნეში.

ანალიტიკოსების აზრით, ალიანსის წევრების რიცხვის ზრდა კიდევ უფრო გაართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ნატო-ს თითოეული წევრის თანხმობა, რაც საკმაო დროს მოითხოვს.

გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი აშშ-სა და მის ევროპელ მოკავშირეებს შორის, სამხედრო შესაძლებლობების თვალსაზრისით, არსებული უფსკრული და "სტრატეგიული გაუცხოება" ერთობლივი სამხედრო ოპერაციის სწრაფად ჩატარებას აძნელებს. ექსპერტებს მაგალითად მოჰყავთ ავღანეთის ომი. მაშინ ნატო-მ პირველად გამოიყენა ჩრდილო-ატლანტიკური ქარტიის მე-5 პარაგრაფი და 11 სექტემბერს ამერიკაში განხორციელებული ტერაქტი ალიანსზე მიტანილ თავდასხმად გამოაცხადა. ამის მიუხედავად, სამხედრო მოქმედებები ავღანეთში ამერიკამ, ფაქტობრივად, აღნიშნული მიზეზების გამო დამოუკიდებლად აწარმოა.

ამერიკელები და ევროპელები განსხვავებული აზრის არიან, როდის და რა დოზით უნდა გამოიყენონ შეიარაღებული ძალები. ანალიტიკოსების თქმით, მსოფლიოს ამა თუ იმ წერტილში წარმოქმნილი კრიზისის დროს ნაკლებ მოსალოდნელია, რომ პენტაგონმა ნატო-ს ძალებს დაუწყოს ლოდინი, რაც ალიანსის ეფექტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

ალიანსის ფუნქციონირებასა და ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯების გადანაწილების საკითხი აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია. დღემდე ნატო-ს დანახარჯების ლომის წილი შეერთებულ შტატებზე მოდის. სამიტის მსვლელობისას ჯორჯ ბუშმა საგანგებოდ მოუწოდა მოკავშირეებს,რომ მათ საკუთარი ფინანსური შენატანები გაზარდონ.

ალიანსის შიგნით არსებული პრობლემების გარდა, ორგანიზაციის მომავალზე უზარმაზარ გავლენას იქონიებს ნატო-სა და რუსეთს შორის ახალი ურთიერთობები.

1999 წელს გაფართოების წინა პროცესისაგან განსხვავებით, როდესაც რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ისტებლიშმენტი მილიტარისტულ განცხადებებს აკეთებდა, ამჯერად ყველაფერმა გაცილებით მშვიდად ჩაიარა იმის მიუხედავად, რომ ამიერიდან ნატო-ს საზღვრები სანკტ-პეტერბურგიდან 100 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.

"გაფართოებული ნატო რუსეთისთვისაც კაგი იქნება [რუსეთი] დასავლეთ საზღვრებზე სტაბილურობით მოგებული დარჩება... ჩვენ ახლა საერთო საფრთხე [ტერორიზმი] გვემუქრება", - განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

რუსი ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის ხელისუფლების დუმილი გასაგებია. ნაწილობრივ, ეს რუსეთის სისუსტით არის განპირობებული, ნაწილობრივ - დასავლეთის მიერ რუსეთის ჩეჩნეთში გატარებულ პოლიტიკაზე თვალის დახუჭვით.

პრაღაში გაფრენამდე პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ვლადიმირ პუტინის გადაწყვეტილება "ნორდ-ოსტის" კრიზისის დროს გაზის გამოყენების თაობაზე სავსებით გამართლებული იყო. აღსანიშნავია, რომ პრაღის სამიტის დამთავრებისთანავე ჯორჯ ბუში რუსეთში მიემგზავრება ვლადიმირ პუტინთან პირისპირ შესახვედრად.

რუსი მიმომხილველები ხაზს უსვამენ, რომ პოსტსაბჭოურ რუსეთსა და დასავლეთს შორის ასეთი მჭიდრო ურთიერთობები არასოდეს ყოფილა. თუმცა, მათივე თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ ურთიერთობების ინსტიტუციონალიზება მოხდეს. სამიტის ბოლო დღეს დაგეგმილია რუსეთ-ნატო-ს საბჭოს სხდომა. ექსპერტები მოელიან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც მკაფიოდ იქნება აღნიშნული, რომ ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოება რუსეთს საფრთხეს არ შეუქმნის. ისევე როგორც პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის გაწევრიანებისას მოხდა, რუსეთი მიიღებს გარანტიას, რომ ახალი წევრების ტერიტორიაზე ნატო ბირთვულ არსენალსა და დიდი რაოდენობის სამხედრო კონტინგენტს არ განალაგებს. რუსული წყაროების ცნობით, შესაძლებელია რუსეთ-ნატო-ს ერთობლივი ანტიტერორისტული მოსამზადებელი ცენტრი შეიქმნას, რომელიც რუსეთში დაფუძნდება.

გარკვეული პრობლემების არსებობის მიუხედავად, ნატო-ს გაფართოება და ტრანსფორმირება რამდენიმე მიზეზით არის სასარგებლო. პირველი - სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე ე.წ. სტაბილურობის ზონის გავრცელება მთლიანად ევრო-ატლანტიკური სივრცის სტაბილურობაზე დადებითად აისახება.

მეორე - ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ორგანიზაციას ახალ სტიმულს შესძენს და ალიანსს შესაძლებლობას მისცემს, მსოფლიოში არსებული კრიზისების მოგვარებაში აქტიურად ჩაერთოს.

მესამე - ექსპერტების თქმით, ნატო წარმოადგენს ფორუმს, სადაც ჩრდილოეთ ამერიკელებს, ევროპელებსა და რუსებს საერთო სამხედრო-პოლიტიკურ პრობლემებზე საუბარი და მათ გადასაჭრელად საერთო მექანიზმების შემუშავება შეუძლიათ.

და მეოთხე - ნატო-ს გაფართოებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისათვის. ალიანსში გაწევრიანება და მასთან პარტნიორული ურთიერთობა ამ სახელმწიფოებს მათთვის ესოდენ აუცილებელ უსაფრთხოების გარანტიებს აძლევს და დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში ეხმარება.

საქართველოსათვის ნატო-ს გაფართოების ეს ეტაპი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ალიანსის ახალ წევრებს შორის არიან რუმინეთი და ბულგარეთი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შავი ზღვის მონაპირე ექვსი სახელმწიფოდან სამი (თურქეთი, ბულგარეთი და რუმინეთი) იმ ორგანიზაციის წევრია, რომლის დახმარებითაც საქართველო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას გეგმავს. შავი ზღვის ნატო-ს "მზრუნველობის" ქვეშ მოქცევა რეგიონის სტაბილურობაზე დადებითად აისახება და საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებას ხელს შეუწყობს.

## მოკლედ

**პაკისტანი.** პაკისტანს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. ამ პოსტზე პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფის უახლოესი თანამებრძოლი მირ ზაფარულ ჯამალი დაინიშნა. ასეთი გადაწყვეტილება გუშინ ქვეყნის ახლახანს არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ – ეროვნულმა ასამბლეამ მიიღო. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე პაკისტანის სახალხო პარტიამ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბენაზირ ფხუტოს კანდიდატურა წამოაყენა, რომელმაც ასევე არჩევნებში გარკვეული წარმატების მოპოვება შეძლო. თუმცა, პაკისტანის კანონმდებლებმა უპირატესობა ჯამაალის კანდიდატურას მიანიჭეს.

პაკისტანში სამწლიანი სამხედრო მმართველობის შემდეგ დემოკრატიული ძვრები იწყება. ამის პირველ გამოვლინებად პრეზიდენტ მუშარაფის სურვილით და ინიციატივით ჩატარებული ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია მიჩნეული.

პრემიერ-მინისტრის არჩევამდე პრეზიდენტმა მუშარაფმა მოსახლეობას მიმართა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სწორედ მისი მმართველობის დროს ქვეყანაში გამოცოცხლდა ეკონომიკა და ახალი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას დაედო საფუძველი. ტელეეთერით გამოსვლისას მან ახალ სამოქალაქო მთავრობას დაწყებული რეფორმების გაგრძელება და წარმატებით დასრულება ურჩია. **"როდესაც ჩვენ 1999 წლის ოქტომბერში მოვიპოვეთ ხელისუფლება, პაკისტანს ტერორისტული ქვეყნის და ბანკროტ-სახელმწიფოს იმიჯი ჰქონდა. ჩვენს ეკონომიკას დეფოლტი ემუქრებოდა. მაგრამ ღვთის წყალობით, ჩვენ წარმატებით გავართვით თავი ამ პრობლემებს,"** განაცხადა პაკისტანის პრეზიდენტმა გენერალმა მუშარაფმა. ექსპერტები იმედოვნებენ, რომ პაკისტანის სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქო წყობაზე გადასვლა, ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამუჯობესებას შეუწყობს ხელს.

■ ■ ■

**ეკვადორი.** ეკვადორის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაზე ძლიერი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც ხუთი ადამიანი დაიღუპა. წინასწარი მონაცემებით 200-მდე პირი მძიმედ დაშავდა. ბაზა ანდებში, ქალაქ რიბამბაშია განლაგებული. ეკვადორის არმიის წარმომადგენელმა გენერალმა ლუის აგუასმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ტრაგედიის მიზეზად იარაღის და საბრძოლო მასალების საწყობში ხელყუმბარის აფეთქება იქცა. მომხდარს საერთაშორისო ორგანიზაციებიც გამოეხმაურნენ. ადგილობრივი რადიოთი გამოსვლისას საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენელმა როსენდო ობამ განაცხადა: **"აფეთქებამ მიწის ზედაპირთან სოკოსებური ღრუბელი გამოიწვია, სწორედ ისეთი, ვულკანის ამოფრქვევის შედეგად რომ წარმოიქმნება ხოლმე."** აფეთქების შემდეგ რადიოკავშირი ქალაქ რიობამბაში გაწყდა. ქალაქი დედაქალაქ კიტოდან 170 კილომეტრში იმყოფება. რიბამბაში 124 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ქალაქიდან მოსახლეობის ევაკუაცია დაიწყო.

■ ■ ■

**ბირმა.** ბირმის მმართველმა სამხედრო ხუნტამ ციხეებიდან პოლიტპატიმრების გამოშვება დაიწყო. სამხედრო ხელისუფლების განცხადებით, საპატიმროებიდან 115 პატიმრის გამოშვება ქვეყანაში "ეროვნული შერიგების" დაწყებას შეუწყობს ხელს. თუმცა გასულ კვირას, ბირმაში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა რაზალი ისმაილმა განაცხადა, რომ ქვეყანაში არ შეიმჩნევა არანაირი ტენდენცია იმისა, რომ ხუნტას ოპოზიციასთან სურდეს დიალოგის დაწყება. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წელს ხუნტამ ციხეებიდან 400-მდე პოლიტპატიმარი გამოუშვა, გაეროს მონაცემებით საპატიმროებში კვლავ რჩება პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებული 1000-მდე მოქალაქე.

ბირმის ხუნტაზე საერთაშორისო ზეწოლა თანდათან ძლიერდება. გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ხუნტის ინიციატივას ეროვნული შერიგების დაწყების თაობაზე რეალური შედეგები არ მოჰყოლია. ოპოზიციური პარტიის ლიდერი ონგ სან სუუ კი, კვლავ პატიმრობაში იმყოფება. მიუხედავა იმისა, რომ მისმა პარტიამ 1990 წელს ჩატარებული არჩევნები მოიგო, სამხედრო საბჭომ უარი განაცხადა ხელისუფლება ოპოზიციისათვის გადაეცა. ბირმის მმართველი ხუნტა სრულ იზოლაციაში იმყოფება. ქვეყანა მძიმე ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ პოლიტპატიმრების გამოშვება ხუნტის მიერ იძულებით გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადგან სამხედროები იმედოვნებენ, რომ მათ საერთაშორისო იზოლაცია მოეხსნებათ.

■ ■ ■

**აშშ.** ამერიკის შეერთებული შტატების ტელეეკრანებსა და პრესის ფურცლებზე ერაყის თემა კვლავ ნომერ პირველ ადგილს იკავებს. ამ ფონზე საინტერესოდ გამოიყურება ერთი გამოკვლევის შედეგები; გეოგრაფიის ნაციონალურმა საზოგადოებამ 18-დან 24 წლამდე ამერიკელებს შორის გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგების თანახმადაც გამოკითხულთა მხოლოდ 13 პროცენტმა იცის, თუ სად მდებარეობს ერაყის სახელმწიფო მსოფლიო რუკაზე. მათ ასევე საკუთარი ქვეყნის რუკაზე მდებარეობის არცოდნაც გამოამჟღავნეს.. გეოგრაფიის ნაციონალური საზოგადოების დირექტორმა ჯონ ფეიმ ბი-ბი-სი-სთან საუბარში განაცხადა, რომ ამაში პირველ რიგში აშშ-ის სკოლები და ზოგადად განათლების სისტემაა დამნაშავე. არანაკლები დანაშაული თანამედროვე კულტურას მიუძღვის, თვლის გეოგრაფიის ეროვნული საზოგადოების ხელმძღვანელი. მისი თქმით, ხალხი კარგად უნდა ერკვეოდეს ისეთ საკითხებში, რომელშიც საუბარი ომსა და მშვიდობაზე მიდის.

■ ■ ■

**დიდი ბრიტანეთი.** მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ლონდონს ერაყთან ომისათვის სამხედრო კონტინგენტის გამოყოფის თხოვნით მიმართა, დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა ბაღდადთან საომრად დაიწყეს მზადება. ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში დიდი ბრიტანეთის ჩასართველად რამდენიმე გეგმა უკვე დამუშავებულია, თუმცა მინისტრთა კაბინეტის წევრებს ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ, თუ რომელ გეგმას დაუჭირონ მხარი. გაზეთმა "თაიმსმა" რამდენიმე ვარიანტი გამოაქვეყნა. მათ შორისაა სპეციალური დანიშნულების რაზმების, წყალქვეშა ხომალდების და "ტომაჰავკების" ტიპის ფრთოსანი რაკეტების სამხედრო კამპანიაში შეზღუდული მონაწილეობა და შეიარაღებული ქვეითებისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით ერაყში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის წარმართვა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა უპირატესობას მეორე ვარიანტს მიანიჭებს და ერაყში 15 000-იან შეიარაღებულ არმიას გააგზავნის. ამ ძალებთან ერთად ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრებიან ბრიტანული ვერტმფრენები, საზღვაო ქვეითი ნაწილები და ბომბდამშენები. საერთო ჯამში კი, ერაყში ბრიტანულმა სამხედრო კონტინგენტმა, შესაძლოა, 30 000 ერთეულს გადააჭარბოს.

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

სახელი და გვარი

# ბუში პუტინთან პირისპირ შესახვედრად ემზადება

*პრაღის სამიტის დაწყების წინ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რუსეთის ტელეკომპანია "ნტვ"-ს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ.*

რევაზ ბახტაძე

ჩეჩნეთის კონფლიქტზე საუბრისას ამერიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მისი პოზიცია უცვლელია: ამერიკის ადმინისტრაციას სურს, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გადაწყდეს იმის გათვალისწინებით, რომ ეს რუსეთის შიდა პრობლემაა.

ჯორჯ ბუში საგანგებოდ შეეხო "ნორდ ოსტში" ერთი თვის წინ მომხდარ ტერორისტულ აქტს. მისი თქმით, როდესაც ტერორისტების ხელით უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან, ნამდვილი ლიდერი ვალდებულია, სიმკაცრე გამოიჩინოს. პრეზიდენტ ბუშის აზრით, ვლადიმირ პუტინი ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა - ტერორისტები 800 ადამიანის მოკვლით იმუქრებოდნენ. "მან გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო.იგი ასე მოიქცა, რათა მძევლების სიცოცხლე ეხსნა, ზოგიერთები მომხდარში რუსეთს სდებენ ბრალს, თუმცა, ამის ნაცვლად, საჭიროა ტერორისტების დადანაშაულება - პასუხისმგებლობა სწორედ მათ ეკისრებათ", - დასძინა ბუშმა.

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთის პრეზიდენტის ადამიანის უფლებების დარღვევაში დადანაშაულების ფონზე, ჯორჯ ბუშის მიერ ვლადიმირ პუტინის საჯარო მხარდაჭერა ნათლად მიანიშნებს, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ერაყის წინააღმდეგ შესაძლო ომის წინ და ნატო-ს გაფართოების პროცესში, კრემლის დუმილის საფასურად, პუტინს ჩეჩნეთის საკითხში, ფაქტობრივად, კარტბლანშს აძლევს.

ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას აუცილებელია სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა. მან ამგვარი თანამშრომლობის მაგალითად სწორედ საქართველო დაასახელა. "მე მოხარული ვარ, რომ ვლადიმირ პუტინმა პრეზიდენტ შევარდნაძესთან დიალოგი დაიწყო. ჩვენთვის აუცილებელია საერთო სტრატეგიის შემუშავება, რათა "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული ტერორისტები ვიპოვოთ, რომლებიც, შესაძლოა, პანკისის ხეობაში იმალებიან", - განაცხადა ამერიკის პრეზიდენტმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორ აფასებს ამერიკის პრეზიდენტი "ნორდ-ოსტის" ტერაქტის შემდეგ ვლადიმირ პუტინის განცხადებას, რომ ტერორისტებზე იერიშს ყველაგან მიიტანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი - თუნდაც, საქართველოში, ჯორჯ ბუშმა არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ვაშინგტონში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ნებისმიერ სამხედრო აქციას ძალზე უარყოფითად უყურებენ. "ჩვენ საქართველოსთან ვთანამშრომლობთ. პრეზიდენტმა შევარდნაძემ იცის, რომ ამ საკითხში თანამშრომლობა აუცილებელია", - დასძინა ჯორჯ ბუშმა.

რუსეთსა და ამერიკაში უკანასკნელი ვიზიტის შემდეგ "24 საათისათვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ პრაღის სამიტის შემდეგ დაგეგმილ ბუში-პუტინის შეხვედრაზე საქართველო განხილვის ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება. ტელეკომპანია "ნტვ"-სთან საუბრისას ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებულმა აქცენტებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თბილისთან თანამშრომლობას თეთრი სახლის ადმინისტრაცია და ხაზი გაუსვა რეგიონში საქართველოს უსაფრთხოების აუცილებლობას.

# სკოლა - მშობლებისთვის

*იმ 25 ათასამდე უნარშეზღუდული ადამიანიდან, რომელიც დღეს საქართველოში მოითვლება, უმეტესობა მუცლადყოფნის, მშობიარობის ან დაბადებიდან 6 კვირის განმავლობაში დაინვალიდდა. დღეს ექსპერტებს დანამდვილებით შეუძლიათ თქვან, რომ ჩვენში ყველაზე გავრცელებული ცერებრალური დამბლის მიზეზი ორსულობის დროს წარმოქმნილი გართულებებია.*

მაკა ჭაიანი

სახელმწიფო ფედერალური პროგრამის მიხედვით, ორსულთა კონსულტაციები და ყველაზე აუცილებელი სამედიცინო შემოწმებები უფასოა, მაგრამ მომავალ დედებს მაინც უწევთ დახარჯვა. ვისაც ამის შესაძლებლობა არა აქვს, მშობიარობამდე ვარ ახერხებს ექიმის ნახვას. 9 თვის განმავლობაში დაშვებული შეცდომები კი მშობიარობის დროს ველარ გამოსწორდება

საკუთარი მომავლისადმი ეს იძულებითი უყურადღებობა, რომელსაც მხოლოდ მატერიალური პრობლემები უდევს სარჩულად, უახლოეს მომავალში, შეიძლება, გარკვეულწილად შერბილდეს. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, საქართველოში ხორციელდება დედათა განათლების ორი მნიშვნელოვანი პროექტი. სამშობიარო სახლებში, რომლებიც მეანობის სახელმწიფო პროგრამებს ახორციელებენ, იხსნება ე.წ. მშობელთა სკოლების კაბინეტები. ისინი აღჭურვილი იქნება ბიბლიოთეკით, ტელევიზორით, ვიდეომაგნიტოფონითა და ქსეროქსის აპარატით. სპეციალურად ამ სამსახურისთვის განსწავლული სამედიცინო პერსონალი მათ ყველა კითხვაზე უპასუხებს, საინტერესო მასალათა ასლები კი მომავალ დედებს შეეძლებათ, თანაც წაიღონ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ორთოსმა", რომელიც მშობელთა სკოლების პილოტური პროექტის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, შეაგროვა ყველა საჭირო, ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა. შეიქმნა ახალი სახელმძღვანელოც, რომელიც მოიცავს დედობის მთელ სპექტრს, ორსულობის დაგეგმვიდან დაწყებული, მოზარდობის პერიოდით დამთავრებული. UNICEF-ისა და "ორთოსის" წარმომადგენლების გარდა, მასზე 8 კონსულტანტი მუშაობდა. სახელმძღვანელოში მოცემულია სპეციალური ვარჯიშები ორსულებისთვის და მომავალი მშობიარობისთვის მათი ფსიქოლოგიურად მომზადებისთვის აუცილებელი რჩევები. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა ქართული სინამდვილისთვის.

მომავალ დედებს საშუალება ექნებათ, ნახონ საგანგებოდ მათთვის შექმნილი ვიდეომასალაც. UNICEF-ის ხელშეწყობით, მიმდინარეობს სამნაწილიანი ვიდეოფილმის გადაღება. ფილმი ყურადღებას გაამახვილებს ყველა იმ ფაქტორზე, რომელიც განაპირობებს ბავშვის განვითარებას, მისი მუცლადყოფნიდან, ვიდრე სამი წლის ასაკამდე. ამ საკითხების გასაშუქებლად ახალი სახელმძღვანელო შექმნა არასამთავრობო ორგანიზაციამ "კლარიტასმა". იგი მშობლებს მიაწვდის ინფორმაციას იმაზე, თუ, სხვადასხვა ასაკში, როგორი კვება, ჰიგიენის რა ნორმების დაცვა, რომელი აცრების ჩატარებაა საჭირო იმისთვის, რომ ბავშვი ჯანმრთელი იყოს და როგორ შეიძლება მის გონებრივ განვითარებას შევუწყოთ ხელი.

ეს კიდევ ერთი სიახლეა საქართველოსთვის. ჩვენში არსებული ლიტერატურისგან განსხვავებით, ეს წიგნი მშობლებს ასწავლის, როგორ შეუწყონ ხელი შვილებში ნატიფი მოძრაობის თუ ემოციურ, ფსიქოლოგიურ განვითარებას, თანატოლებთან, უფროსებთან მათი ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რაზეა საჭირო აქცენტების გაკეთება, რათა ბავშვს ათვისების, სწავლის უკეთესი უნარი ჰქონდეს. დამტკიცებულია, რომ ადამიანის განვითარება დაბადებიდან კი არა, მუცლადყოფნიდან იწყება. ამ დროს ნაყოფი ბევრ რამეს ითვისებს, ესმის დედის ხმა, რეაგირებს გამღიზიანებლებზე. დამტკიცებულია ისიც, რომ, თუ ბავშვი თბილ, კეთილგანწყობილ გარემოში იზრდება, მეტი შესაძლებლობებითაც გამოირჩევა.

როცა მომავალ დედას ესმის, რომ ნაყოფის ჯანმრთელობას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა განაპირობებს, მშობლების ყურადღებით განებივრებული პატარები კი ადრე იწყებენ ლაპარაკს და უკეთესად ვითარდებიან, უნარშეზღუდულთა რიგების შესავსებად გაცილებით ნაკლები ბავშვია განწირული. დასაწყისისთვის, მშობელთა სკოლები თბილისის ჩაჩავას სახელობის, გორისა და ხულოს სამშობიაროებში მოეწყობა. შემდეგ - ქვეყნის 37 სამშობიარო სახლში. ახლად მომზადებული ლიტერატურისა და ვიდეომასალის შეტანა ბავშვთა პოლიკლინიკებსა და ბაგა-ბაღებშიც არის დაგეგმილი. დაახლოებით მსგავსმა პრაქტიკამ საქართველოში უკვე 3 ბავშვი გადაარჩინა ინვალიდობას. ამ პროექტების მასშტაბები გაცილებით მეტს გვპირდება.

## მოკლედ

**თბილისი.** 23 ნოემბერს დაბა ბაკურიანში უმაღლესი განათლების რეფორმის გაცნობის მიზნით, ჟურნალისტებისათვის გაიმართება საინფორმაციო ტრეინინგები, რომლის ორგანიზატორია განათლების მართვისა და დაგეგმარების ინსტიტუტი.

პარლამენტის 2002 წლის პირველი მარტის დადგენილებით განისაზღვრა ამ რეფორმის ძირითადი მიმართულებები. სწორედ პარლამენტის დაკვეთით შეიქმნა საექსპერტო ჯგუფი, რომელიც უმაღლესი განათლების ახალ კანონპროექტზე მუშაობს. ბაკურიანში დაგეგმილი ტრეინინგების მიზანია მასმედიის წარმომადგენლების გაცნობა ამ რეფორმის მიზნებსა და მიმართულებებზე, რათა საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდეს მისი აქტუალურობა და შინაარსი. დაგეგმილია ჟურნალისტების შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფთან და დისკუსიები. ტრეინინგში მონაწილეობას მიიღებს 15-მდე ჟურნალ-გაზეთისა და ტელერადიომაუწყებლობის წარმომადგენლები. ტრეინინგებს, რომელიც 24 ნოემბერს დასრულდება, სოროსის ფონდი აფინანსებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა ნაძალადევის რაიონში, დადიანისა და ლეჩხუმის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სავაჭრო ობიექტი დაანგრია. მისი დანგრევის შესახებ გადაწყვეტილება გლდან-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ წლეულს, 17 ივლისს მიიღო. ეს ობიექტი ამ ტერიტორიაზე თემქაზე მცხოვრებმა, მოქალაქე სერგო სახიაშვილმა ააშენა. როგორც გაირკვა, აღნიშნული მოქალაქე მუშაობდა ამ ტერიტორიაზე მდებარე ყვავილების მაღაზიაში, რომლის დაწვის შემდეგ საკუთარი ინიციატივით ააშენა ახალი სავაჭრო ობიექტი, ისე რომ არც პროექტი ჰქონია და არც არქიტექტურული სამშენებლო ინსპექციის ნებართვა.

შენობის დანგრევის ნებართვისთვის სასამართლოს არქიტექტურულმა ინსპექციამ მიმართა. მოქალაქე სახიაშვილი სასამართლოზე არ გამოცხადებულა და არც სასამართლოს გადაწყვეტილება, ამიტომაც აღმასრულებელ სამსახურს შენობის დანგრევის უფლება მიეცა. როგორც სააღმსრულებლო სამახურის უფროსი გიგლა აგულაშვილია აცხადებს, დღევანდელი ღონისძიება სააღსრულებლო სამსახურის ხარჯებით მოხდა და დიდი თანხა არ დასჭირვებია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ეკოლოგიურმა პოლიციამ ამხილა შპს „ექსპრეს სერვისი 2000"-ის მფლობელი მერაბ დიაკონიძე, რომელიც ფალსიფიცირებულ ლიმონათს აწარმოებდა. როგორც თბილისის ეკოპოლიციის შტაბის უფროსმა ვახტანგ ლორიამ განაცხადა, ამოღებულია სარეალიზაციოდ გამზადებული 240 ლიმონათის ბოთლი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ს\ს "თბილგაზის" ტექნიკური დირექტორის თენგიზ არშილავას ცნობით, გაზგამანაწილებელი ქსელის დატვირთვა გუშინ დაიწყო. საბურთალოს რაიონში გაზის მიწოდება გუშინვე დასრულდა. დღეს კი სამგორისა და გლდანის გაზგამანაწილებელ სადგურებს გახსნიან და ბუნებრივი აირის მიწოდება ეტაპობრივად აღდგება, პირველ რიგში, სამგორისა და გლდანის რაიონებში. დღესვე განახლდება ზემო ვეძისის გაზმომარაგება. არშილავას განცხადებით, "თბილგაზი" ეცდება, მომხმარებელს ბუნებრივი აირი მაქსიმალურად მოკლე ვადაში, ორ კვირაში, მიაწოდოს. "თბილგაზი" მოსახლეობას სთხოვს, უსაფრთხოების მიზნით, გაზის ონკანები გადაკეტონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის მიერ ავტობუსების შესაძენად გამოცხადებული ტენდერის შედეგები ერთ კვირაში გამოცხადდება. როგორც სამსახურის უფროსი ოთარ ჭიპაშვილი აცხადებს, ტენდერის შედეგების გაცნობის შემდეგ 10 ავტობუსს შეიძენენ, რისთვისაც თბილისის ბიუჯეტში 100 ათასი ლარია გათვალისწინებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში ნოემბრის თვეში 6 ახალი შემთხვევა აღინიშნა. ინფიცირებულთაგან 4 თბილისელია. წელს 11 თვის განმავლობაში კი 81 ახალი შემთხვევა გამოვლინდა. დღეისთვის საქართველოში შიდსით სულ 361 დაავადებულია რეგისტრირებული, მათგან 149 თბილისელია, 59-59 - აჭარასა და სამეგრელოდან, 28 – იმერეთიდან. დაავადებულთა 70 პროცენტი ნარკომანია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ველოსიპედით დედამიწის გარშემო მოგზაურ გინესების წიგნის მრავალგზის რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას, რომელიც სამშობლოში ორი კვირის წინათ დაბრუნდა, თბილისის მერმა საჩუქარი დაახვედრა, დიდუბეში მშენებარე 15-სართულიან სახლში მეშვიდე სართულზე ოროთახიანი ბინა გადასცა. მართალია, ამჟამად სახლის მხოლოდ 5 სართულია აშენებული და ამ 5 სართულის აშენებას 5 წელიწადი მოანდომეს, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ დანარჩენ 10 სართულს ერთ წელიწადში მიამატებენ. "გამზადებული ბინა კი მერჩია. მოგზაურობის შესახებ წიგნის დაწერას ვაპირებ და იზოლირება მჭირდება. თანაც, უცხოეთიდან სტუმრებს ველი, სივიწროვის გამო ჩემს ბინაში ვერ მივილებ, არც სასტუმროს ქირაობის საშუალება მაქვს. თუმცა, ამისთვისაც დიდი მადლობელი ვარ," – აცხადებს რეკორდსმენი. **"24 საათი"**

# ჰომოსაპიენსებმა „წითელ წიგნზე და ნუსხაზე" პარლამენტში იმსჯელეს

*გუშინ პარლამენტის ჭავჭავაძის სახელობის თითქმის ცარიელ დარბაზში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტმა "წითელი წიგნისა და წითელი ნუსხის" შესახებ კანონპროექტი განიხილა. კანონპროექტმა კომიტეტის მოწონება დაიმსახურა. უახლოეს მომავალში ის განსახილველად პარლამენტს წარედგინება.*

ეთერ მამულაშვილი

კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგარ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების დაცვას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ერთი წლის წინათ შეიმუშავა. კანონპროექტის მიხედვით, გადასარჩენი ფლორისა და ფაუნის ნუსხის შედგენა მეცნიერებათა აკადემიის პრეროგატივა იქნება. ამ ნუსხას თორმეტ წელიწადში ერთხელ განაახლებენ. როგორც ავტორები აღნიშნავენ, კანონპროექტის მთავარი ღირსება არის ის, რომ ნუსხის შედგენაში მონაწილეობის უფლება ეძლევა ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

გუშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე ჩვენთან საუბარში თავს იმითაც იწონებდა, რომ კანონპროექტის თითოეული დებულება შესაბამისობაშია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის IUCN-ის მიერ შემუშავებულ მთელ რიგ სახელმძღვანელო დოკუმენტებთან.

ერთადერთი შენიშვნა, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტს ჰქონდა, ზოგიერთი ტერმინის განსაზღვრებას ეხებოდა. ჩხობაძე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, როზა ლორთქიფანიძეს შეჰპირდა, რომ უახლოეს დღეებში შენიშვნას აუცილებლად გაითვალისწინებდა.

პროექტის კანონად ქცევის შემთხვევაში, განათლების სამინისტრო უფლებამოსილი გახდება, "წითელი წიგნის" ოფიციალური გამოცემების საფუძველზე შეიმუშაოს და გამოსცეს სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია სკოლამდელი და დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის.

კანონპროექტის ძალაში შესვლის შემდეგ ის გახდება ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საფრთხის წინაშე მყოფ ფლორასა და ფაუნას დაიცავს.

კანონპროექტის ამოქმედებისთანავე შესაბამისი ცვლილებები შევა ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლისა და საგადასახადო კოდექსებში, ტყის, გარემოს დაცვის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა დაცვის შესახებ კანონებში.

# „თეთრი მანდილი" ითხოვს, დაუჩოქონ

*ძლივს შემდგარი საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ იოსებ შატბერაშვილის დანიშვნას უინციდენტოდ არ ჩაუვლია. გუშინ "თეთრი მანდილის" მანდილოსნებმა საკრებულოს თავმჯდომარეს კატეგორიულად მოსთხოვეს მისი თანამდებობიდან გადაყენება.*

ნანა ქადაგიშვილი

კატეგორიულ მანდილოსნებს საააკაშვილი შეჰპირდა, შატბერაშვილს კომისიის თავმჯდომარედ კი დავტოვებთ, მაგრამ კულტურის სფეროს არ გავაკარებთო. თუმცა, "თეთრი მანდილი" ისეა გაღიზიანებული, ასეთი დაპირებითაც არ კმაყოფილდება და შატბერაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს. თუ არ დაიჩოქებს და ბოდიშს არ მოგვიხდის, სასამართლოში ვუჩივლებთო, - იმუქრებიან "თეთრი მანდილის" წარმომადგენლები.


გურანდა გაბუნია და ქეთი დოლიძე

ყველაფერი კი ვანო ზოდელავას "ბრალია". საკრებულოს სხდომაზე "თეთრი მანდილის" ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ, თეატრის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქის მთავრობას ზოდელავას ხელშეუხებლობა მოსთხოვა. სოციალურ საკითხთა კომისიის ახლად დანიშნულ თავმჯდომარეს განუცხადებია, ეს ქალბატონები მერიიდან სუბსიდიებს იღებენ და ზოდელავას შეცვლა ამიტომაც არ უნდათო. ნუ გეშინიათ, ფულს მეც მოგცემთო, უთქვამს მათთვის, თანაც, სხდომის დასრულების შემდეგ დასალაპარაკებლად მისული "თეთრი მანდილის" მესვეურისთვის ხელი აუქნევია, ნუ გამიჭირეთ საქმეო. ასეთმა საქციელმა "თეთრი მანდილის" წარმომადგენლები ისე შეურაცხყო, დღემდე ვერ დამშვიდებულან. შატბერაშვილმა ისიც კი არ იცის, რომ ჩვენი ორგანიზაცია არასამთავრობოა და მერიისგან არ ფინანსდება და "თეთრი მანდილი" ასე აგდებულად მოპყრობას არ იმსახურებსო, განუმარტავს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ქეთი დოლიძეს. ქალბატონმა ქეთიმ ამ საკითხს გუშინ პრესკონფერენციაც მიუძღვნა და ჟურნალისტებს ზოდელავასადმი სიმპათიის მიზეზი კიდევ ერთხელ აუხსნა: "ჩემთვის საკრებულოში მისვლა არავის დაუძალებია, როგორც ეს შატბერაშვილს ჰგონია. განა ისეთ ქალს ვგავარ, ვისაც ვინმე სადმე ძალით მიიყვანს? ჩვენ პოლიტიკოსები არაფერში გვჭირდება, პირიქით, იქით ვჭირდებით. უზრალოდ, ვანიკო ერთადერთია, ვინც თეატრს ეხმარება და ვინც მობილურ ტელეფონზე უყოყმანოდ ყველას პასუხობს. ასეთი მერის დაკარგვა არ შეიძლება. მეც ვიზიარებ იმ აზრს, რომ ბარნოვზე ცისფერ-ვარდისფერი სახლების აშენება არ შეიძლება, მაგრამ უკვე აშენდა და რაღას ვიზამთ. თანაც, ასეთი მშენებლობები ზოდელავამდე დაიწყო," – აცხადებს ქეთი დოლიძე და კულტურის ქომაგ მერს ამ ერთ ნაკლსაც პატიობს.

იოსებ შატბერაშვილის თანაპარტიელი შალვა ნათელაშვილი კი "თეთრი მანდილის" წარმომადგენელთა ასეთი გაღიზიანების მიზეზს ვერ ხვდება. "მათთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია, პირიქით, თვითონ შეცვივდნენ საკრებულოში. შატბერაშვილმა კი სიმართლე თქვა. ჩვენმა მთავრობამ საქართველოს კულტურა მართლაც ნგრევის პირას მიიყვანა და პრობლემის მოსაგვარებლად ცალკეული თეატრებისთვის ათასების გადარიცხვა არ კმარა. მხოლოდ ქეთი დოლიძეა კულტურის ქომაგი და ისინი არა, ვისაც მართლა უჭირს, მაგრამ პრეზიდენტსა და მერს არ ეფერება?" –რიტორიკულ კითხვას სვამს შალვა ნათელაშვილი.

# გამგებლები ცოფზე „აცრილები" არიან

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე გამგებლებს ოფიციალურად და სრული სერიოზულობით დაემუქრა. მთავრობის სხდომაზე კონკრეტულ პირებს დავასახელებ და მათი პასუხისმგებლობის საკითხს დავაყენებო, ბრძანა მინისტრმა. საქმე ისაა, რომ გამგებლები ურყევად აგრძელებენ პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების ფეხებზე დაკიდების დამკვიდრებულ ტრადიციას, რასაც ადამიანთა სიცოცხლე ეწირება.*

ზაზა ფარუაშვილი

პრეზიდენტმა ჯერ კიდევ 1997 წელს გამოსცა ბრძანება ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ, რომელსაც იშვიათი გამონაკლისის გარდა, თურმე, არავინ ასრულებს. ყველა გამგებელი ვალდებულია წელიწადში ორჯერ გააკეთოს ანგარიში სახელმწიფო მინისტრის სახელზე. წელს ანგარიში მხოლოდ ორმოცი რაიონიდან გამოაგზავნეს, ნაცვლად სამოცდახუთისა. ისიც ზერელე და საეჭვო. გამგებლები წერენ, ამდენი და ამდენი ძაღლი ავცერითო, მაგრამ დაკბენილთა და გარდაცვლილთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება.

წელს საქართველოში ცოფის საწინააღმდეგო აცრა 12 ათას ადამიანს დასჭირდა. 9 დაკბენილი გარდაიცვალა იმის გამო, რომ მათ ექიმს დროზე არ მიაკითხეს. შარშან იგივე მიზეზით გარდაიცვალა 10 ადამიანი. ასეთი რამე ცივილიზებულ სამყაროში, კარგახანია, აღარ ხდება. მთელ ევროპაში ცოფზე წელიწადში მხოლოდ ერთ-ორ ადამიანს ცრიან. ესეც ის შემთხვევებია, როცა დაკბენა


"ასე სავსე დარბაზი ჯერ არასოდეს ყოფილა".
ზაზა ფარუაშვილის ფოტო

ტყეში გარეული ცხოველებისაგან ხდება. შინაური ცხოველების პრობლემა იქ თავიდან ბოლომდე მოგვარებულია. ყველა აცრილია, ხოლო მაწანწალები ქუჩაში არ დარბიან.

ჩვენთან ყველაფერი უკუღმაა. მაწანწალა ძაღლები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იღრინებიან. შინაური ცხოველების პატრონებს კი თავისი ოთხფეხა მეგობრების უფასო აცრაზე მიყვანა ეზარებათ. არადა, გარდაცვლილთა უმეტესობა შინაური ცხოველების მსხვერპლი გახდა.

გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით გაფართოებული თათბირი გაიმართა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, რომელსაც გამგებლები უნდა დასწრებოდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ წარმომადგენლები გამოაგზავნეს. ვეტდეპარტამენტიდან საერთოდ არავინ მოსულა. ეს არის უპატივცემლობა და საკითხისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაო, განაცხადა მინისტრმა, რომელმაც გამგებლებს საქმის გამოსწორების კიდევ ერთი შანსი მისცა.

ამირან გამყრელიძე: " ოცდამეერთე საუკუნეა და სირცხვილია, რომ ცოფისგან ხალხი გვეღუპება. ეს პრობლემა იმიტომ დგას, რომ ძაღლების მოვლა არავის უნდა, მაგრამ გაფრთხილებთ, ასე აღარ გაგრძელდება. ვინც საქმეს ვერ აკეთებს, უნდა წავიდეს. იანვარში გამოვალ მთავრობის სხდომაზე და დავასახელებ კონკრეტულ გვარებს იმ გამგებლებისა, რომლებიც პრეზიდენტის ბრძანებულებას არ ასრულებენ. ასე, რომ თქვენ კიდევ გაქვთ ორი თვის ვადა."

იმის მიუხედავად, რომ სამინისტროს დარბაზი ასე გატენილი არასოდეს ყოფილა, მინისტრის კითხვას, ვის რა წინადადებები გაქვთო, გამგეობებიდან არავინ გამოხმაურებია. მაშინ, კარგად დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები და გამგებლებს გადაეცითო, - მიმართა მათ ამირან გამყრელიძემ.

# შეკვეთილი მკვლელობა, რომელსაც გახსნის პერსპექტივა არ აქვს

*კარგად ორგანიზებული შეკვეთილი მკვლელობა – ასეთი შეფასება მისცეს კახი ასათიანის მკვლელობას სამართალდამცველებმა. საქართველოში შეკვეთილი მკვლელობები არ იხსნება. ბოლო ათწლეულის კრიმინალურ ისტორიას და სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ მომხდარ შეკვეთილ მკვლელობათა ძალიან დიდი უმეტესობა კვლავ ბურუსითაა მოცული – გაუხსნელია და გახსნის პერსპექტივა არც მომავალში გააჩნია.*

ინგა ალავიძე

**"თუ კახი ასათიანის მკვლელობა დღეს, ცხელ კვალზე არ გაიხსნება, ჩათვალეთ, რომ იგი ვეღარასოდეს გაიხსნება,"** – ასეთ ვარაუდებს მოისმენთ კანონდამცველებისგან კულუარულ საუბრებში, ცნობილი ფეხბურთელის, სპორტის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარისა და ავიაკომპანია "აირზენას" ერთ-ერთი დამფუძნებლის, ფირმის ვიცე-პრეზიდენტის, თბილისში ცნობილი პიროვნების კახი ასათიანის მკვლელობის შესახებ. ჯერჯერობით, უცნობია როგორც მკვლელობის მოტივი, ასევე შემკვეთ-შემსრულებელთა ვინაობაც, ანუ მკვლელობა ჯერ გაუხსნელია.

მკვლელობიდან სამი დღის შემდეგ ცნობილია მხოლოდ ის, და დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ქილერების მიერ გასროლილმა ავტომატის ჯერმა ცნობილი ფეხბურთელი სიცოცხლეს გამოასალმა. საზოგადოებამ სამი დღის შემდეგაც იცის იმდენივე, რამდენიც მკვლელობის პირველივე წუთებში გახდა ცნობილი – კახი ასათიანი მოკლეს.

გუშინწინ, დაახლოებით საღამოს 8-ის ნახევარზე, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე გაჩერებულ კახი ასათიანის მანქანას "ბმვ"-ს მარკის მანქანამ ჩაუარა. "აირზენას" ვიცე-პრეზიდენტის მანქანასთან მიახლოებისას თავდამსხმელებმა სიჩქარე შეანელეს და ავტომატიდან ჯერი კახი ასათიანს მიუშვეს. სროლის შემდეგ, ქილერებმა სასწრაფოდ დატოვეს მკვლელობის ადგილი. თვითმხილველთა განცხადებით, მკვლელები, რომლებიც ნაცრისფერ "ბმვ"-ში ისხდნენ, დიდი სიჩქარით ვაკის პარკის მიმართულებით წავიდნენ. თვითმხილველებმა ვერ შესძლეს მანქანის ნომრისა და სერიის აღდგენაც.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მასრების საფუძველზე დადასტურდა, რომ მკვლელები "აკს"-ის სისტემის ავტომატიდან ისროდნენ. მკვლელობის იარაღის შესახებ დეტალური ინფორმაცია მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხი გამზადდება. პროკურატურა დასკვნას, სავარაუდოდ, 10 დღეში ჩაიბარებს.

გუშინწინ, გვიან ღამით, კახი ასათიანის ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტიზის დასკვნა უკვე ცნობილია: **"ქალა-ტვინის ტრავმა, თავის ტვინის დაზიანებით და მრავალჯერადი მოტეხილობებით,"** – ექსპერტთა შეფასებით, კახი ასათიანის სიკვდილი სროლის შედეგად მიყენებულმა ამ ტრავმებმა გამოიწვია. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს უფროსის მოადგილის ლევან ჩაჩუას ინფორმაციით: **"კახი ასათიანს 8 ტყვია ესროლეს, თავისა და კისრის არეში - 5 ტყვია თავის ქალის არეში, 2 კისრის მიდამოში აქვს მოხვედრილი, ერთი შემხები ჭრილობა კი კეფის არეში აღენიშნება. სროლა განხორციელებულია უკნიდან და ყველა ჭრილობა გამავალია,"** – აცხადებს ლევან ჩაჩუა.

**"თავის ქალის დაზიანებების შედეგად სიკვდილი წუთიერად დადგებოდა,"** – ასეთია მთავარი ექსპერტის რეზიუმე.

ლევან ჩაჩუას ინფორმაციით, საბოლოო დასკვნას ბიურო გამოძიებას ორ კვირაში წარუდგენს, რადგან უნდა ჩატარდეს ქიმიური და ბიოლოგიური ექსპერტიზებიც.

გენერალურმა პროკურატურამ მომხდარ ფაქტზე განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა საქმე. გუშინ გენერალური პროკურორის განკარგულებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო განყოფილების სპეცჯგუფმა შემთხვევის ადგილი და კახი ასათიანის მანქანა ხელმეორედ დაათვალიერეს. თუმცა, გამოძიებას ახალი დეტალები ვერ შესძინეს. გარდა იმისა, რომ სამართალდამცველებმა მოახერხეს რამდენიმე თვითმხილველი მოწმის აღმოჩენა, რომელთა ვინაობასაც მათი უსაფრთხოების მიზნით ასაიდუმლოებენ.


*მკვლელობის ადგილის დათვალიერება.*

ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის მიერ დაკითხული რამდენიმე მოწმე რამდენიმე მანქანის სხვადასხვა ნომერს ასახელებს. არსებული მონაცემებით, თვითმხილველებმა გამოძიებას განუცხადეს ისიც, რომ მათ შეამჩნიეს სამი მანქანა. მანქანა, რომლიდანაც მკვლელები ისროდნენ, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე გაჩერებულ კახი ასათიანის მანქანას უკნიდან ჩაუდგა. ქილერთა მანქანას ზურგს უმაგრებდა "ბმვ", მათ წინ კიდევ ერთი უცხო მარკის მანქანა მიუძღვებოდათ. ანუ, ამ მონაცემების მიხედვით, გამოდის, რომ მკვლელები ერთი მანქანით არ იყვნენ, მკვლელობის მომენტში, შემთხვევის ადგილზე სამი საეჭვო მანქანა მოძრაობდა. კახი ასათიანს შუაში მოქცეული მანქანიდან ესროლეს, გამოძიების მონაცემებით ისროდნენ, მძღოლის გვერდითა და უკანა სავარძელში მსხდომი ქილერები. საგამოძიებო ჯგუფის ვარაუდით, მკვლელი პროფესიონალი იყო.

გენერალურ პროკურატურას ჯერ არ დაუკითხავს ოჯახის წევრები და "აირზენას" თანამშრომლები. თუმცა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ოჯახის გაოგნებული წევრები მკვლელობის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ.

კახი ასათიანის მკვლელობის საქმისათვის შექმნილი სპეცჯგუფი ყველა შესაძლო ვერსიაზე მუშაობს. თუმცა, პრიორიტეტულად ორს მიიჩნევს – მოკლულის სამსახურებრივ საქმიანობასა და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კახი ასათიანის მკვლელობასთან დაკავშირებით კანონდამცველებს, ჯერჯერობით, სრულყოფილი მასალები არ მოეპოვებათ. თვითმხილველი მოწმეების ჩვენებები, მანქანის და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები, მკვლელობის ადგილიდან ამოღებული მასრები და ცხედრის ექსპერტიზის დასკვნა – აი, სულ ეს არის მათ ხელთ არსებული მასალები. და ერთიც - გენერალური პროკურატურის და პოლიციის სპეცჯგუფები გუშინ, გვიან ღამემდე მათ ხელთ არსებული არასრულყოფილი მონაცემებით, ქილერთა სავარაუდო ფოტორობოტს ამუშავებდნენ.

# „აირზენა" კახი ასათიანის მკვლელობის სამსახურებრივ ვერსიას უარყოფს

კახი ასათიანის მკვლელობის თაობაზე გავრცელებულ ვერსიას, რომ "აირზენას" ვიცე-პრეზიდენტი სამსახურებრივი საქმიანობის გამო მოკლეს, კატეგორიულად უარყოფენ კომპანიის თანამშრომლები.

**"ჩემთვის მიუღებელია ის ინფორმაციები, რასაც ავრცელებენ. ავიაკომპანიისთვის სრულიად სენსაციური იყო ის ინფორმაცია, როცა ითქვა, რომ თითქოს პრეზიდენტის შვილს - პაატა შევარდნაძეს პირადი ინტერესები აქვს "აირზენაში" და მომხდარი მკვლელობა ამ გვართან დაკავშირდა. მსგავსი აბსურდი წარმოუდგენელია. არ ვიცი, ვის რაში სჭირდება პრეზიდენტის ოჯახის სახელის დაკავშირება კახი ასათიანის მკვლელობასთან, მაგრამ ერთი რამის თქმა ნამდვილად შემიძლია, პაატა შევარდნაძეს და, საერთოდ, პრეზიდენტის ოჯახს არანაირი შეხება "აირზენასთან" არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით ედუარდ შევარდნაძის ზრუნვას ამ დარგის - ეროვნული ავიაციის განვითარებისათვის,"** – ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ასეთი მოკლე განცხადება გააკეთა "აირზენას" ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის კახი ასათიანის მოადგილემ დავით გოგელიამ.

**"ბატონი კახი ისეთი პიროვნება იყო, ვინც მას იცნობს, ვერ დაუშვებს, რომ მას შეიძლება ვინმესთან კონფლიქტი ჰქონოდა,"**– ამბობს დავით გოგელია, რომელსაც მკვლელობის ვერსიებზე საუბარი ნაადრევად მიაჩნია და ყველას თხოვნით მიმართავს, გამოძიების დასრულებამდე მსგავსი უსაფუძვლო განცხადებების გაკეთებისაგან თავი შეიკავონ.

# აღმასრულებლებმა უკანონოდ აშენებული ნაგებობა დაანგრიეს

ხათუნა ბიბაური

გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თანამშრომლებმა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს დავალების შესრულება უპრობლემოდ, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და გართულებების გარეშე შეძლეს. თუკი ხშირ შემთხვევებში მართლმსაჯულების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებას თავად მოპასუხე მხარეები უშლიან ხელს და პრობლემების თავიდან ასაცილებლად სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დიდი ხნის განმავლობაში საერთოდ აღუსრულებელი რჩება ხოლმე, გუშინდელმა სააღსრულებლო ოპერაციამ - იძულებითი წესით სავაჭრო ობიექტის აღება-დანგრევამ - ექსცესების გარეშე ჩაიარა.

საქმე ისაა, რომ რამდენიმე თვის წინ გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა თბილისის არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექციის სარჩელი, რომლითაც მომჩივანი მოითხოვდა, რომ დანგრეულიყო დადიანისა და ლეჩხუმის ქუჩების გადაკვეთასთან მდებარე სკვერში, სერგო სახიაშვილის მიერ, უნებართვოდ, უპროექტოდ, მშენებლობის სათანადო ნებართვის გარეშე აშენებული სავაჭრო ობიექტის შენობა.

სასამართლომ შენობის დანგრევისა და ნანგრევებისგან ტერიტორიის გაწმენდის ხარჯები თავად სახიაშვილს დააკისრა. მასვე დაეკისრა სახელმწიფოს სასარგებლოდ ბაჟის – 15 ლარის გადახდა. სასამართლომ გადაწყვეტილება მოპასუხის გარეშე, დაუსწრებლად გამოიტანა, რადგან სახიაშვილი სასამართლო პროცესზე არ გამოცხადებულა.

მიუხედავად მრავალჯერადი გაფრთხილებისა, სახიაშვილმა არ თუ ვერ შეძლო სასამართლოს მიერ დაკისრებული მოთხოვნის შესრულება. მისი გასაკეთებელი საქმე გუშინ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტის თანამშრომლებმა იტვირთეს. რამდენიმე საათში, ადგილზე მიყვანილი ამწის მეშვეობით, უკანონოდ აშენებული შენობის კვალიც აღარ იყო. რაც მთავარია, შენობის მფლობელმა რამდენჯერმე მიიღო შეტყობინება დაგეგმილი ღონისძიების ჩატარების თაობაზე; თუმცა, გუშინ სერგო სახიაშვილი მის მიერ უკანონოდ აშენებულ შენობასთან მისულ აღმასრულებლებს არც კი გაჰკარებია **"მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შევა, ხშირად გვიწევს ხოლმე იძულებითი ღონისძიებების გატარება. ჩვენი საქმიანობის შემაფერხებელი და ხელის შემშლელი ფაქტორი კი, რა თქმა უნდა, თანხების მოძიებაა. დღევანდელი შემთხვევა პირველია, როცა ჩვენი სააღსრულებლო ბიუროს სახელზე ბანკში არსებულ სადეპოზიტო ანგარიშზე ბანკის მიერ დარიცხული თანხა გამოვიყენეთ. დღეს აქ დახარჯული თანხა, წესით, შენობის მეპატრონემ, სერგო სახიაშვილმა, უნდა აანაზღაუროს, მაგრამ... ერთი სიტყვით, ბიუჯეტი რომ გვაფინანსებდეს, ჩვენი მუშაობა გაცილებით ოპერატიული, ეფექტური და შედეგიანი იქნებოდა**", – განაცხადა ჩვენთან საუბრისას სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა, რომლის უწყებაც თავმჯდომარის თქმით, კიდევ აპირებს აღუსრულებელი ხმაურიანი საქმეების იძულებით აღსრულებას.

# პეტრე ცისკარიშვილს საპარლამენტო სასამართლო ელოდება

თამარ კაკიტაძე

ერთ დროს პარლამენტის ყველაზე ჩუმი, ბოლო პერიოდში კი ერთ-ერთი სკანდალური დეპუტატი - პეტრე ცისკარიშვილი, ბოლო ორი წლის განმავლობაში რიგით მეხუთე პარლამენტარია, რომელსაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის რეალური საშიშროება ემუქრება.

გუშინწინ, შურისძიების ნიადაგზე დავით საგანელიძის მიმართ მომხდარი თავდასხმის გამო, პარლამენტარებმა კანონდამცველებს, კერძოდ კი, გენერალურ პროკურატურას მიმართეს და ცისკარიშვილის საქციელზე სამართლებრივი შეფასება მოითხოვეს. შეგახსენებთ, "ნაციონალური მოძრაობის" ახლა უკვე ყოფილმა წევრმა პეტრე ცისკარიშვილმა "ახალ მემარჯვენე" დავით საგანელიძეს სახის არეში, სავარაუდოდ, "კასტეტი" ჩაარტყა და თვალი სერიოზულად დაუზიანა.

მართალია, საკანონმდებლო ორგანო ბოლო პერიოდში საზოგადოებისთვის "კრივის არენად" უფრო მოიაზრება, მაგრამ არც დეპუტატებს და არც კანონდამცველებს დეპუტატთა ხულიგნურ საქციელზე რეაგირების მოხდენა აზრადაც არ მოსვლიათ. არადა, გენერალური პროკურატურა, კანონის თანახმად, ვალდებული იყო პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე რეაგირება მოეხდინა. საპარლამენტო ინციდენტებს რომ გაშუქება არ აკლდა, ფაქტია. ასეა თუ ისე, პარლამენტში მომხდარ არც ერთ მუშტი-კრივს არც სამართლებრივი და არც, თავად პარლამენტართა მხრიდან, მორალური შეფასება არ მისცემია.

გუშინწინ კი საგანელიძის დაზიანებულმა თვალმა, როგორც ჩანს თვალი დეპუტატებსაც აუხილა. თუმცა, რამდენად ძლიერია და რამდენ ხანს გასტანს კოლეგისადმი პარლამენტარების რისხვა, წინასწარ ძნელი სათქმელია. არადა, კონსტიტუციით ხელშეუხებელი დეპუტატის ბედს, კონსტიტუციის 52 მუხლის თანახმად, თავად პარლამენტარებივე განსაზღვრავენ.

მართალია, კანონით, გენერალურ პროკურორს შეუძლია, უკანონობაში მხილებული პარლამენტარის მიმართ ან პარლამენტარის მონაწილეობით მომხდარ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მაგრამ სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილება სწორედ აქ მთავრდება. საგამოძიებო მასალებით შეიარაღებული გენერალური პროკურორი ვალდებულია, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიმართოს და კანონდამრღვევი დეპუტატისათვის იმუნიტეტის მოხსნა მოითხოვოს.

პარლამენტის შესაბამისი კომისიები, თავის მხრივ, ვალდებულები არიან, განიხილონ გამოძიებით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძვლიანობა და თუ კომისიის წევრები დარწმუნდებიან, რომ დეპუტატის მხრიდან მართლაც ჰქონდა ადგილი დანაშაულს, იმუნიტეტის მოხსნის საკითხს ვიზას პარლამენტის სხდომაზე განსახილველად მისცემენ. აქ კი ხმათა უმრავლესობა გადაწყვეტს კოლეგის ბედს. თუ გაიწირება დეპუტატი, გამოძიება გაგრძელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ცისკარიშვილის საქმეც იმ საქმეების გვერდით დაიდება, სადაც ინჯიას, ჯავახიშვილისა და სხვათა მასალები დევს.

"ჰუმანურობის" გზას გააგრძელებს პარლამენტი თუ "ნაციონალებიდან" მოკვეთილ კოლეგას დეპუტატები ზურგს შეაქცევენ, ორ დღეში გამოჩნდება. ჩვენი ინფორმაციით, გენერალურ პროკურატურაში პეტრე ცისკარიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა და რამდენიმე დღეში გენპროკურორი პარლამენტში იმუნიტეტის მოხსნის მოთხოვნითაც შევა.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი: ალავიძე-ჯოჯუას ფაქტს თუ გავიხსენებთ, არ არის გამორიცხული, რომ დაპირისპირებულ კოლეგებს შერიგებისკენ "მაღალმა ძალებმა" მოუწოდონ.

# თარგამაძისეული სისტემა ნარჩემაშვილის ეპოქაში

**ახალმა მინისტრმა დაპირებული გფბ-ს ტიპის სამსახური ვერ შექმნა**

**პოლიციაში რეფორმა არ დაწყებულა**

პირველი გვერდიდან

გუშინ საქართველოს პარლამენტის წინაშე გამოსულმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთი წლის წინ, იმავე პარლამენტის მიერ მისი მინისტრად დამტკიცების პროცედურისას თავისი გამოსვლა გაიხსენა. მაშინ პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი მინისტრობის ახალგაზრდა კანდიდატი კანონშემოქმედთ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების აუცილებლობაზე ესაუბრებოდა და თავს ამ რეფორმების გატარების შემძლედ წარმოუდგენდა. შს მინისტრობის კანდიდატისგან პარლამენტარებს რეფორმებზე ლაპარაკი ნამდვილად არ უნდა გაკვირვებოდათ. მათ 1999 წლის ბოლოს პარლამენტის მიერ მინისტრების დამტკიცებისას თვით კახა თარგამაძის რეფორმატორული გეგმებიც კი მოუსმენიათ. თუ მანამდე რეფორმების აუცილებლობის შესახებ მოწოდებებს თარგამაძე მოსალოდნელი ტერაქტებისა და დესტაბილიზაციის გამო მოულოდნელობას უპირისპირებდა, ყველასთვის მოულოდნელად, კანონმდებლების წინაშე ის რეფორმის პროექტით წარსდგა. მაშინდელი მინისტრი ამერიკის გფბ-ს ტიპის სამსახურის ჩამოყალიბებაზე ალაპარაკდა, რაც საგამოძიებო სტრუქტურების გაერთიანებას გულისხმობდა. მისი გარეფორმატორობა პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით მოიწონა და მინისტრის პორტფელი დაუტოვა. მინისტრის სავარძლის გარანტირების შემდეგ თარგამაძეს რეფორმა აღარც გახსენებია – თავის გამართლებისთვის კი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა უფულობის არგუმენტი.

გუშინ კობა ნარჩემაშვილიც დანაპირები რეფორმების ჯერჯერობით ვერ განხორციელებას კვლავაც მწირ ფინანსურ შესაძლებლობებს აბრალებდა, თუმცა კი ამაყობდა იმით, რომ სამართალდამცველ ორგანოთა რეფორმის კონცეფცია სწორედ გფბ-ს ტიპის საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბებას გულისხმობს. თუმცა, ერთი წლის წინათ, პარლამენტის წინაშე რეფორმებზე საუბრისას ნარჩემაშვილი მართლაც მრავალმილიონიანი პროექტის – ერთიანი საგამოძიებო სტრუქტურის ჩამოყალიბების შესაძლებლობებზე იმ უბრალო მიზეზით ვერ ისაუბრებდა, რომ ანტიკორუფციულმა საბჭომ აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაციის პროექტი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა შემდგომ უწყებათშორისი კომისია და დაიწერა რეფორმის კონცეფცია, მისი დანიშვნის შემდეგ წარუდგინა პრეზიდენტს. ახლა ამ რეფორმის განხორციელებისათვის საჭირო დიდძალი თანხების გამოყოფას საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ორგანიზაციები პირდებიან, ნარჩემაშვილის დანიშვნისას კი ამგვარ გარანტიებზე ლაპარაკიც არ იყო. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მინისტრის პოსტის პრეტენდენტი ახალგაზრდა კადრი იმ რეფორმებზე საუბრობდა, რომელთა გატარებაც, თვლიდა, რომ ხელეწიფებოდა. რა გაკეთდა და შეიცვალა პოლიციაში მას შემდეგ?

პირველი ნიშნები ნარჩემაშვილის მხრიდან თარგამაძის მემკვიდრეობის გამოსწორებისა მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში გამოჩნდა, როცა მან შსს-ს მთელი შემადგენლობა, თავისი მოადგილეებითურთ, სამსახურიდან დაითხოვა და პოლიციის ხელმძღვანელობის გადახალისება ბრძანა. ცხადია, რეფორმატორობის მსურველი ნარჩემაშვილისგან წამოსული ინიციატივის შემთხვევაში შს კადრების თვისობრივ გადახალისებას წინ, ოფიციალურად მაინც, ვერავინ აღუდგებოდა. მაგრამ დიდი სამხრეების ცვენის აქტი არ შედგა, უფრო სწორად, მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. სიახლეებისა და გაჯანსაღების მოლოდინში მყოფ საზოგადოებას, პირველ რიგში, თარგამაძის მარჯვენა ხელის ზურაბ ჩხაიძის თანამდებობაზე დატოვება ენიშნა ცუდად – ეს ფაქტი სამინისტროში თარგამაძის აჩრდილის დარჩენად იქნა აღქმული. ძველი ტრადიციისამებრ, მეგობრულ-პროტექციონისტული ნიშნით წარიმართა სხვა მოადგილეების დანიშვნა. საკადრო პოლიტიკის რეფორმირებისგან შორს მდგომ ნაბიჯად იქნა აღქმული მაღალ პოლიციურ თანამდებობებზე ისეთი რეპუტაციაშელახული პირების დანიშვნა, როგორებიც არიან ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შერისხული ზაზა შუბითიძე, ჯამლეტ ბაბილაშვილის მარჯვენა ხელი და თავად ნარჩემაშვილის ყოფილი ხელმძღვანელი ორდე ბებია, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ნარკომაფიასთან კავშირში დადანაშაულებული, ნარკომანიასთან ბრძოლის ბიუროს ყოფილი უფროსი გოჩა სისაური.

**"მე კადრებს პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ვარჩევ და არა იმის მიხედვით, ვინ რას ფიქრობს მათზე,"**—ასეთი პასუხი გასცა თავად მინისტრმა მისი საკადრო პოლიტიკის დამწუნებლებს.

საკადრო პოლიტიკა ერთადერთი არ გახლდათ, რომლის გადახალისებაც კობა ნარჩემაშვილს შეეძლო და რეალურად არ განხორციელებულა. სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისითაც შს სამინისტროში ნარჩემაშვილის მინისტრობის ერთი წლის მანძილზე მხოლოდ ის მოხერხდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეორგანიზაცია მოხდა. ნარჩემაშვილის გუნდის წევრები ირწმუნებიან, რომ ამ დეპარტამენტის სამოქალაქო რელსებზე გადასვლა მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი რეორგანიზაციისა, რომელიც საბოლოოდ სტრუქტურაში უნდა განხორციელდეს. სამაგიეროდ, ამ რეორგანიზაციას მოწინააღმდეგეებიც ბევრი ჰყავს, მათ შორის თავად ამ დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ვასილ დავითაია, რომლის თანამდებობიდან გათავისუფლებასაც მინისტრს დაჟინებით თხოვდა ანტიკორუფციული ბიურო. რეორგანიზაციის ფარგლებში ანტიკორუფციონერების მოთხოვნის შესრულება დღეს სასამართლოშია გასაჩივრებული და არ არის გამორიცხული, რომ ვასილ დავითაიამ დაკარგულ თანამდებობაზე თავი აღიდგინოს...

**"ნარჩემაშვილი თარგამაძის მოადგილე იყო და მისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა სისტემის წინააღმდეგ წასვლა,** - ამბობს "თავისუფლების ინსტიტუტის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან რამიშვილი, - **ამ ერთი წლის მანძილზე ის ელემენტარულიც არ გაკეთებულა, რისი მიღწევაც უპრობლემოდ იყო შესაძლებელი. კი, ბატონო, შეიძლება, არ ხერხდება პოლიციის ერთბაშად დეცენტრალიზაცია, რაც მას საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს გახდიდა, მაგრამ საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭოს შექმნას მაინც რა ედგა წინ. ხომ არსებობს ასეთი სტრუქტურა იუსტიციის სამინისტროსთან და შესანიშნავადაც მუშაობს. ამ ფორმით მაინც რომ გამხდარიყო შესაძლებელი შინაგან საქმეთა სამინისტროზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის დაწესება, უკვე კარგი იქნებოდა. თუმცა, ამაზე რა უნდა ვთქვათ, როცა კობა ნარჩემაშვილი სამართალდამცველი სტრუქტურების რეფორმის კონცეფციის შესამუშავებლალად შექმნილ კომისიაში ბევრი დებულების ყველაზე აქტიურ მოწინააღმდეგედ გვევლინებოდა. ჩემი აზრით, ის დოკუმენტი, რომელიცამ კომისიამ შეიმუშავა, არათანმიმდევრულია და ამასთან ზედმეტად ზომიერი. ნარჩემაშვილს კი საწინააღმდეგო ამ არარადიკალური კონცეფციის მიმართაც კი ძალზე ბევრი აღმოაჩნდა"**.

ცხადია, არაფრისმთქმელი საკადრო და სადაოდ ქცეული სტრუქტურული ცვლილებები, ძნელია, ნარჩემაშვილის აქტივებს მიეწეროს. გავრცელებული აზრით, ასევე გადაჭარბებულია საუბრები პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მნიშვნელოვნად შემცირების თაობაზე. მართალია, რამდენიმე წლის წინანდელი პრაქტიკისგან განსხვავებით, შს სამინისტროსა და თბილისის პოლიციის სამმართველოს ფანჯრებიდან ეჭვმიტანილები აღარ ხტებიან, მაგრამ, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნების თანახმად, პოლიციაში ძველებურად ცემენ და აწამებენ დაკავებულებს, ოღონდ ამგვარ ინციდენტებს ახლა უფრო პერიფერიებში აქვს ადგილი, ვიდრე დედაქალაქში.

**"თუმცა, არც იმის არდანახვა შეიძლება, რომ დღეს პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე საზოგადოებას რეალური ზემოქმედების საშუალება მიეცა. შესაძლოა, ეს დღევანდელი მინისტრის სისუსტესაც მიეწეროს – მას არ ძალუძს წინ აღუდგეს საზოგადოების ნებას, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, თარგამაძის მინისტრობის პერიოდისგან განსხვავებით, შეიძლება პირობითი, მაგრამ პოლიციელთა მიმართ პასუხისმგებლობის საკითხი დგება,"** - ამას ლევან რამიშვილი ნარჩემაშვილის მინისტრობის პერიოდის ერთადერთ მიღწევად მიიჩნევს.

თუ არ ჩავთვლით პანკისის ხეობის კრიმინალურ-ტერორისტული ელემენტებისგან თითქმის მთლიანად გაწმენდას, რაც, იმავე ლევან რამიშვილის თქმით, ბოლო ხანებში კუდიანებზე ნადირობას უფრო დაემსგავსა და სხვა მიღწევების არარსებობის გამამართლებელ საბუთად იქცა, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს – შინაგან საქმეთა სტრუქტურებში ახალი მინისტრის მოსვლიდან დღემდე არაფერი შეცვლილა, რასაკვირველია, თავად მინისტრის მიმართ დამოკიდებულების გარდა. საზოგადოებაში პოლიციის პირველი პირებისადმი დამოკიდებულება ახალგაზრდა, საკმაო ინტელექტუალური მარაგის მქონე მინისტრმა ნამდვილად შეცვალა. თუმცა კი, უცვლელად დარჩენილმა სისტემამ არ შეიძლება ნარჩემაშვილზეც არ მოახდინოს გავლენა. ეს გავლენა რომ რეალურია, ამაზე გუშინ პარლამენტის სხდომაზე მიწვეული მინისტრის საუბრის ტონიცა და შინაარსიც მეტყველებდა. ეს, მართალია, ჯერ კიდევ არ გახლდათ რკინის კაცისთვის დამახასიათებელი ცინიკური საუბარი, მაგრამ თემატიკა მისი წინამორბედის ძველ პრეტენზიებთან ძალზე ახლოს იდგა. თუ ასე გაგრძელდა და რეფორმატორად მოსული კობა ნარჩემაშვილი შინაგან საქმეთა სისტემის შესაცვლელად სამართალდამცველ ორგანოთა კონცეფციის ცხოვრებაში გატარებას დაელოდა, რასაც სულ ცოტა სამი წელი მაინც ჭირდება, იგი ყოველგვარი განმასხვავებელი ნიშნის გარეშე შეემატება იმ მინისტრთა გალერეას, რომელთა მსგავსიც საქართველოში ბევრი უნახავთ.


*კობა ნარჩემაშვილი*

არადა, საზოგადოებრივი აზრი მართლაც მინისტრის მხარეს იქნება, თუ იგი რთული, მაგრამ აუცილებელი რეფორმების გატარებას შეეცდება.



23 ნოემბერს 21.00 საათზე რესტორან „დავით სარაჯიშვილში“

Image Centre oriflame

„იმიჯ-ცენტრი“ და „ორიფლეიმი“
წარმოგიდგენთ
შემოდგომა-ზამთრის
კოლექციის შოუ-ჩვენებას.
დიზაინერები: ფეხსაცმელი — მადონა ხარატიშვილი
ტანსაცმელი — ანა აბულაშვილი

გიორგობის აღსანიშნავად გიწვევენ:

მერაბ სეფაშვილი
ლელა წურწუმია
თემო რცხილაძე
ნუკრი ქავანაძე
ქეთა თოფურია
ჯგუფი „ფორტე“
და ყველაზე პოპულარული
„ბიო“- მალხაზ ქრიქიშვილი.

ტელ: 53-69-11, 877 73-07-09, 899 28-96-53

"ფერმერის იურიდიული სახელმძღვანელო"
იურიდიული და პრაქტიკული რჩევები ფერმერებისა და მიწის მესაკუთრეთათვის




მიწის პრივატიზაცია, რეგისტრაცია, გადასახადები, მიწის დაცვა, კრედიტები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ტრანსპორტირება.

საინტერესო ინფორმაცია და პასუხი თქვენს კითხვებზე.

სახელმძღვანელო შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის ცენტრალურ და რეგიონალურ ოფისებში.

ტელ: 931276, 986291, 931681.
Web-მისამართი: www.aplr.org, ელ-ფოსტა: aplr@caucasus.net

# ახლო აღმოსავლეთში ვენდეტა გრძელდება

*გუშინ, გამთენიისას, დაახლოებით 07:15-ზე, ისრაელში ქალაქ იერუსალიმის კირიატ-მენახემის რაიონში სამგზავრო ავტობუსი აფეთქდა, რის შედეგადაც, თვითმკვლელი ტერორისტის ჩათვლით, 11 ადამიანი დაიღუპა და ორმოცდარვაზე მეტი მძიმედ დაშავდა. დაშავებულთა და დაღუპულთა შორის არიან ბავშვებიც. ავტობუსის აფეთქება ბავშვების სკოლაში გამგზავრების პერიოდს დაემთხვა. ისრაელის რადიოს ცნობით, აფეთქებული ავტობუსის გარშემო სასკოლო სახელმძღვანელოები და მოსწავლეების საუზმე იყო მიმოფანტული.*

ლევან ღირსიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერ არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას თავის თავზე არ აუღია, ექსპერტები და ისრაელის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ ტრაგიკული შემთხვევა დაჯგუფება "ჰამასის" ხელწერას წააგავს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას პირობა დადო, რომ ისრაელის ხელისუფლება ამ სისხლიანი ტერაქტისათვის პასუხს მტერს ძალზე სწრაფად გასცემს. ჯერჯერობით, ისრაელის მთავრობას არ დაუკონკრეტებია, თუ რა სახის პასუხი იქნება, თუმცა სააგენტო "ფრანს პრესისათვის" ცნობილი გახდა, რომ პალესტინურ ქალაქ ბეთლემში ისრაელის არმიის ერთი ტანკი და სამხედრო ჯიპები უკვე შევიდნენ. როგორც იტყობინებიან, შარონმა ჩაატარა მთავრობის საგანგებო თათბირი და არმიას და სპეცსამსახურებს შესაბამისი დავალებები მიეცათ. ისრაელის პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა დევიდ ბეკერმა კი ჟურნალისტებისათვის ბრიფინგი გამართა. **"პალესტინელი ტერორისტები თავიანთ სისხლიან კურსს აგრძელებენ და მხოლოდ უდანაშაულო ებრაელების მოკვლის სურვილი ამოძრავებთ,"-** განაცხადა მან.

სააგენტო "ფრანც პრესის" ცნობით, მომხდართან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება უკვე გააკეთა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, რომლის თანახმად ეს სასტიკი ტერაქტი გამორიცხავს ნებისმიერ მსჯელობას სამშვიდობო გეგმაზე, რომელიც ე.წ. "ოთხეულის" (აშშ, გაერო, რუსეთი და ევროკავშირი) მიერ არის შემუშავებული. **"ძალიან სასიამოვნოა გზამკვლევ ფურცელზე საუბარი, მაგრამ არანაირი გზამკვლევი არ ივარგებს, სანამ ისრაელის მოქალაქეებს უსაფრთხოდ ცხოვრება, სკოლებში, სახლებსა და სამსახურში სიარული არ შეეძლებათ,"-** განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა რონ პროზორმა. საგარეო უწყების წარმომადგენელს მხედველობაში ჰქონდა ის სამშვიდობო გეგმა, რომელიც ა.წ. 17 სექტემბერს "ოთხეულის" მიერ ნიუ-იორკში იქნა მიღებული. ამ გეგმას პირობითად **"გზამკვლევი ფურცელი"** ეწოდა. **"ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ გზამკვლევით სიარული, ვიდრე ისრაელის გზებს საფრთხე ემუქრებათ, ძალზედ ცდება. სანამ გრძელდება ტერორიზმი, ჩვენ პოლიტიკური დიალოგის გაგრძელება არ შეგვიძლია,"-** დასძინა პროზორმა. უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ასეთი მკვეთრი განცხადება და პოლიტიკური დიალოგის უარყოფა, ამ უწყების სათავეში ყოფილი პრემიერის – ბენიამინ ნეთანიაჰუს მოსვლას უკავშირდება, რომელიც თავისი ხისტი პოლიტიკური კურსით არის ცნობილი.

გუშინ მომხდარმა ტერაქტმა ისრაელის როგორც ხელისუფლების, ასევე მთელი საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მომხდარში ყველა პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციას და მის ლიდერს იასირ არაფატს ადანაშაულებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ტერაქტი მაშინვე დაგმო და მომხდართან დაკავშირებით თავისი წუხილი გამოხატა. მაგრამ ებრაელები არაფატის წუხილს ნიანგის ცრემლებს ადარებენ.

იერუსალიმის მერმა ეჰუდ ოლმერტმა ტერაქტიდან რამდენიმე წუთში მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა არაფატს დააკისრა. **"არაფატი ამ ტერაქტზე პირდაპირ არის პასუხისმგებელი, რადგანაც ტერორიზმის ტონს სწორედ ის იძლევა. ტერორისტები ჩვენს წინააღმდეგ ომს აგრძელებენ და ჩვენ უნდა შევეცადოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამ საფრთხესთან ბრძოლაში განვაგრძოთ ცხოვრება,"-** განაცხადა იერუსალიმის მერმა.

აღნიშნული ტერაქტი პრაღაში ნატო-ს სამიტის გახსნას დაემთხვა, სადაც სიტყვით გამოსვლისას აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა იერუსალიმში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით თავისი განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა.

ისრაელის სპსეცსამსახურები და სამართალდამცავები კი სრული მობილურობით აგრძელებენ მუშაობას. მათ რამდენიმე საათში დაადგინეს კამიკაძე-ტერორისტის ვინაობა. როგორც ცნობილი გახდა, ავტობუსი 23 წლის ტერორისტმა ნაელ აბუ ხალილმა ააფეთქა. ისრაელის უშიშროების სამსახურის – შაბაკის ცნობით, ხალილი ტერორისტული ორგანიზაცია "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტი იყო. ის ბეთლემში ცხოვრობდა. ისრაელის სპეცსამსახურები თვლიან, რომ აფეთქება "ისლამური ჯიჰადის" ლიდერების უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებით განხორციელდა. გუშინდელ ტერაქტს გასულ კვირას ისრაელის სამხედროების მიერ "ისლამური ჯიჰადის" სამი მებრძოლის მკვლელობას უკავშირებენ. თუმცა, ეს მებრძოლები მთლად უდანაშაულოები არ იყვნენ. მათ, თავის მხრივ, 12 ებრაელი გამოასალმეს სიცოცხლეს. რაღა თქმა უნდა, ეს ტერაქტიც უპასუხოდ არ დარჩება. ისრაელის მთავრობა პასუხის გაცემისათვის სერიოზულად ემზადება. **"ისრაელი გააგრძელებს პალესტინის ადმინისტრაციის ლიკვიდაციის პროცესს, რომელიც ტერაქტებს აფინანსებს"-** განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელმა რაანან გისინმა. **"პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იასირ არაფატი გმობს ტერაქტებს და ამავდროულად აფინანსებს "ფათხის" სამხედრო ფრთას – "ტანზიმს" და "ალ-აქსას ბრიგადებს." ყველა ეს დაჯგუფება პალესტინის ადმინისტრაციისგან იღებს ფინანსებს და, მე ვიტყოდი, თვით იასირ არაფატისგან,"-** დასძინა გისინმა.

მაშ ასე, ახლო აღმოსავლეთში ჩვეული ვენდეტა გრძელდება. ამჯერად ისრაელის არმიის ჯერია, რასაც ცოტა ხანში კვლავ ისრაელის ტერიტორიაზე მორიგი ტერაქტი მოჰყვება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ კონფლიქტის შეჩერება არავის სურს. თუ რატომ, ეს არავინ იცის.


იერუსალიმში აფეთქებული ავტობუსი





ტერორისტი - ნაელ აბუ ხალილი

# „მოკალი ებრაელი და სამოთხეში მოხვდები!"

*შარშან ერთ-ერთ პალესტინელ ჟურნალისტს არაფატის სიტყვაში ეჭვი შეპარვია და მას შემდეგ ის საწყალი აღარავის უნახავს და არც არავის მოუკითხავს. პალესტინა ის ქვეყანაა, სადაც განსხვავებული აზრი არ არსებობს და ყველა ერთ ქადაგებას უსმენს.*

ზაზა ფარუაშვილი
„24 საათის" სპეციალური კორესპონდენტი
ისრაელი

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პალესტინური გაზეთები წერდნენ, ეს კამიკაძეები ჩვენი სახელოვანი წინაპრების ღირსეული გამგრძელებლები არიანო. პალესტინაში 3 ყოველდღიური გაზეთი გამოდის და ერთი სახელმწიფო ტელეარხი გადაიცემა. მთელი ეს მასმედია პალესტინის ლიდერის იასირ არაფატისა და მისი პარტიის – "პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის" ერთგული მსახურია, ან ყურმოჭრილი მონაა, რაც საბოლოო ჯამში ერთი და იგივე შედეგს იძლევა. შედეგი კი სიკვდილის კულტის საყოველთაო დამკვიდრებაა.

"მე ჩემს შვილს ვაძლევ ჯიჰადს ალაჰისთვის. მთავარი ზეციური ცხოვრებაა," – ამბობს პალესტინელი დედა და თავის შაჰიდ შვილს ტერაქტზე უშვებს. დედა-შვილის გამოთხოვების სცენა ტელეარხზე წამდაუწუმ ტრიალებს. არც ერთი ცრემლი. მხოლოდ გადახვევა, კოცნა, დედის გამამხნევებელი ჟესტი და შვილის ღიმილი. კლიპი მთავრდება დედა-შვილის ბედნიერი სახის დაფიქსირებით.

შაჰიდი მოწამეს ნიშნავს. მოწამეებად კი პალესტინაში იმათ მიიჩნევენ, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად კლავს ებრაელებს. პალესტინელისათვის ყველაზე სასურველი და სანატრელი სიკვდილი სწორედ ესაა.

საბავშვო გადაცემაში ბავშვებს ეკითხებიან, ვინ გინდათ რომ გამოხვიდეთო და ისინიც პასუხობენ, შაჰიდებიო. თანაც იქვე გამოთქვამენ სინანულს იმის გამო, რომ მხოლოდ 12 წლისანი არიან და 18 წლამდე დიდი ხანი მოუწევთ ლოდინი – "ო, ღმერთო, როდის გავხდებით შაჰიდები!" ამ პასუხის დროს ბავშვებს ბედნიერი და მომღიმარი სახეები აქვთ. ისინი ამბობენ, რომ ყველა პალესტინელი ბავშვი ირჩევს მოწამეობრივ სიკვდილს.

თუმცა, პატარებს თავის გამოჩენა 12 წლის და უფრო ადრეული ასაკიდანაც შეუძლიათ. ამის საშუალებას და საამისო ცოდნას მათ სულგრძელად აძლევს მშობლიური მთავრობა.

მათთვის, ვინც ქვის სროლის ასაკს მიაღწევს, ტელევიზიით სპეციალური კლიპს ატრიალებენ. პატარა ბიჭი და პატარა გოგო ხელიდან აგდებენ სათამაშოებს (შესაბამისად - მანქანას და თოჯინას), იხრებიან, ქვებს იღებენ და წინ გარბიან. წინ ვინ არის? ამას ბავშვებს თავად არაფატი განუმარტავს: წინ მტერია, გამარჯვება ჩვენიაო.

ამის შემდეგ ბავშვთა აღზრდის მეორე ეტაპი იწყება. გაზეთებში იბეჭდება ნახატები, სადაც პალესტინელ მოსწავლეს წიგნის გვერდით ჩვენთვის კარგად ცნობილი "რაგატკა" უდევს. მომდევნო ნახატზე მასთან მიდის უფროსი ბავშვი ნაღმის ასაფეთქებელი პულტით ხელში და ეუბნება, მაგის დრო გავიდა, ახლა ამით უნდა ვიმოქმედოთო.

კითხვა არაფატს: **"რას მოუწოდებთ პალესტინელ ბავშვებს?"**

პასუხი: **" იყვნენ საამაყონი. ბავშვი, რომელიც ქვით ხელში მიდის ტანკის წინააღმდეგ, არის ჩვენი სიამაყე!"**

პალესტინის ტელევიზიაში მუსიკალური კლიპებიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, ბრიტნი სპირსზე ათასჯერ უფრო ლამაზი გოგო ვაჟკაცური შემართებითა და მოწოდების ჟესტებით ასრულებს თანამედროვე სიმღერას, რომლის ფონზეც ანახებენ, თუ როგორ ესვრიან ნიღბიანი ბავშვები ქვებს ისრაელის არმიის ჯარისკაცებს.

სხვა კლიპში 12-13 წლის ბიჭი ასეთ სიტყვებს მღერის: **"ნუ წუხხარ, ჩემო ძვირფასო მამა, ღმერთი სამოთხეს შეგვპირდა, ძალიან ტკბილია სიკვდილი, გეხვევი, ჩემო სამშობლოვ, გიხაროდეს, ჩემო დედა, ჩემი სისხლის დაღვრა და ნუ იტირებ ჩემზე."**

სხვათაშორის, ასეთი შემთხვევები სინამდვილეშიც იყო, როცა მოზარდებმა მართლაც დაწერეს გამოსამშვიდობებელი წერილები და ტერაქტზე წავიდნენ. მათ მოწამეებად და მისაბაძ გმირებად რაცხავენ და იღებენ კლიპებს, სადაც აჩვენებენ, თუ როგორ თამაშობენ ისინი სამოთხეში.

უფროს თვითმკვლელ-ტერორისტებზე სხვა კლიპებია გადაღებული. ყოველ პარასკევს ტელევიზიით გადაიცემა ადგილობრივი იმამების ქადაგებები: **"თუ გინდათ, იყოთ კარგი მუსულმანები, საჭიროა მოწამეობრივი სიკვდილით ურჯულოთა განადგურება! სიკვდილის ერთადერთი ვარიანტი ჯიჰადია! ვინც მოწამეობრივად კვდება, სამოთხეში ხვდება, ცოლად ირთავს 72 ქალწულს და მას თავზე გვირგვინს ადგამენ!"**

ამ ქადაგების დროს ანახებენ ფეხმორთხმულ მსმენელთა მორჩილ სახეებს, ხოლო შემდეგ სამოთხეში მოხვედრილი შაჰიდის ბედნიერ ყოფას მრავალი ლამაზმანის გარემოცვაში.

ამგვარად პალესტინაში თვითმკვლელი ტერორისტების ახალ-ახალი თაობა იზრდება და, ჯერჯერობით, არავინაა ამ სიგიჟის შემჩერებელი. პალესტინაში სიკვდილის შიშთან ერთად სიცოცხლის სურვილიც გააქრეს. ისრაელში ამბობენ, ჩვენ სიცოცხლისთვის ვცხოვრობთ, პალესტინელები კი სიკვდილისთვისო. თუმცა, ზოგი იმასაც კითხულობს, ამ საშინელებაში როდემდე ვიცხოვროთო.

P.S. აღნიშნულ თემაზე ისრაელში შევხვდით "პალესტინის მასმედიის მონიტორინგის" არასამთავრობო ორგანიზაციის წევრებს, რომლებმაც გადმოგვცეს ვიდეოკასეტა, სადაც თავმოყრილია პალესტინის ტელევიზიაში სიკვდილის რეკლამის საუკეთესო სიუჟეტები.

მსგავსი მასალები შეგიძლიათ ნახოთ ამ "ნჯო"-ს მისამართზე: www.pmw.org.il


"აილე ავტომატი და გახდი შაჰიდი".



კადრები პალესტინის ტელევიზიიდან.

„კედელომანია"
გადამდები სენია B2

ქართული ხალხური
ფსიქოდელია B2

ენერგოსარგით წაქცეული
ძიუდოისტები B7



ნომრის პერსონა

# სამართალდამცავი სტრუქტურები კრიმინალური სამყაროს შემადგენელი ნაწილია

*კობა ნარჩემაშვილი და ვალერი ხაბურძანია მათი წინამორბედებისაგან საგრძნობლად განსხვავებულები იყვნენ მინისტრებად დანიშვნის მომენტისთვის. დღეს ისინი საკუთარ უწყებებში არსებული მოძველებული სისტემების მძევლებს უფრო გვანან, ვიდრე ძირეული რეფორმებისთვის გულანთებულ ახალგაზრდა ჩინოვნიკებს. ამის თქმა ახლა, მათი ხელისუფლებაში მოსვლიდან ერთი წლის მერე, თამამად შეიძლება. დღეს ხელისუფლების ერთადერთი მიზანი ძალაუფლების შენარჩუნებაა. ამ ვითარებაში რაიმე რეფორმაზე საუბარი შეუძლებელია. ამიტომაც, ეს ახალი მენტალიტეტის ხალხი ნელ-ნელა თავისი სისტემის ნაწილი ხდება. შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ პარლამენტს შესჩივლა - რეფორმისტებმა უფლებები შეგვიზღუდეს და კანონმდებლობა გაუმართავიაო. დღევანდელი ნომრის პერსონა, დამოუკიდებელი ექსპერტი, იურისტი დავით უსუფაშვილია, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ შერისხულ რეფორმისტულ კანონმდებლობაზე მუშაობდა.*

მაია ქალაგანიძე

**- ძალოვანები ჩივიან, რომ მათ უფლებები შეუზღუდეთ. კონკრეტულად, რა პუნქტებში?**

- აბსოლუტურად არაფერი შეგვიზღუდია, გარდა იმისა, რომ მათ უფრო ხშირად უწევთ კანონში ჩახედვა. რეფორმებმა, რომელიც ჯერ არ განხორციელებულა, მათი ცხოვრება უკვე გაართულა. მათ მოუწიათ თავის შეწუხება იმაზე, რომ ადვოკატმა პროცესზე, შეიძლება, არაკვალიფიციურად აგებული საქმე დაუშალოს. სინამდვილეში მათ შევუზღუდეთ უკანონობა, და, ალბათ, შემოსავლებიც. რეფორმის დამსახურება ისიცაა, რომ ადამიანები ნაკლებად უშინდებიან უკანონობას.

**- რა სტადიაშია სამართალდამცავი ორგანოების რეფორმაზე მომუშავე კომისია?**

- კომისიამ ოფიციალურად დაამთავრა მუშაობა. ის შეიქმნა შარშან, როცა ცნობილი მოვლენების შემდეგ ძალოვანები შეცვალეს. კომისიაში ოცდაათამდე პირი გაერთიანდა. ძალოვანი სტრუქტურების პირველი პირები, უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელები, მეცნიერები, არასამთავროები და ა.შ. თავჯდომარე ლადო ჭანტურია იყო. ცხრა თვე ვიმუშავეთ, რის შემდეგაც, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციების პაკეტი გადაეცა. ერთადერთი საკითხი, რომელიც ვერ მოესწრო, ეს იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუშაობის შედეგებს ვერ დავარქმევ რევოლუციურს.

**- რა იყო ის დადებითი შედეგი, რაც კომისიის მუშაობამ უკვე გამოიწვია?**

ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ მრავალ ტაბუდადებულ თემაზე დაიწყო საჯარო დისკუსიები. ვთქვათ, უშიშროების სამინისტროს სტატუსის შეცვლა. მინისტრი, თავისი სტატუსის, დანიშვნის წესისა და ფუნქციის მიხედვით, მიმდინარე პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, რაც ასე არ უნდა იყოს. მისი სამსახურეობრივი ბედი მთლიანად არის დამოკიდებული მთავრობაზე და ე.ი. პოლიტიკაზე. სპეცსამსახურები კი არ უნდა იყვნენ მიმდინარე პოლიტიკის ნაწილი.

კვლავ არსებობს გამოძიების საბჭოური სისტემა თავისი სტრუქტურით - კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას, სხვადასხვა ეტაპზე, ჩართულია რამდენიმე პასუხისმგებელი პირი პროკურატურიდან და პოლიციიდან. ვერ გაარკვევ - ვინ გააკეთა და ვინ გააფუჭა საქმე. საქმე ხელიდან ხელში გადადის და ყოველი გადასვლა ახალი კორუფციაა.

საკმაოდ უარყოფითად ვარ განწყობილი, რომ ძალიან ბევრი პრინციპული საკითხი არ მოექცა კომისიის მუშაობის არეში. ცოტა გაკეთდა იმისთვის, რომ დაიმსხვრეს სტრუქტურების პოლიტიზირების მანკიერი სისტემა. სანამ შს მინისტრსა და გენპროკურორს სამსახურეობრივ მოვალეობად ექნებათ აღქმული ხელისუფლების დაცვა ამ ხელისუფლების არასასურველი ელემენტებისგან, თავის ფუნქციას, - საზოგადოების დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლას, - ვერასდროს შეძლებენ. ეს საკითხი უარყოფილ იქნა კომისიის მუშაობისას. ეს თემა არ გაიხსნა და არ გადამუშავებულა. მიზეზი იყო ის, რომ ამგვარი კომისიების მუშაობა დიდადაა დამოკიდებული ხელისუფლების განწყობასა და ნებაზე. კომისიის თითოეული წევრი ამ თემების დამუშავებისას ფიქრობდა ერთადერთ რამეზე, - არ გაეკეთებინა რაიმე ისეთი, რაც არსებულ პოლიტიკურ კურსს არ შეესაბამებოდა.

**- გამოდის, კომისიაც, გარკვეულად, პოლიტიზირებული იყო.**

- გენპროკურორი და სხვა ძალოვანი პირველი პირები თავის თავს დამოუკიდებელ პირად არ მიიჩნევენ.

**- ანუ, მათ ვერ დაინახეს რეფორმის ადგილი და არც სურვილი გასჩენიათ ამისი?**

- პოლიტიზაცია მათთვის პრობლემა არ არის. ისინი თავს კომფორტულად გრძნობენ ასეთ სისტემაში და მიაჩნიათ, რომ ეს ასეც უნდა იყოს.

**- თქვენი აზრით, რა შეუწყობს ხელს ამ ხედვის შეცვლას?**

- საბოლოო ჯამში, ამ მასშტაბის რეფორმის განხორციელების წინაპირობა პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლაა, ანუ, ხელისუფლებაში ისეთი ძალა უნდა მოვიდეს, რომელსაც ეს ყველაფერი გააზრებული აქვს. ამ რეფორმებით ვერ მივალთ უკეთეს ხელისუფლებამდე, ეს ხელისუფლება არ მოგვცემს ამ რეფორმების სრულად განხორციელების საშუალებას. ამ კომისიის არსებობა, საბოლოო ჯამში, დადებითი იყო, მაგრამ არაადეკვატური. მის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს ნაბიჯები მცირე და არასაკმარისია.

**- კორუფცია და სამართალდამცავი ელიტის კორუმპირებულობა, - რა შეიცვალა ამ მხრივ?**

- არაფერი. პირველ პირებს მიაჩნიათ, რომ რეფორმები კი არა, ატესტაცია და ტესტირება გამოავლენს ღირსეულსა და უღირსს. ელიტის პრობლემებს ვერანაირი გამოცდა, ვერანაირი საკადრო ცვლილება ვერ უშველის. აქ საჭიროა, პირველ პირებად ის ადამიანები მოვიდნენ, ვისაც პრინციპული შეუთავსებლობა აქვთ კორუფციასთან. ხაბურძანიამ და ნარჩემაშვილმა მოსვლისას რამდენიმე საკადრო ცვლილება განახორციელეს. მაგრამ, აქვე გაჩერდნენ. ჩემი აზრით, რამდენიმე მომენტი იყო ამის მიზეზი: ერთი ის, რომ მართლა ბევრი ყოველდღიური საქმეა - გატაცება, ქურდობა, მკვლელობა... და ენერგია ამ თემებზეა გადატანილი, რადგან მათ არ აქვთ ის ფუფუნება, რომ გვერდით გადადონ ყოველდღიური პრობლემები და გრძელვადიანი ნაბიჯები გადადგან. ისეთი, რაც მხოლოდ ორი, ან ექვსი თვის მერე მოიტანს შედეგს.

**- შსს-ში ერთ-ერთი მოხსნილი ელიტარი იყო დავითაია, რომელსაც, სხვათა შორის, არც საგამოძიებო, არც კრიმინალური საკითხები არ ებარა. სხვა, სერიოზული საკადრო ცვლილება იქ არ მომხდარა...**

- გეთანხმებით. ეს პრობლემა არა მხოლოდ შსს-შია. შედარებისთვის ავიღოთ ფინანსთა მინისტრის მდგომარეობა. შესაძლოა, მან კარგად იცის, რომ საბაჟოს ხელმძღვანელობა კორუმპირებულია და მე დარწმუნებული ვარ, რომ მისი მსოფლმხედველობა იქითკენ არის მიმართული, რომ საქართველოში არ უნდა იყვნენ კორუმპირებული მებაჟეები. მაგრამ, მინისტრი შემდეგი არჩევანის წინაშეა: მან გეგმა უნდა შეასრულოს, რომლის ერთადერთი მექანიზმი არის ის, რომ ამოღებული თანხის ნაწილი ჯიბეში, ხოლო ნაწილი ბიუჯეტში უნდა შევიდეს. თუ მინისტრი ამ კორუმპირებულს მოხსნის, მაშინ ერთი თვის ან სამი თვის განმავლობაში გეგმას ვერ შეასრულებს. არ შესრულდება და მას მოხსნიან. ასეთ წნეხში არიან ის პირები, რომელთაც, ერთი მხრივ, ვავალებთ კორუფციასთან ბრძოლასა და მეორე მხრივ, გეგმის შესრულებას.

**- მით უფრო უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ სისტემა შეიცვალოს და ასეთ ცუდ დღეში არ აღმოჩნდნენ.**

- გეთანხმებით, მაგრამ პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მთავრობა რისკიან ნაბიჯებზე უნდა წავიდეს. ხალხი ნამდვილად გაგებით შეხვდებოდა პრეზიდენტის ამგვარ ნათქვამს: ვიწყებ რეფორმებს და ხუთი თვე გაჭირვებაში ვიცხოვრებთ, მაგრამ გპირდებით, რომ 5 თვის შემდეგ სულ სხვა სიტუაცია იქნება... ამას ყველა გაიგებდა. ეს მათ არ უნდათ და ურჩევნიათ ასეთი ჯახირი - სისტემა ისევ კორუმპირებული რჩება და ხალხს დღითი დღე უარესად უჭირს.

**- როგორც ნარჩემაშვილმა პარლამენტში განაცხადა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 200-მდე კურიოზული შეუთავსებლობაა, შესულია 1000-მდე ცვლილება. ასეა ეს?**




დავით უსუფაშვილი "24 საათის" რედაქციაში

ლევან ხერხეულიძის ფოტო

- კომისია სწორედ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უნდა შექმნილიყო ახალი საპროცესო კოდექსი. გია მეფარიშვილი იყო ამ კოდექსის მთავარი ავტორი. პირვანდელი ვარიანტი, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, უკეთესი იყო, მაგრამ რაც ევროკავშირს ახალი საპროცესო კოდექსი ვუპატაკეთ, რამდენიმე კვირის განმავლობაში ნელნელა შეიცვალა ეს პუნქტები. ეს კოდექსი ერთნაირად უქმნის პრობლემას მოქალაქესაც და კეთილსინდისიერ სამართალდამცავსაც.

**- რა მექანიზმით და ვისი ინიციატივით იყო ეს ცვლილებები?**

- როცა გია მეფარიშვილი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო, მის კაბინეტში ხელჩართული ომებიც კი იმართებოდა. შსს და პროკურატურა თავისთვის ხელსაყრელ ცვლილებებს ლობირებდნენ. ეს ცვლილებები გადიოდა, პარლამენტი ამას იღებდა. ხელისუფლების მპყრობელი ძალა მაშინ ამ დათმობებზე სრულიად შეგნებულად მიდიოდა, რადგან მაშინ პოლიციასთან ერთად ხმაშეწყობილად მუშაობდა - ერთი მხრივ, ამ ძალის ხელისუფლების განმტკიცებისა და მეორე მხრივ, პოლიციისთვის პრობლემების არშექმნისთვის.

**- მინისტრმა საპროცესო ვადების შეზღუდვაზეც ისაუბრა და თქვა, რომ 12 საათი არ ყოფნით ეჭვმიტანილად ცნობისთვის...**

- ვთქვათ, ქუჩაში დააკავეს პირი, 12 საათის განმავლობაში ეს პირი უნდა იქნეს ცნობილი ეჭვმიტანილად, მას ბრალი უნდა წაუყენონ. სწორედ ამ 12 საათში ირღვევა ადამიანის უფლება ყველაზე მეტად, რადგან მას არ აქვს ადვოკატის ნახვის უფლება იქამდე, ვიდრე ის არ იქნება ცნობილი ეჭვმიტანილად. ამასობაში, მას ჩამოართმევენ აღიარებით ჩვენებას და მოაწერინებენ ხელს. მერე გინდა იყოს ადვოკატი და გინდ არა. მას უფლება აქვს დუმდეს, სასამართლო პროცესამდეც კი. კონსტიტუციაში კი ეს უფლება მას დაკავების წუთიდან აქვს.

**- კონსტიტუციური უფლება ხომ უფრო უპირატესია?**

- მაგაშია საქმე. ამ საპროცესო კოდექსში დახლართულია, რა არის ეჭვმიტანილი, რა დაკავებული, როდის შედგება ოქმი... საბოლოო ჯამში, საპროცესო კოდექსით გამოდის, რომ პირი დაკავებული ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღიარებით ჩვენებას მისცემს და არა მაშინ, როცა ხელი დაავლეს და თავისუფლება შეუზღუდეს. სწორედ იმ 12 საათში ხდება ადამიანის უფლებების შელახვა.

ასე რომ, მინისტრის ეს ნათქვამი სრული დემაგოგიაა. მიკვირს ის, რომ პირადად ნარჩემაშვილი აყენებს ამ საკითხს. ძველი თაობის პოლიციელს რომ დაეყენებინა, კიდევ გავიგებდი, რადგან მათთვის ადამიანის უფლებები მეასე ხარისხოვანი პრობლემა იყო. ისინი ფიქრობდნენ, რომ ადამიანის უფლებების შელახვა სახელმწიფო ინტერესებისთვის სწორედაც რომ დასაშვებია. დღეს ყველაფერი პირიქითაა, ძირითადი ღირებულება ადამიანია და არა სახელმწიფო და არა ხელისუფლება.

**- რით ხსნით მის ამ ნათქვამს?**

- ორი ახსნა მაქვს. ერთია - რომ მართლაც არის ობიექტური პრობლემები - არ არის მანქანა, არ არის ბენზინი, ჩაუცმელია, შეუიარაღებელია. მეორე კი: იმედია არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თავად კობა ნარჩემაშვილი და კიდევ რამდენიმე პირი შსს-ში პოლიციური კორუმპირებული სისტემის მხრიდან, სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფება. ანუ, თუ მათ არ გაახმოვანეს ეს ჩივილები და მოთხოვნები საპარლამენტო ტრიბუნიდან, თავის სისტემაში ძალიან ცუდად ექნებათ საქმე.

მინისტრის შეცვლით არაფერი იცვლება. მინისტრის შეცვლის შემდეგ თუ საკვანძო თანამდებობებზე, - კრიმინალური, საგამოძიებო, პოლიციის უფროსების კოჰორტა და ელიტა - დაუყოვნებლივ არ შეიცვალა ნორმალური ხალხით, მაშინ ჩვენი მინისტრი მძევალია. მინისტრი გასცემს განკარგულებას, ისმენს ინფორმაციას. სწორედ ამ ხალხის ხელშია, სწორად წავა საქმე თუ არა. მათ ერთ მშვენიერ დღეს, უბრალოდ, შეუძლიათ, საბოტაჟი მოაწყონ და დაიძაბოს კრიმინოგენული ვითარება... ჩვენ კი პასუხს არც იმ გენერალსა და არც იმ პოლიციის უფროსს არ მოვთხოვთ. პასუხისმგებელი ნარჩემაშვილია.

"ღამის კურიერში" ერთი სიმპტომატური ზარი გაისმა კახი ასათიანის მკვლელობის ღამეს. პოლიციელის მამა რეკავდა და თქვა, რომ ჩემმა შვილმა კეტები ჩაიცვა და ისე გავარდა დანაშაულის ადგილზე და ეს რა დღეში ჩააგდეს რეფორმატორებმა პოლიციაო... ასეთი დამოკიდებულება სრულიად გამიზნულად ინერგება. ასეთი გულანთებული პოლიციელები, არანაკლები მსხვერპლნი არიან პოლიციის კორუმპირებული ელიტისა, ვიდრე ნებისმიერი მოქალაქე. წესიერი პოლიციელების მცდელობას არსებული სისტემა არარაობად აქცევს.

მეორე მითი ისაა, რომ საქართველოში არ იხსნება დანაშაულობები. არ მჯერა, რომ საქართველოში დამნაშავეობასთან ბრძოლა, რომელიმე გაუხსნელი დანაშაული გვაქვს. ყველა დანაშაული ან თავიდანვე გახსნილია, - ანუ თავიდანვე შეთანხმებულია სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელობასთან და ესენიც უქმნიან პირობებს, რომ კვალი დაიფაროს; ან პირველსავე საათებში არკვევენ ყველაფერს, პირველსავე საათებში უზრუნველყოფენ იმას, რომ დანაშაული დაიფაროს. იმიტომ რომ, დღევანდელი სამართალდამცავი სტრუქტურები კრიმინალური სამყაროს შემადგენელი ნაწილია. დანაშაულის გახსნა აუცილებლად გამოიწვევს გრძელი ჯაჭვის გახსნას.

ვთქვათ, მოკლეს რომელიმე ბიზნესმენი და ცნობილია ამ ბიზნესის წყაროებიცა და დაინტერესებული პირებიც. აუცილებლად, ამგვარი საქმის გახსნისას მიადგები ერთ- ორ პოლიციელს, ერთ-ორ პარლამენტარს, რომელიც ამავე ბიზნესშია ჩართული. შესაძლოა, მათ პირდაპირი კავშირი არ აქვთ ამ მკვლელობასთან, მაგრამ აქვთ სხვა ტიპის არაკანონიერი ურთიერთობა - ან წილი, ან მფარველობა და ა.შ. ამ სისტემას უნდა შევებრძოლოთ, ეს არის დასანგრევი.

**- რატომ იხდიან დიდ ფულს პოლიციაში მუშაობისთვის. მათ ხომ მუდმივად ემუქრებათ უმუშევრად დარჩენის და, შეიძლება, ციხის საფრთხე?**

- მე არამხოლოდ ამიტომ მეცოდებიან. ისევ იმ მამას დავუბრუნდები. მას სახლში ჰყავს ახალგაზრდა შვილი, რომელსაც ოჯახი ჰყავს სარჩენი. ის სულ ფიქრობს, ვის ათხოვნინოს, ვინ შეაწუხოს, ვის დაურეკოს, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში მოაწყოს შვილი და დაუკანონოს მოროდიორის უფლება. ეს არის მშობლის პიროვნული ტრაგედია. მისი შვილის პიროვნული ტრაგედია კი ის არის, რომ ნებისმიერი ძალადობის დროს მხოლოდ მსხვერპლი არ არის მსხვერპლი. მოძალადეც მსხვერპლია. რადგან მისი ფსიქიკა ისეთ გამოუსწორებელ დარტყმას იღებს, რომ მთელი ცხოვრება იძულებულია, იყოს იზოლირებული ნორმალური გარემოსგან და იტრიალოს თავისნაირებში, რათა სინდისმა არ შეაწუხოს.

**- თუ იმოქმედებს ეს რეფორმა შეკვეთილი დანაშაულობების რიცხვზე?**

- ამ დონის დანაშაულზე ჩვეულებრივი კრიმინალი, ჩვეულებრივი დამნაშავე ვერ მიდის. როდესაც ვიღაც ამას სჩადის, მას გარანტიების რამდენიმე წყება აქვს. დანაშაულის ჩადენამდე იცის, როგორ უნდა დაფაროს დანაშაული.

კონკრეტულად ეს რეფორმა ვერაფერზე ვერ იმოქმედებს. საქმე გვაქვს არსებულ დაუსჯელობის სინდრომთან. თითოეული ასეთი მკვლელობა გრძელი ჯაჭვის შემადგენელი ნაწილია. აქ ერთი და იგივე პიროვნებები ტრიალებენ. როცა ვსაუბრობთ, რომ კორუმპირებულია პოლიცია, - ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანებზე, რომლებიც გუშინ იყვნენ პოლიციის უფროსები, დღეს პროკურორები და ა.შ. ტრიალებენ ამ ორბიტაზე. და მათთან ერთად ამ სისტემის სხვა ელემენტებიც ტრიალებენ. აქ ჩამოყალიბდა ურთიერთობა, გარკვეული წესები, რომლის დარღვევაც არ შეიძლება. კოლეგა პროკურორს არ უნდა შეუქმნა დისკომფორტი შენი საქციელით. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ "დამნაშავეს" აღარ დაედგომება პროკურატურაში, მას აღარ დაპატიჟებენ სუფრაზე და ა.შ. ეს სისტემა უნდა დაირღვეს.

საჭიროა ხელისუფლებაში სხვა ძალა მოვიდეს, საჭიროა კრიტიკული მასა, ოცდაათამდე ადამიანი, რომელიც ერთ დღეს მოვა და დაამყარებს ახალ წესრიგს. პირველ რიგში კი ერთმანეთთან ურთიერთობაში. ასეთი ხალხი თვითონ სისტემის შიგნითაც არსებობს.

დიდი შეცდომა იყო, რომ სასამართლო რეფორმასთან ერთად პროკურატურის რეფორმა არ დავიწყეთ.

**- ვისი შეცდომა იყო?**

- პრეზიდენტის შეცდომა. მას შეეშინდა ამ საყრდენი რგოლების შერყევა (პროკურატურა, პოლიცია), მან არ გაუშვა თავისი უშუალო კონტროლის არედან არც შს მინისტრი, არც გენპროკურორი.

**- რას ნიშნავს მინისტრის შემდეგი ფრაზა: კრიმინოგენული ვითარება გართულებულია, მაგრამ მართვადი...**

- კომენტარი გამიჭირდება. ეს ფრაზა აბსურდია, ალბათ რაღაც შეეშალა. თუ მართვადია, გინდა გართულებული იყოს, გინდა არა, - ეს უკვე ცუდია. ვისგან მართვადი? თუ არ არის პოლიციის მხრიდან მართვადი, ეს საშინელებაა და თუ პოლიციის მხრიდანაა - კიდევ უფრო დიდი უბედურება.

**- რა სახელს დაარქმევდით დღევანდელ კრიმინოგენულ მდგომარეობას საქართველოში?**

- სრული ქაოსი. ახალი ხელმძღვანელობის მოსვლამ ეს სისტემა ასე თუ ისე შეარყია. შერყეულ ვითარებაში კიდევ უფრო რთულია ყოფნა. თუ შეარყიე, გაჩერება არ შეიძლება, კიდეც უნდა დაანგრიო... ძველ მინისტრს შეეძლო, გაეცა განკარგულება და ყველა პოლიციელი ერთად შეეყარა, ახალ მინისტრს ეს ნამდვილად გაუჭირდება, რადგან ამდენი გავლენა არ აქვს.

**- სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების იუსტიციისთვის გადაცემა შსს-ს ხელს უშლის მუშაობაში. რატომ?**

- ვერ ვხედავ ობიექტურ და დასაბუთებულ არგუმენტებს იმისას, თუ რატომ უნდა შეიცვალოს სტატუსი. სასჯელმისჯილი პირი სულ სხვა ფენომენია. მან მიიღო კუთვნილი სასჯელი და ამ წუთიდან სოციალურად სულ სხვა ადგილზე მყოფი ადამიანია. მასთან პოლიციას არაფერი ესაქმება ისე, როგორც ჯანმრთელ ადამიანთან ექიმს. სამართალდამცავი სისტემა ადამიანის დამთრგუნავად იყო მოვლენილი და არა დამცველად. სახელმწიფო, რომელიც თავისი პოლიციის მეშვეობით დაჭერილ პირს ასე ჯალათურად ეპყრობა, შესაბამისად - ისეთ საშინელებად ყალიბდება, რომელიც საზოგადოებისთვის კარგს ვერ გააკეთებს. არადა, სახელმწიფომ უნდა დაამკვიდროს დადებითი ღირებულებები. ადამიანებს დაუდგეს გარანტად.

**- როდის ვიხილავთ კარგ პოლიციელს?**

- გვაქვს რეალური შანსი, 1 ან 2 წლის შემდეგ გავხდეთ აღმშენებლობის მოწმე. დღეს ვართ იმ ადამიანის სიტუაციაში, რომელიც ზის საკუთარ სახლში და უყურებს, როგორ ინგრევა კედლები. ორი წლის შემდეგაც დანგრეულ სახლში ვისხდებით, ოღონდ დავინახავთ, რომ კედლები ნელ-ნელა შენდება.

**- და ეს პრეზიდენტის ვადის გასვლას უკავშირდება?**

- უფრო, საპარლამენტო არჩევნებს. თუ პარლამენტის თვისობრივი განახლება მოხდა, პრეზიდენტი იძულებული გახდება, შენების პროცესს შეუწყოს ხელი და არა - ნგრევის.

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 კვირის TV-პროგრამა B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

## სინემა

კინოთეატრი "რუსთაველი"

# „დაგმობილი გზა"

აშშ, 2002 წელი



კადრი ფილმიდან

Road to Perdition
რეჟისორი: **სემ მენდესი**
მთავარ როლებში: **ტომ ჰენქსი, პოლ ნიუმენი, ჯედ ლოუ;**
კომპანია Dreamworks-ის ნაწარმოები.

ეს ფილმი თამამად შეიძლება ჩაითვალოს "ნათლიას" დაგვიანებულ პასუხად. როგორც იცით, მარიო პიუზოს ნაწარმოებში, დამნაშავეთა სამყარო და იქ გამეფებული წესები რომანტიული, იდეალიზებული სახითაა ნაჩვენები, სადაც ყველამ თავისი ადგილი იცის. ხოლო თუ ვინმე, მაფიის დაუწერელ კანონებს დაარღვევს, სასტიკად გაუსწორდებიან.

"დაგმობილი გზა" კი, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების ამერიკის ცხოვრების სულ სხვა სურათს გვიხატავს. მართალია, კრიმინალურ დაჯგუფებებში თითქოს რაღაც წესები მოქმედებს, მაგრამ როგორც კი დამნაშავეებს ამ წესების გამო რაიმე პრობლემები შეექმნებათ, იმწამსვე ავიწყდებათ ყოველგვარი ფორმალობები და საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ. ამ გზაზე ყველაზე საშინელი და სასტიკი დანაშაულის ჩადენასაც კი არ ერიდებიან. ფილმში, თვით გავლენიანი და უძლიერესი მაფიოზოებიც კი უპირველესად საკუთარ თავზე და ოჯახზე ფიქრობენ და მხოლოდ შემდეგ ახსენდებათ რაღაც მითიური "წესები" და "კანონები". ამ სამყაროში ერთადერთი რაც რეალურად ფასობს, ეს სისასტიკე და დაუნდობლობაა.

ამიტომაც პატარა ბიჭი, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა დამნაშავეთა სამყაროში გამეფებული ადათ-წესები, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იქითკენ მიმავალი გზა ძალიან აახლოებს ადამიანს ჯოჯოხეთთან. ამ გზაზე პიროვნება ჯერ მორალურად ნადგურდება, შემდეგ კი ფიზიკურადაც. იგი უარს იტყვის ყოველგვარ შურისძიებაზე და სისხლისღვრაზე და სადღაც მიყრუებულ ფერმაში დასახლდება, სადაც ჯერ არ მიუღწევია ცივილიზაციის "სიკეთეებს".

ფილმის შემქმნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ოცდაათიანი წლების ამერიკის ცხოვრება ძალიან დეტალურადაა აღდგენილი. არ არის გამოტოვებული არც ერთი ნიუანსი, არც ერთი დეტალი. სურათი მთლიანობაში სასიამოვნო სანახავია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზოგიერთ ეპიზოდში მსახიობთა თამაში ზედმეტად სენტიმენტალურია, რაც ფილმს გარკვეულწილად დამაჯერებლობას უკარგავს.

*არჩილ მელიქიშვილი*

## მოკლედ

ახალგაზრდა მომღერალი თიკა ჯამბურია თავის პედაგოგთან რუსუდან ბახტაძესთან ერთად ახალ ალბომზე მუშაობს. ალბომში ათი სიმღერა შევა. რუსუდან ბახტაძის თქმით, თითოეული სიმღერა ცოცხალი ორკესტრის თანხლებით ჩაიწერა. ალბომში შესული თითქმის ყველა სიმღერა კომპოზიტორებს: ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, ვიქტორ დოლიძეს, რევაზ ლაღიძეს, გია ყანჩელსა და ვაჟა აზარაშვილს ეკუთვნით. როგორც რუსუდან ბახტაძე ამბობს, ალბომზე მუშაობა ზაფხულში დაიწყო და მხოლოდ ორი სიმღერა დარჩა ჩასაწერი. თიკა ჯამბურიას თაყვანისმცემლები მის ახალ ალბომს უახლოეს მომავალში მოისმენენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

პანტომიმის თეატრი ორი სპექტაკლების ფოტო-ნეგატივებს ხვალ ჰოლანდიაში გააგზავნის. სპექტაკლების: "კრიმანჭულისა" და "კიდევაც დაიზრდებიან" ნეგატივები ჰოლანდიის 120 თეატრში გაიგზავნება და გამოხმაურების შემთხვევაში დასი ჰოლანდიას სავარაუდოდ, გაზაფხულისათვის ესტუმრება. ოქტომბრის თვეში პანტომიმის თეატრს ჰოლანდიიდან 4 იმპრესარიო სტუმრობდა და მათ ხუთიდან ეს ორი სპექტაკლი შეარჩიეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

17 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში კომპანია "არტ-იმედის" კომპაქტ-დისკის გრანდიოზული პრეზენტაცია გაიმართება. პრეზენტაციაში მონაწილეობას კომპანიის ყველა მომღერალი მიიღებს. ფილარმონიაში მისულ მაყურებელს კი "არტ-იმედი" სცენაზე და ფოიეში ბევრ სიურპრიზს ჰპირდება. 18 დეკემბერს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში "არტ-იმედის" მსახიობ ეკა მამალაძის კონცერტი გაიმართება და მისი ახალი დისკის პრეზენტაციაც მოეწყობა. კომპანიის მიერ ორგანიზებული კონცერტების სერიას კი 24 დეკემბერს ფილარმონიაში დათო გომართელის სოლო-კონცერტი დაასრულებს. **ინტერ-პრესი**

## კალენდარი



### 22 ნოემბერი

Great Britain – Great Britten (დიდი ბრიტანეთი – დიდი ბრიტენი) – ინგლისელებს სიტყვებით თამაში ისედაც უყვართ, მაგრამ ასეთი შედარება, პირველ რიგში, ბენჯამინ ბრიტენის მუსიკალური მემკვიდრეობის გამო მოაფიქრდათ. მათი აზრით, ცნობილი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი მართლაც იმსახურებდა პატრიოტრი ბრიტანელებისთვის საამაყო ქვეყანასთან შედარებას. ბრიტენს სიცოცხლეშიც ხშირად ეხუმრებოდნენ: "ბრიტენი დიდი ბრიტანეთიდან – აბა, შენს სახელს ვინ დაივიწყებს".

ასეც მოხდა – ბრიტენმა სახელი მსოფლიოს მასშტაბით გაითქვა, ოღონდ იოლად დასამახსოვრებელი გვარის კი არა, მუსიკის გამო. ბენჯამინ ბრიტენის ოპერები მსოლფიოს გარშემო დღესაც წარმატებით მოგზაურობს. მისი ნაწარმოებების ენა, როგორც ჩანს, მართლაც უნივერსალურია. Rape of Lucretia, The Beggar's Opera, "ზაფხულის ღამის სიზმარი", "სიკვდილი ვენეციაში"... – ბრიტენის ამ ცნობილ ნაწარმოებებს გვერდს უმშვენებს მისი უმნიშვნელოვანესი ქმნილება "ომის რექვიემიც", რომელიც მან მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეული ქოვენთრის საკათედრო ტაძრის აღდგენას მიუძღვნა. ომის, მკვლელობის, ძალადობის წინააღმდეგ მიმართული მუსიკა მთელმა მსოფლიომ აიტაცა...

ბრიტენი მუსიკას ხუთი წლის ასაკიდან წერდა – დილით ადრე, საუზმემდე... მას იცნობენ, როგორც ცნობილი ოპერებისა და საგუნდო მუსიკის ავტორს, თუმცა, ის არანაკლებ დიდი პაინისტი და დირიჟორიც გახლდათ. 1974 წელს მიენიჭა რაველის პრემია, ხოლო "ენციკლოპედია ბრიტანიკაში" მოხსენიებულია ბარონის წოდებით (ის პირველი მუსიკოსი გახდა, რომელსაც ეს წოდება არგუნეს).

**ბენჯამინ ბრიტენი** დაიბადა 1913 წლის 22 ნოემბერს, გარდაიცვალა 1976 წლის 4 დეკემბერს, ალდებურგში. შოსტაკოვიჩმა თავისი მეთოთხმეტე სიმფონია მას მიუძღვნა.

...სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, სულ წუწუნებდა, რომ დირიჟორობისას მარცხენა მკლავი საშინლად ტკიოდა. აღმოჩნდა, რომ გულის მძიმე დაავადება სჭირდა. ბრიტენს ძალიან სურდა, ოპერაცია თავისი ბოლო ოპერის, "სიკვდილი ვენეციაში" დასრულების შემდეგ გაეკეთებინა, თუმცა, ეს ვერ შეძლო. 1973 წელს, პრემიერაზე გულით ავადმყოფი კომპოზიტორი ინვალიდის სავარძლით მიიყვანეს...

# „კედელომანია" გადამდები სენია

## ქალაქის გაფერადების აქცია დასრულდა

თამარ სუხიშვილი

